# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 თებერვალი პარასკევი 2011

№ 033 (13330) ფასი 60 თეთრი


## ქართული კლუბები ბლატერის ოპოზიციაში

↳ 2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფეხბურთელები ძალიან შორს არიან იმისგან, რაც ხორვატიასთან გვჭირდება

## თემურ ქეცბაიამ მეორე ტაიმში ვერც ფორმა დაინახა და ვერც შინაარსი

## იგი ძალიან, ძალიან, ძალიან

# უკმაყოფილოა





# დიდი ამხანაგურების დუელი

## მესიმ რონალდოს საგოლე პასითაც აჯობა

ამხანაგური მატჩების მიმოხილვა

↳ 7-9

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროკლუბები ფიფას წინააღმდეგ

# გრძელ სიტყვაზე, მოკლედ ავტორიტარიზმს არა! ჰეი, ზეპ, გეყო!

## ტაჰრირის მოედანი ჟენევაში: ქართული კლუბები ბლატერის ოპოზიციაში

7-8 თებერვალს ჟენევაში ევროპის კლუბთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოდან "დინამოს" მმართველი დირექტორი **ზუბა ტყავაძე** და "ვიტ ჯორჯიას" სპორტული დირექტორი **დავით თავართქილაძე** დაესწრნენ.

ევროპის კლუბთა ასოციაცია (ECA) საყოველთაოდ ცნობილი G14-ის ბაზაზეა დაფუძნებული და მას მიუნხენის "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ხელმძღვანელობს. საქართველოდან ამ გაერთიანებაში სამი კლუბია გაწევრებული – "დინამო" ორდინარული წევრია, "ზესტაფონი" და "ვიტ ჯორჯია" კი - ასოცირებული.

სხდომის მთავარი თემა ECA-სა და ფიფას შორის დიდი ხნის წინ დაწყებული მილიონი დოლარი ინგლისურმა კლუბებმა მიიღეს, 5 მილიონამდე გერმანულებმა და ასე შემდეგ. კონკრეტულ კლუბებს შორის კი "ბარსელონა" ლიდერობს 866 ათასი დოლარით, მეორეზეა "ბაიერნი" 772 ათასით, მესამეზე კი „ჩელსია" 762 ათასით.

ECA-მ უკვე მიაღწია იმას, რომ ბრაზილიის 2014 წლის მუნდიალის შემოსავლიდან ფიფა კლუბებს უკვე 70 მილიონ დოლარს გაუნაწილებს, მაგრამ რუმენიგესა და მის თანამებრძოლებს უფრო მეტის მიღწევა სურთ. კერძოდ, კლუბებმა ნაკრებში ფეხბურთელების დაშავებისთვის სოლიდური კომპენსაცია მიიღონ; ეროვნულ გუნდში გამოძახების სანაცვლოდ კი კლუბებს თანხა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის კი არა, სადავო სიტუაციებში მართებულ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ფიფას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რუმენიგეს მიმართა, რა საჭიროა ასეთი მკვეთრი განცხადებები, ერთი ოჯახი ვართ და დიალოგს მივმართოთო. პასუხად რუმენიგემ თქვა, რომ **იოზეფ ბლატერსა** და მის გუნდთან დიალოგი შეუძლებელია. სხდომას უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინოც** დაესწრო, რომელმაც საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებისგან თავი შეიკავა.

უქმად არც ქართველთა შვეიცარიულ ვიზიტს ჩაუვლია. ტყავაძემ და თავართქილაძემ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართეს და თავიანთი კლუბების სახელით ევროპის კლუბთა ასოციაციის ყველა მოთხოვნა გაიზიარეს.



კარლ-ჰაინც რუმენიგე



ზეპ ბლატერი

უთანხმოებაა. ევროპის კლუბთა ასოციაციის მიზნებზე რუმენიგემ ვრცლად ილაპარაკა და მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს კონკრეტული მოთხოვნები წაუყენა. მან ფიფას ავტორიტარულ მმართველობაში დასდო ბრალი და მას მსოფლიოს ჩემპიონატიდან მიღებული შემოსავლების კლუბებისთვის უფრო უხვად განაწილება მოსთხოვა.

ცნობისთვის, ფიფამ კლუბებს სამხრეთაფრიკული მუნდიალის ამონაგებიდან 40 მილიონი აშშ დოლარი გაუნაწილა, რაც რუმენიგეს ეცოტავება. კლუბებმა ფული იმის მიხედვით მიიღეს, თუ რომელმა მათგანმა უფრო მეტი ფეხბურთელი მიავლინა უდიდეს საფეხბურთო ფორუმზე. ამის გარდა, კლუბებისთვის გადასაცემი თანხა იმის მიხედვითაც დაიანგარიშეს, კლუბის კუთვნილმა ამა თუ იმ მოთამაშემ როგორი წარმატებით ისპარეზა მუნდიალზე და ვისი ქვეყნის ნაკრებმა რამდენი დღე გაატარა სამხრეთ აფრიკაში.

ყველაზე მეტი, ჯამურად თითქმის 6 შესარჩევი და ამხანაგური მატჩებისთვისაც გადაუხადონ. გარდა ამისა, რუმენიგე ფიფასგან კომპენსაციას მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შემოსავლიდანაც მოითხოვს.

სიტყვით ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელები და კლუბების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. თითქმის ყველა მათგანმა ფიფას მონოპოლიაზე ილაპარაკა და კლუბების შემოსავლის გაზრდის სხვა გზებიც დასახა. ერთ-ერთი ესპანური კლუბის წარმომადგენელმა დამსწრეთ შესთავაზა იდეა, რომ ტოტალიზატორებმა მოგება კლუბებს უნდა გაუნაწილონ, რადგან თავად სწორედ კლუბების სახელის გამოყენებით შოულობენ დიდ ფულს. როგორც გაირკვა, ესპანეთსა და ინგლისში კანონმდებლები ამ პროექტზე უკვე აქტიურად მუშაობენ.

დამსწრეთ **პიერლუიჯი კოლინამაც** მიმართა. სახელოვანმა იტალიელმა არბიტრმა თქვა, რომ ევროთასების მატჩებზე ორი დამატებითი მსაჯის დანიშვნამ გაამართლა, რადგან ისინი

თავართქილაძე ესაუბრა პოლონელ **ოლივერ იანოშს**, რომელიც ECA-ში აღმოსავლეთევროპულ კლუბებს კურირებს და ორგანიზაციის ერთ-ერთი რეგიონული სხდომის თბილისში ჩატარება შესთავაზა. ეს იდეა იანოშს მოეწონა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ხორცშესხმა სულაც არ არის გამორიცხული.

"ვიტ ჯორჯიას" სპორტულმა დირექტორმა თბილისში რუმენიგეც მოიპატიჟა, მაგრამ ECA-ს პრეზიდენტისგან მოუცლელობის გამო თავაზიანი უარი მიიღო. სამაგიეროდ, რუმენიგე ძალიან გაახარა თავართქილაძის საჩუქარმა - "ლელოს" ფოტოკორესპონდენტ **ალექსანდრე კოტორაშვილის** მიერ 1979 წელს თბილისში გადაღებულმა ფოტოებმა. მაშინ ჩვენს დედაქალაქში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი გაიმართა, გერმანელებმა 3:1 მოიგეს, ორი გოლი კი რუმენიგემ გაიტანა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

**"ვიტ ჯორჯიამ" თურქული შეკრება დაასრულა და სეზონის მეორე ნახევრისთვის უკვე თბილისში ემზადება. "ვეტერინარები" ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპს 13 თებერვალს რუსთავის "ოლიმპთან" სტუმრობით დაიწყებენ. "ლელო" გუნდის მთავარ მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილს განვლილ შეკრებასა და "ვიტ ჯორჯიას" მიზნებზე ესაუბრა.**



მერაბ კოჭლაშვილი

# აქ სულ ასეა: მიდიან, მოდიან, მთავარი რჩება

## პროგრამული უზრუნველყოფა ვიტ ჯორჯიასთვის

**- რამდენად ნაყოფიერი გამოდგა შეკრება?**

- საშეკრებო გეგმა და მიზანი სრულად შევასრულეთ. "ვიტ ჯორჯია" კარგ პირობებში ცხოვრობდა და ვარჯიშობდა, რაც გუნდის ნორმალურად მომზადებისთვის აუცილებელი ფაქტორია. ფეხბურთელებს საკმაოდ დატვირთული გრაფიკი ჰქონდათ. ფაქტობრივად, სამჯერად ვარჯიშებს ვატარებდით, რამაც ბიჭების ფიზიკური კონდიციები საგრძნობლად აამაღლა. ამხანაგური შეხვედრების ჩატარება მათ დაღლილობის ფონზე უწევდათ, მაგრამ ამასაც გაუძლეს და თამაშებშიც ნორმალურად გამოიყურებოდნენ. ტესტმატჩების შედეგებს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, მთავარია, რომ გუნდი ვარჯიშებისა და თამაშების საშუალებით ტონუსში შევიდა. ფიზიკური დატვირთვების გარდა, თურქეთში თეორიულ მეცადინეობებსაც ვატარებდით. საფეხბურთო განათლების გაღრმავება ყველა ფეხბურთელისთვის აუცილებელია.

გუნდისთვის უცხოური შეკრება აუცილებელი იყო, რადგან ბევრი ახალბედა გვყავს, რომელთაც ეს გამოცდილება ძალიან სჭირდებოდათ. ზოგიერთი ახალგაზრდისთვის ხომ ეს სულაც პირველი შეკრება გამოდგა. მოხარული ვარ, რომ გუნდში მეგობრული ატმოსფერო სუფევს, რაც წარმატებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

**- სეზონის მეორე ნახევარს "ვიტ ჯორჯია" სრულ მზადყოფნაში ხვდება?**

- ამ შეკითხვაზე პასუხს ყველაზე კარგად უახლოესი ოფიციალური მატჩები გასცემს, მაგრამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ "ვიტ ჯორჯიას" მომზადების დღევანდელი დონით კმაყოფილი ვარ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდისთვის ძნელია სტაბილურად ასპარეზობა. როცა საქმე გამოუცდელ მოთამაშეებთან გაქვს, სხვადასხვა სახის პრობლემამ ნებისმიერ დროს შეიძლება იჩინოს თავი. ზოგს თავში უვარდება, ზოგიც მეტისმეტად ბევრს ნერვიულობს და მოედანზე შებოჭილი გადის. ვეცდებით, მსგავსი გართულებები თავიდან ავიცილოთ.

**- "ვიტ ჯორჯია" უკვე დატოვა ჯაბა ლიპარტიამ და შესაძლოა, მას გუნდის კიდევ რამდენიმე ლიდერი მიჰყვეს...**

- ჩვენი კლუბისთვის ეს ჩვეული მოვლენაა და ყოველთვის მზად ვართ, წასულები ნიჭიერი ახალგაზრდებით ჩავანაცვლოთ. ბუნებრივია, ლიდერების სრულფასოვნად შეცვლას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ ამ სეზონშივე შეგვწევს იმის ძალა, რომ საკუთარი შესაძლებლობები წარმოვაჩინოთ. ლიპარტიას ღირსეულ შემცვლელად კი გიორგი ჯანელიძე მესახება, რომელიც აშკარად პროგრესირებს.

**- ვიტჯორჯიელთა ახალ თაობას აქვს იმის პოტენციალი, რომ თუნდაც წინამორბედების დონის ფეხბურთი ითამაშოს?**

- ამ ბიჭების დიდ უმრავლესობასთან ჭაბუკთა ლიგიდან მოყოლებული ვმუშაობ, მათ შესაძლებლობებს ზედმიწევნით ვიცნობ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. თავის ასაკში ისინი საქართველოში საუკეთესოთა შორის არიან და თუ განვითარების ტემპი არ შეანელეს, ბევრს მიაღწევენ.

**- "ვიტ ჯორჯიამ" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა...**

- ლაშა გაბრიჭიძე, გიგა ჯუღელი და ილია ქავთარაძე უდავოდ პერსპექტიული ფეხბურთელები არიან, მაგრამ ჩვენს პირველ გუნდთან ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდებათ.

**- საშინაო სტადიონების ხშირი ცვლა დისკომფორტს არ გიქმნით?**

- სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მცხეთის სტადიონზე თამაში ჯერ არ შეიძლება, მაგრამ იქ მალე დავბრუნდებით. მანამდე ოფიციალურ საშინაო შეხვედრებს "სიხარულის" სტადიონზე გავმართავთ. საშინაო არენის პრობლემა გუნდის თამაშს გარკვეულ დაღს ასვამდა და მცხეთაში დაბინავება ბევრ პრობლემას მოგვიხსნის.

**- ამ სეზონში აქცენტს თასის გათამაშებაზე გააკეთებთ თუ ორივე ფრონტზე სრულად დაიხარჯებით?**

- მიმდინარე სეზონში ორი პროგრამა-მინიმუმი გვაქვს დასახული – მეოთხე ადგილი საქართველოს ჩემპიონატში და თასისთვის ბრძოლა. მიზანი კი ევროტურნირებზე გასვლაა და ამისთვის ორივე საშუალების გამოყენებას ბოლომდე ვეცდებით.

**- ევროთასებზე "ვიტ ჯორჯიას" შარშანდელი გამოსვლის ფონზე, ღირს კი იქ ასეთი გამოუცდელი გუნდით თამაში?**

- ჯობს, ამაზე ვრცლად მაშინ ვისაუბროთ, თუ "ვიტ ჯორჯიამ" მიზანს მიაღწია. კარგად გვესმის, რომ მხოლოდ ახალგაზრდებით ევროტურნირებზე ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. კლუბს აქვს იმის რესურსი, რომ იქ გასვლის შემთხვევაში შემადგენლობის გაძლიერებაზე იზრუნოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამგადისი. ტორპედო

# ტორპედომ ჩხერიმელათი განწყობა შეიქმნა

ქუთაისის „ტორპედომ" საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე ბოლო საკონტროლო შეხვედრა პირველლიგელ ხარაგაულის „ჩხერიმელასთან" ჩაატარა.

მატჩი ქუთაისელთა სალორიის ბაზაზე გაიმართა. მასპინძლებმა ანგარიში 26-ე წუთზე გახსნეს: **ნიკა საბანაძემ** სტუმართა მეკარე **კუჭუხიძეს** მაღალ კუთხეში დაურტყა - 1:0.

28-ე წუთზე „ტორპედოს" თავდამსხმელმა **ლაშა კემუხტაშვილმა** "ჩხერიმელას" კარში მეორედ გაიტანა - 2:0.

33-ე წუთზე საბანაძე მცველს გაექცა და მარჯვენა დაბალ კუთხეში დარტყმით დუბლი შეასრულა - 3:0.

საბანაძეს მეორე ნახევარშიც შეეძლო გატანა, მაგრამ ხარაგაულელთა მეკარემ მისი თავური მშვენიერი ნახტომით მოიგერია.

**ტორპედო:** **ქვილითაია, ჭაავა (46. ფოფხაძე), ფარულავა, გურული, გუგუჩია (46. გ. სეთურიძე), გ. ჩხეტიანი, გიგაური (46 დ. კირკიტაძე), მაისურაძე (46. თარხნიშვილი), დოლიძე (65. კემუხტაშვილი), კემუხტაშვილი (46. გოცირიძე), საბანაძე (78. გუგუჩია).**

„ტორპედომ" მოსამზადებელ ეტაპზე კიდევ ექვსი საკონტროლო შეხვედრა გამართა. თურქეთში ვერც ერთი მოიგო. რუმინულ „უნივერსიტატეასთან" (2:2) და „გაზ მეთანთან" (1:1), აგრეთვე რუსულ „სკა-ენერგიასთანაც" ფრეს დასჯერდა - 1:1, ხორვატიულ „ვარტექსთან" (0:1) და ყაზახურ „ორდაბასისთან" (1:2) კი წააგო. გუნდმა მხოლოდ ქუთაისში მარტვილის „მერანთან" (2:1) და გუშინ "ჩხერიმელასთან" მოიგო.

ეროვნულ ჩემპიონატს "ტორპედო" 14 თებერვალს „ზესტაფონთან" გასვლითი შეხვედრით განაახლებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# კრივბასმა მხრები აიჩეჩა: კანკავა კავშირზე არ გამოვიდა

კრივოი როგის „კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა **მლადენ ბარტულოვიჩმა** ფოოტბალლ.უა-სთან ინტერვიუში შემატებულებზე ილაპარაკა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **ჯაბა კანკავას** ვერშემდგარი ტრანსფერიც ახსენა.

„კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყებოდა, რომ გუნდს შეკრებაზე დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ნახევარმცველი **ჯაბა კანკავა** გაჰყვებოდა. თუმცა ასე არ მოხდა. რატომ?

"დიახ, იყო ასეთი ინფორმაცია, მაგრამ შეკრებაზე გამგზავრებამდე ორი დღით ადრე კანკავას ვერ დავუკავშირდით, რადგან ტელეფონი გათიშული ჰქონდა. გაფრთხილებული გვყავდა "დნიპროც", მაგრამ კავშირზე მაინც არ გამოვიდა და მის გარეშე გავემგზავრეთ. ახლა სად არის და რას აკეთებს, არ ვიცი" - ამბობს "კრივბასის" მთავარი მწვრთნელი.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი




## ასათიანი თავის უფლებას ბოლომდე იყენებს

დეკემბერში **მალხაზ ასათიანისა** და მოსკოვის "ლოკომოტივის" გზები გაიყო - საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალურ მცველს მოსკოველ რკინიგზელებთან კონტრაქტი დაუსრულდა, ახალი არ შესთავაზეს და მას შემდეგ უგუნდოდაა. მალხაზი საახალწლოდ შინ დაბრუნდა, ამჟამად კი ისევ მოსკოვშია და ახალ კლუბში გადასვლას იმედოვნებს.

არ გამართლდა იმედი, რომ მალხაზი კიევის "დინამოში" დაბრუნდებოდა. ეს ხმები უკრაინულ კლუბში "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის, **იური სიომინის** დანიშვნის შემდეგ აგორდა, მაგრამ კიეველებს ინტერესი არ გამოუჩენიათ. არც "მონაკოსთან" დაკავშირებული ხმები მართლდება, თითქოს ფრანგებმა კონტრაქტი შესთავაზეს.

უკლუბოდ დარჩენილი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში **თემურ ქეცბაიამაც** არ გამოიძახა. მალხაზი იმედოვნებს, რომ უგუნდოდ არ დარჩება, მაგრამ ფაქტია, რომ რუსული კლუბები მეორე მოსამზადებელ ეტაპს ამთავრებენ, 29 წლის გამოცდილი ქართველი მცველი კი ჯერ არ დაბინავებულა.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი მოსკოვის "ლოკომოტივში" 2003 წლიდან თამაშობს და ერთი ხანობა რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატიც იყო, 2004 წელს რუსეთის ჩემპიონი გახდა, 2007 - რუსეთის თასის მფლობელი, 2003 და 2005 წლებში კი - რუსეთის სუპერთასის. კლუბს მხოლოდ 2008-2009 წლებში დაშორდა, როდესაც მოსკოველებმა კიევის "დინამოში" წასული იური სიომინის თხოვნით მცირე ხნით გაანათხოვრეს.

ცხადია, გვაინტერესებს, რატომ დარჩა რუსეთის პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი დღემდე უგუნდოდ? ჩვენი ინფორმაციით, ასათიანს რამდენიმე რუსული კლუბი იწვევს, მაგრამ მას ეს ვარიანტები არ მოსწონს და შეთავაზებებზე თავს უკეთესის მოლოდინში იკავებს.

მას ხელს ის უწყობს, რომ თავისუფალი აგენტია და დაინტერესებული კლუბი ნებისმიერ დროს დაიმატებს.

საქართველო-სომხეთის ფორუმმატჩი. მსუბუქად საკითხავი

# ქართულ-სომხური ინტერნეტხორუში

## მიმინო არსად გაფრენილა

### ცავატანემ VS გენაცვალე



სომხეთისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. "ჩემპიონატ.რუს" ფორუმში მატჩამდე ჩვენებიც ტრაბახობდნენ და მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ტრადიციული ქართულ-სომხური "ცავატანემ VS გენაცვალე", ანუ "მიმინო 2" – ორივე ერისთვის დამახასიათებელი თავმომწონეობით, მრავლად იყო სასაცილო თუ კურიოზული ფრაზები. თავიდან განსაკუთრებით იმედიანად სომეხი გულშემატკივრები იყვნენ, რადგან ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზე არიან, სლოვაკეთთან მოგებამ და სტუმრად მაკედონიასთან ფრემ მათში დიდი იმედი გაალვიძა, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლაზე ოცნებობენ და პროგნოზებშიც ისეთ გასაოცარ ანგარიშებს ასახელებდნენ, იფიქრებდი, იტალია-საფრანგეთ-ესპანეთის დონის ნაკრები ჰყავთო. და წავიდა...

ვფიქრობ, ეს ფორუმი კარგად ასახავს გულშემატკივართა ემოციებს და სუბიექტივიზმს, შევხედოთ ამ ყველაფერს იუმორით და კარგად გავერთობით ქართველებიც და ჩვენი მეგობარი სომხებიც.

წინასწარ გეტყვით, რომ ნომინალური მასპინძელი სომხეთი იყო და შედეგიც აქედან გამომდინარე წერია.

- სომხეთი ურიგო ფეხბურთს არ აჩვენებს. ქართველებს კი აქვთ გამონათებები. "ტოტალი" (ტოტალიზატორი) ჩვენს ორბურთიან უპირატესობაზე იღებს ფსონს. ცუდი არ არის.

- 3:1 სომხეთი ახლა აღმავლობის გზაზეა.

- 1:2 წინ საქართველო! სლოვენიას ხომ მოვუგეთ.

- 3:0 გაუმარჯოს სომხეთს!

- აჩვენეთ ქართველებს, რაც ვართ. წინ, სომხებო!

- კავკასიური დერბი პრინციპულია, სომხეთი გაიმარჯვებს!

- 0:2 საქართველო!!!

- 4:1!

- 2:0! ერევნის "რესპუბლიკურ სტადიონზე" თამაში ყველას უჭირს.

- რა შუაშია "რესპუბლიკური სტადიონი"? თამაში კვიპროსშია.

- რა მნიშვნელობა აქვს, სად ვითამაშებთ? ნებისმიერ შემთხვევაში სომხები ვიგებთ!

- ამას თქვენ არ უნდა ლაპარაკობდეთ. გაიხსენეთ 1997 წელი: საქართველო 7:0 სომხეთი.

- მაშინ სომხეთის ფედერაციის პრეზიდენტი ნაკრების მთავარი მწვრთნელის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდა და, ფაქტობრივად, ნაკრები ძალით ათამაშა. ოგანესიანს უვარჯიშებელი ფეხბურთელებით წასვლა არ სურდა, რადგან შედეგი წინასწარ ნათელი იყო.

- 1:2-ს ქართველები მოვიგებთ.

- ცავატანემ VS გენაცვალე! სომხების წარმატების იმედი მაქვს 2:0.

- 2:0, სომხეთი ახლა ბევრად უკეთესი გუნდია!

- 3:1 სომხეთი!

- სომხეთი 5:0.

- ოჰო, რამდენი სომეხია ფორუმზე. თუ გარიგება არ არის, საქართველო 0:2-ს, ან 1:2-ს მოიგებს. საქართველოს გაუმარჯოს!

- მხოლოდ გარიგებულ მატჩში ვერ მოიგებთ? უკანდასახევ გზებს წინასწარ ეძებთ. მინიმუმ 2:0-ს ვიგებთ.

- ბოლოს საქართველოს 2004 წელს იმავე კვიპროსში 2:0 მოვუგეთ.

- თუ გავითვალისწინებთ, თქვენთან რა კორუფციაც არის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველო მატჩს გაყიდის.

- უცნაური ხარ, რა შუაშია კორუფცია?

- რა არის უცნაური, თუ ქართველი აღიარებს, რომ მის ნაკრებს შეუძლია თამაშის გაყიდვა, მაშინ ამით თავისი ქვეყნის კორუმპირებულობასაც დაუკავშირებს.

- ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში დიდი ხანია კორუფცია არ არის.

- სასაცილოა, სააკაშვილმა ყველაფერი დაალაგა?

- გარიგებაზე რომ წერთ, გაიხსენეთ, რუსებს ოფიციალურ შეხვედრაზე რომ ევაჭრებით.

- კარგი იქნება, მნიშვნელოვანი მატჩების წინ ერთმანეთი არ დავამტვრიოთ!

- ჩვენთან ოთხ შეხვედრაში ქართველებმა ორი მოიგეთ, ერთი ფრედ დასრულდა და ერთხელ გავიმარჯვეთ. მაგრამ ეს ამხანაგური შეხვედრები იყო და არაფერს ნიშნავს.

- როგორც ყოველთვის, ჩემი სიმპათია სომხებს ეკუთვნით. მაგრამ როდესაც გადავხედე, მათ ბევრი ფეხბურთელი აკლდათ და ფსონი საქართევლოზე დავდე.

- საქართველოს არ ეყოლება დვალიშვილი, მარცვალაძე, გურული.

- მატჩი დაიწყო. ჩვენ გვჯერა სომხეთის!



- სომხეთი აწვება და უდიდეს უპირატესობას ფლობს.

- ქართველები პანიკაში არიან! ჯერჯერობით თავს იცავენ.

- საქართველომ კონტრშეტევაზე გოლი გაიტანა. იაშვილიიიიიიიიიიიიიიიი!

- თუმცა უნდა ალიაროთ, რომ საგოლე გადაცემის დროს კობიაშვილი თამაშგარეში იყო.

- თამაშგარეში არა კიდევ...!

- პირველი მეკარის ბერეზოვსკის არყოფნაში მისმა შემცვლელმა გამოსვლაზე ვერ მოასწრო.

- მდააა... ვაწვებით, ვაწვებით, გოლი კი ჩვენს კარში გავიდა...

- აბა, "შიშით" გავიტანეთ და მაინც გვაწვებით?

- შენ თამაშს უყურე, უბრალოდ, გაგიმართლათ. არაფერია, ახლა გაგითანაბრებთ...

- სომხები უფრო ტექნიკურად და კომბინაციურად თამაშობენ.

- შემთხვევითი გოლი გაიტანეთ, სომხეთი მაინც უკეთესი გუნდია და მოიგებს.

- კიდევ გავუშვით, ვინ არის ეს მეკარე?! ეჰ, რატომ არ გვყავს ბერეზოვსკი!

- ბუფონი გიშველიდათ?

- ბუფონი არა, ბერეზოვსკი ნამდვილად გვიშველიდა.

- 0:2! ერთხელაც არ გაგიმართლათ...

- რა ხდება, სომხეთის დამარცხება შესაძლებელი ყოფილა?

- სანამ არ გადახტებით, ჰოპს ნუ დაიძახებთ!

- თამაშამდე თქვენ არ იძახდით ჰოპს?

- საქართველოს სახელებითაც უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს, რა არის გასაკვირი?

- სომხეთი საქართველოს ვერასდროს მოუგებს!

- ქართველებთან თამაში გაყიდეს!

- მომწონს ქართველების დაცვა, რაღა უნდა ვთქვათ, ყოჩაღ!

- 3:2 სომხეთო, წინ!

- მაგრამ ჯერ 0:2-ია!

- ქართველებს კარგი მეკარე ჰყავთ.

- სომხეთი კარგად თამაშობს, მაგრამ ბოლო პასი გვაკლია. დაცვაშიც ხარვეზებია, ალბათ, ტრავმირებულთა გამო.

- ქართველებს მშვენიერი დაცვა ჰყავთ, მათ ველარ ვცნობ. ყოველთვის შემტევ ფეხბურთს აჩვენებდნენ, ახლა კი ცივსისხლიანი სკანდინავიელებივით თამაშობენ.

- სურვილის შემთხვევაში, ქართველებს ორ გოლს უპრობლემოდ გავუტანთ.

- პირველ ტაიმში სურვილი არ გქონდათ?

- მოგება მიზნად არც დაგვისახავს. თუმცა გათანაბრება სავსებით შეგვიძლია.

- ამოიჩემეთ, მეკარე არ გვყავსო. საქართველო გჯობნით და აღიარეთ.

- მოითმინე, ჯერ პირველი ტაიმის დასრულდა, მეორე წინაა და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

- შენ თამაშს უყურებ?

- ეეჰ, ქართველებს აშკარად უმართლებთ!

- პენალტი! გავიტანეთ! ასე რომ, გაიცანით ჩვენები!

- ყოჩაღ, სომხებო, ასე გავაგრძელოთ ქართველებზე დაწოლა!

- ქართველებს "ფორაც" კი მივეცით, რომ ვაჩვენოთ, რუსებს როგორ მოვუგებთ!

- სომხეთი ბევრად უკეთ გამოიყურება!

- მომწონს, როგორც ვთამაშობთ სომხები, ანგარიში მნიშვნელოვანი არ არის, ყველა ხედავს, ვინ არის უკეთესი.

- ამ ნაკრებმა საქართველოს უნდა მოუგოს!

- ანგარიშის გარდა, ყველაფერში სამმაგი უპირატესობა გვაქვს!

- საქართველოს ნაკრებში მეორე ტაიმში თითქმის ყველა შეცვალეს, სომხებმა კი შემადგენლობა დატოვეს და ამიტომაც ვთამაშობთ უარესად.

- მორჩა, 1:2 წავაგეთ, ანგარიშის გარდა ყველაფერი მაკმაყოფილებს!

- ცალსახაა, რამდენიმე ლიდერის გარეშეც ქართველებზე ღირსეულად ვითამაშეთ. იურა მოვსისიანი რომ გვყოლოდა, აუცილებლად გაგიტანდით.

- ცუდი ნაკრები არ გყავთ, მაგრამ კლასი გაკლიათ. მხითარიანი კარგია, შეიძლება მასზე დაყრდნობა.

- ჩვენც ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, ეს წაგების ახსნად არ გამოდგება. უბრალოდ, აღიარეთ, რომ გაჯობეთ!

- უპრობლემოდ ვაღიარებ, უბრალოდ, დასანანი წაგება იყო.

- ყველა რომ ყვიროდით, საქართველოს მოვუგებთო, ახლა ცხვირი რატომ ჩამოუშვით? გულს ნუ გაიტეხთ, რუსებთან თამაში გელით.

- არ ღირს ხასიათის გაფუჭება, ქართველების დაცვა მომეწონა, რაც უნდა იყოს, გუნდში კალაძე ჰყავთ. გილოცავთ, ქართველებო!

- ქეცბაიას შედეგზე მეტად ტაქტიკის დახვეწა აინტერესებდა. მან შეგნებულად აირჩია "მეორე ნომრად" თამაში, რადგან ხორვატიასთან მატჩისთვის ემზადება. ალბათ, 26 მარტს დაცვიდან ვითამაშებთ და გოლის გატანას კონტრშეტევებზე შევეცდებით. ქეცბაიამ ბევრი რეზერვისტიც გასინჯა.

სომხეთი კი, ყველაფრიდან გამომდინარე, შედეგზე თამაშობდა, რასაც მათი მცირე შეცვლები ადასტურებს. ჩემი აზრით, ეს უცნაურია, რადგან ამხანაგურში შედეგი მეორეხარისხოვანია.

ვფიქრობ, უფრო კარგად და სასარგებლოდ მატჩი ქეცბაიამ გამოიყენა. შედეგი მეორეხარისხოვანია, მაგრამ სასიამოვნოა, წაუგებელი სერია 9 მატჩამდე რომ გავაგრძელეთ.

- ბურთის ფლობის მაჩვენებელი სომხების უკეთეს თამაშზე არ მეტყველებს. ქეცბაია საქართველოს დაცვიდან ათამაშებს.

- წაგების მიუხედავად, სომხეთი კლასით და თამაშით ერთი თავით მაღლა იდგა. ყოჩაღ, ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა იყო და ხალხი გვაკლდა.

- რატომ არ გინდათ წაგების აღიარება? ჩვენ ასათიანი, მარცვალაძე, დვალიშვილი და "შალკეს" 20 წლის წევრი ყენია გვაკლდა.

- ქართველებო, გილოცავთ გამარჯვებას!

- საქართველოს გაუმარჯოს!

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს 2010-11 წლების XXII ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის კალენდარი

**III წრე**

**XIX ტური**

**12 თებერვალი, შაბათი**

კოლხეთი (ფოთი)-სამტრედია (სამტრედია)

**13 თებერვალი, კვირა**

დინამო (თბილისი)-სპარტაკი (ცხინვალი)
ოლიმპი (რუსთავი)-ვიტ ჯორჯია (თბილისი)
ბაია (ზუგდიდი)-სიონი (ბოლნისი)

**14 თებერვალი, ორშაბათი**

ზესტაფონი (ზესტაფონი)-ტორპედო (ქუთაისი)

**XX ტური**

**19 თებერვალი, შაბათი**

სპარტაკი-სამტრედია
სიონი-კოლხეთი
ტორპედო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ბაია
დინამო-ზესტაფონი

**XXI ტური**

**23 თებერვალი, ოთხშაბათი**

ბაია-ტორპედო
სამტრედია-სიონი
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-დინამო
ზესტაფონი-სპარტაკი

**XXII ტური**

**27 თებერვალი, კვირა**

დინამო-ბაია
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
ტორპედო-კოლხეთი
სპარტაკი-სიონი
ზესტაფონი-ოლიმპი

**XXIII ტური**

**6 მარტი, კვირა**

სამტრედია-ტორპედო
ოლიმპი-სპარტაკი
ზესტაფონი-ბაია
კოლხეთი-დინამო
სიონი-ვიტ ჯორჯია

**XXIV ტური**

**12 მარტი, შაბათი**

სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
დინამო-სამტრედია
ოლიმპი-ბაია
ტორპედო-სიონი
ზესტაფონი-კოლხეთი

**XXV ტური**

**16 მარტი, ოთხშაბათი**

სამტრედია-ზესტაფონი
სიონი-დინამო
ვიტ ჯორჯია-ტორპედო
კოლხეთი-ოლიმპი
ბაია-სპარტაკი

**XXVI ტური**

**20 მარტი, კვირა**

დინამო-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-სიონი
სპარტაკი-ტორპედო
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-კოლხეთი

**XXVII ტური**

**2 აპრილი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
კოლხეთი-სპარტაკი
სამტრედია-ბაია
სიონი-ოლიმპი
ტორპედო -დინამო

**IV წრე**

**XXVIII ტური**

**6 აპრილი, ოთხშაბათი**

სპარტაკი-დინამო
სიონი-ბაია
სამტრედია-კოლხეთი
ტორპედო-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

**XXIX ტური**

**10 აპრილი, კვირა**

სამტრედია-სპარტაკი
კოლხეთი-სიონი
ზესტაფონი-დინამო
ბაია-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-ტორპედო

**XXX ტური**

**15 აპრილი, პარასკევი**

დინამო-ოლიმპი
სპარტაკი-ზესტაფონი
ტორპედო-ბაია
ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
სიონი-სამტრედია

**19 აპრილი, სამშაბათი**

დ. ყიფიანის საქ. თასის 1/2 ფინალის პირველი მატჩები

**XXXI ტური**

**23 აპრილი, შაბათი**

სიონი-სპატაკი
სამტრედია-ვიტ ჯორჯია
კოლხეთი-ტორპედო
ბაია-დინამო
ოლიმპი-ზესტაფონი

**XXXII ტური**

**30 აპრილი, შაბათი**

სპარტაკი-ოლიმპი
ზესტაფონი-ბაია
დინამო-კოლხეთი
ვიტ ჯორჯია-სიონი
ტორპედო-სამტრედია

**4 მაისი, ოთხშაბათი**

დ. ყიფიანის საქ. თასის 1/2 ფინალის საპასუხო მატჩები

**XXXIII ტური**

**8 მაისი, კვირა**

ბაია-ოლიმპი
სიონი-ტორპედო
სამტრედია-დინამო
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
კოლხეთი-ზესტაფონი

**XXXIV ტური**

**14 მაისი, შაბათი**

ზესტაფონი-სამტრედია
სპარტაკი-ბაია
ოლიმპი-კოლხეთი
დინამო-სიონი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია

**XXXV ტური**

**18 მაისი, ოთხშაბათი**

ტორპედო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-დინამო
სიონი-ზესტაფონი
სამტრედია-ოლიმპი
კოლხეთი-ბაია

**XXXVI ტური**

**22 მაისი, კვირა**

სპარტაკი-კოლხეთი
ბაია-სამტრედია
ოლიმპი-სიონი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ტორპედო

**26 მაისი, ხუთშაბათი**

დ. ყიფიანის საქ. თასის ფინალი

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| **ზესტაფონი**<br>გია გეგუჩაძე | გ. მიქაბერიძე, ცხადაია (ორივე-სამტრედია, იჯარით),მაკარიანი (?), ნ. გელაშვილი (?), გ. ხიდეშელი (?) | გრუიცა, (ხორვატია), მენთეშაშვილი (ჰაპოელი აშქელონი, ისრელი) | **8 იანვრიდან ზესტაფონში**<br>ზესტაფონი-სამტრედია 7:1<br>**24 იანვრიდან ესპანეთში**<br>ზესტაფონი-ლეხი 2:2<br>ზესტაფონი-სპარტა 0:5<br>ზესტაფონი-დინამო (კ) 2:2, პ. 4:5<br>ზესტაფონი-ლოკომოტ. (ბულ) 3:0 |
| **ოლიმპი**<br>თორნიკე მაისურაძე | ყაზაიშვილი, ხოჭოლავა (ორივე - სიონი), ჭანტურია (?), ბერიაშვილი (თურანი, აზერბაიჯანი), ახალკაცი (დილა), თ. ლონლაძე (?) | ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი), ი. მაისურაძე (ვიტებსკი, ბელარუსი), მურველაშვილი (კახეთი), სეთურიძე (?), ქურდობაძე (სამტრედია დუბლი), გორდეზიანი(?), ბახტაძე(ფინეთი), ტყემალაძე (სამტრედია), ბეროშვილი (?), სარაჯიშვილი (?) | **4 იანვრიდან რუსთავში**<br>ოლიმპი-სიონი 1:2<br>**20 იანვრიდან თურქეთში**<br>ოლიმპი-ისტანბულსფორი 4:0<br>ოლიმპი-სერვეტი 3:2<br>ოლიმპი-კიასო 1:0<br>ოლიმპი-ვილი 1:0<br>ოლიმპი-აკადემიკა 0:0, პ. 5:4<br>ოლიმპი-სტუ 6:2 |
| **დინამო**<br>კახა კაჭარავა | **ვაწაძე (ვოლგა, რუსეთი), შეყრილაძე (დილა), მუჯირი (ჰიროსიმა, იაპონია), მეტრეველი (სპარტაკი), ლილუაშვილი (?)** მამუჩიშვილი (სპარტაკი), ნემსაძე (გაგრა), გავაშელიშვილი (კოლხეთი) | **კახა კაჭარავა (მთავარი მწვრთნელი), ზაურ სვანაძე (მთავარი მწვრთნელის ასისტენტი), შ.კაშია (სპარტაკი), ზარქუა, კვეკვესკირი (ორივე - ბაია), ტატანაშვილი (მეტალურგი ზ. უკრაინა), ციმაკურიძე (უგუნდოდ), მაროვიჩი, (სერბეთი)**, ჰომოლა (იაბლონეცი, ჩეხეთი), ჰაჯიბულიჩი (ბოსნია), არზიანი (ანჟი, რუსეთი), იელიჩი (სერბეთი), სემლერი (სლოვენია) | **3 იანვრიდან თბილისში**<br>დინამო-სტუ 3:1<br>დინამო-ლოკომოტივი 3:1<br>დინამო-სიონი 4:1<br>დინამო-დილა 1:0<br>დინამო-გაგრა 2:1<br>**23 იანვრიდან ანთალიაში**<br>დინამო-ნალჩიკი 0:1<br>დინამო-სევასტოპოლი 0:2<br>დინამო-ვოლინი 2:1<br>დინამო-ოსიეკი 2:2<br>დინამო-ზარია 1:2 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>მერაბ კოჭლაშვილი | დ. ლომაია (კონტრაქტი დაუმთავრდა), **ლიპარტია (ზარია, უკრაინა)**, კლიმიაშვილი (ანჟი, რუსეთი) | **გაბრიჭიძე, ჯულელი (ორივე მეშახტე), ქავთარაძე (ნორჩი დინამო), როსტიაშვილი (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა)** | **5 იანვრიდან თბილისში**<br>ვიტ ჯორჯია-სტუ 2:0<br>ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი 2:0<br>**22 იანვრიდან ანთალიაში**<br>ვიტ ჯორჯია-პალეშერი 0:2<br>ვიტ ჯორჯია-აფშერონი 2:1<br>ვიტ ჯორჯია-ადმირა (დუბლი) 3:1<br>ვიტ ჯორჯია-აუერბახი 0:0 |
| **ბაია**<br>ელგუჯა ქომეთიანი | **მეგრელაძე (ტორპედო), გუგუჩია (ტორპედო, იჯარით), კვეკვესკირი, ზარქუა (ორივე - დინამო), დოლიძე (ტორპედო), ჭიჭვეიშვილი (კარიერა დაასრულა)**, ზუხბაია (?), გოგობერიშვილი (სიონი), კ. ჩხეტიანი (?), ხუბუა (?), გ.მ. ხიდეშელი (იარო, ფინეთი), ლ. ახალაია (?), კანდელაკი (?), ლ. აკობია (ულისი, სომხეთი), კვესეიშვილი (უზბეკეთი) | მაქაცარია, სვირავა, გ. ქირია (სამივე - სქური), აქუბარდია (სპარტაკი), დანილო (ბრაზილია), გამრეკლიძე (?), კუხალაშვილი (?) | **3 იანვრიდან ზუგდიდში**<br>ბაია-კოლხეთი (ფ) 1:1<br>ბაია-მერანი 1:2<br>ბაია-სამტრედია 5:0<br>ბაია-კოლხეთი (ხ) 0:0<br>ბაია-ულისი 3:0<br>ბაია-გურია 8:0<br>ბაია-გაგრა 0:0<br>ბაია-გაგრა 2:0<br>ბაია-დილა 2:1 |
| **ტორპედო**<br>გია გიგატაძე | **როსტიაშვილი ( ვიტ ჯორჯია, იჯარა დაუმთავრდა)**, ზ. ხაჭიპერაძე (?), კვერნაძე (?), ლ. კირკიტაძე (სამტრედია), ბიბილაშვილი (?), ცნობილაძე (?), ნ. კვასხვაძე (სიონი) | **გვარამაძე (მეკარეების მწვრთნელი, სპარტაკი)**, მეგრელაძე, დოლიძე (ორივე ბაია), გუგუჩია (ბაია, იჯარით), ნ. მაისურაძე (სპარტაკი), ქებაძე, დ. კირკიტაძე, ბაკურაძე (სამივე - სამტრედია), რ. გოცირიძე (სიონი) | **3 იანვრიდან ქუთაისში**<br>**22 იანვრიდან ანთალიაში**<br>ტორპედო-უნივერსიტატეა 2:2<br>ტორპედო-გაზ მეთანი 1:1<br>ტორპედო-სკა ენერგია 1:1<br>ტორპედო-ვარტექსი 0:1<br>ტორპედო-ორდაბასი 1:2<br>ტორპედო-მარტვილი 2:1<br>ტორპედო-ჩხერიმელა 3:0 |
| **სიონი**<br>გიორგი ყიფშიძე | **გიორგი ყიფიანი (მთავარი მწვრთნელი), უგრეხელიძე, ქურასბედიანი (ორივე სპარტაკი)**, ლ. ჭელიძე (?), გ. ნოდ. ჭელიძე (?), გ. თოდუა (?), ნემსაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა), რ. გოცირიძე (ტორპედო) | ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), რ. ჯიქია, (კოლხეთი), რეხვიაშვილი (უგუნდოდ), გოგობერიშვილი (ბაია), ნ. კვასხვაძე (ტორპედო), ქუცურუა (სტუ) | **25 დეკემბრიდან - ბოლნისში**<br>სიონი-სპარტაკი 1:1<br>სიონი-ოლიმპი 2:1<br>სიონი-სტუ 3:3<br>**20 იანვრიდან - ურეკი**<br>სიონი-კოლხეთი (ფ) 0:0<br>სიონი-სამტრედია 3:0<br>სიონი-გურია 6:1<br>სიონი-17-წლ. ნაკრები 3:1<br>სიონი-ულისი 2:2<br>სიონი-ნეფთჩი ISM 1:2<br>სიონი-სტუ 5:0 |
| **კოლხეთი**<br>ბესიკ შეროზია | **ჭითანავა, ჯოჯუა (ორივე - დილა)**, გ. შენგელია (?), სტურუა (?), ექონია (?), ო. გველესიანი (თურანი, აზერბაიჯანი), გ. დეკანოსიძე (?), სილაგავა (?), რ. ჯიქია (სიონი), თედიაშვილი (?), სიჭინავა, ციცხვაია (ორივე გაგრა) | ძაგანია, კვერენჩხილაძე, ფურთუხია (სამივე - სამტრედია), ვ. ლობჟანიძე (ოლიმპის დუბლშემადგენლობა), გავაშელიშვილი (დინამო), მდივნიშვილი (?) | **20 იანვრიდან - ფოთში**<br>კოლხეთი-სამტრედია 3:1<br>კოლხეთი-ბაია 1:1<br>კოლხეთი-სიონი 0:0<br>კოლხეთი-ულისი 2:2<br>კოლხეთი-17-წლ. ნაკრები 4:2<br>კოლხეთი-გურია 0:0<br>კოლხეთი-დილა 2:0 |
| **სამტრედია**<br>ლევან ანჯაფარიძე | **გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი), ქებაძე, დ. კირკიტაძე, ბაკურაძე (სამივე - ტორპედო)**, ლ. ძაგანია, კვერენჩხილაძე, ფურთუხია (სამივე - კოლხეთი), ტყემალაძე (ოლიმპი) | ცხადაია, გ. მიქაბერიძე (ორივე ზესტაფონი, იჯარით), ალავერდაშვილი (ფინეთი), ლ. კირკიტაძე (ტორპედო), ხვადაგიანი (სამგურალი) | სამტრედია-კოლხეთი (ფ) 1:3<br>სამტრედია-ზესტაფონი 1:7<br>სამტრედია-სიონი 0:3<br>სამტრედია-ბაია 0:5<br>სამტრედია-გაგრა 1:2<br>სამტრედია-გურია 2:1 |
| **სპარტაკი**<br>ბადრი კვარაცხელია | გალდავა (?), ჩალაძე (მარტვილი), მამუდოვი (?), ბაბულაიძე (?), ცინცაძე (?), კორსანტია (?), სარალიძე (?), თავზერიძე (?), ფურცელაძე (?), გ. ძაგანია (?), მაისურაძე (ტორპედო), შ. კაშია (დინამო), აქუბარდია (ბაია) | **ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი), ქურასბედიანი, უგრეხელიძე (ორივე სიონი)**, მანჩხავა (უგუნდოდ), მეტრეველი, მამუჩიშვილი (ორივე - დინამო) | **27 დეკემბრიდან - თბილისში**<br>სპარტაკი-სიონი 1:1<br>**10 იანვრიდან - ურეკი**<br>**23 იანვრიდან - თბილისში**<br>სპარტაკი-განჯა 1:1<br>სპარტაკი-სტუ 2:4<br>სპარტაკი-გაგრა (დუბლი) 5:0<br>სპარტაკი-დინამო (დუბლი) 1:0 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

### ოლიმპი

## ოლიმპი და ლონლაძე ხელშეკრულები აღარ არიან

რუსთავის "ოლიმპი" ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა **თემურ ლონლაძემ** დატოვა. ჩვენთვის ეს მაშინ გახდა ცხადი, როდესაც "ოლიმპმა" თსუ-სთან საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, ორი შემადგენლობით ითამაშა, 25 წლის მცველი კი მოედანზე არ გამოჩენილა. ცხადია, ამან კითხვები დაბადა, მაგრამ მაშინ ლონლაძის უთამაშებლობა ტრავმით ახსნეს.

გუნდიდან ლონლაძის წასვლა გუშინ რუსთაველთა პრესატაშე **შოთა შერმადინმა** დაგვიდასტურა.

*"თემურ ლონლაძის წასვლას ვიდასტურებთ. მას დღეს კლუბმა გათავისუფლების ფურცელი მისცა და კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყდა. გეტყვით, მიზეზსაც: ფეხბურთელმა და მთავარმა მწვრთნელმა ისაუბრეს, თორნიკე მაისურაძემ უთხრა, რომ ძირითადში ადგილს ვერ შეჰპირდებოდა. მაშინ ფეხბურთელმა გათავისუფლების ფურცელი და კონტრაქტის განვეტა ითხოვა. კლუბს მისთვის დაბრკოლება არ შეუქმნია, ხელშეკრულება გაბათილდა და მას წარმატებებს ვუსურვებთ"* – გვითხრა შერმადინმა.

თბილისის "დინამო" ან ბოლნისის "სიონი" - დაზუსტებული ინფორმაციით, ლონლაძე კარიერას ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთში გააგრძელებს. ექს-ოლიმპელი ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა და "ოლიმპიდან" წამოსვლასა და ახალ გუნდზე მისი კომენტარი ვერ მოვისმინეთ.

შეგახსენებთ, რომ თემურ ლონლაძე მარჯვენა მცველია, თამაშობდა "ბორჯომში", "ვიტ ჯორჯიაში", ახალციხის "მესხეთში", "ოლიმპში", ზაქათალის 'სიმურგში", საიდანაც "ოლიმპში" დაბრუნდა. უთამაშია საქართველოს 17-წლამდელთა და ეროვნულ ნაკრებებში.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# დანიელთა კრისტიანული პასები


დანიელთაგან კრისტიან ერიქსენს თუ გამოარჩევდით

„ასტონ ვილას“ თავდამსხმელების, **დარენ ბენტისა** და **ეშლი იანგის** გოლებით ინგლისის ნაკრებმა დანიელებზე ექვსი წლის წინანდელი 4:1-ისთვის შური იძია. ამჯერად კოპენჰაგენის „პარკენ სტადიონზე“ თამაში სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა - 2:1.

შეხვედრის წინა დღეებში პრესა-ტელევიზია, განსაკუთრებით 19 წლის **ჯეკ უილშირს** აქებდა. არსენალელ ყმაწვილკაცს ხოტბას მწვრთნელი **ფაბიო კაპელოც** ასხამდა, მაგრამ როგორც თამაშმა გვაჩვენა, ის მასზე ერთი თვით და ორი კვირით უმცროსმა დანიელმა **კრისტიან ერიკსენმა** დაჩრდილა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უილშირმა ცუდად ითამაშა. ის ბურთს კარგად ფლობდა და ყველაფერში ეტყობოდა, რომ დიდი მომავალი ელის, მაგრამ აიაქსელ ერიკსენს გუნდის თამაშზე მეტი გავლენა ჰქონდა. თუ ვინმე ნახევარდაცვაში ბატონობდა, ეს დანიელი ჭაბუკი გახლდათ. ერთი სიტყვით, კაპელოს „მომავალმა **ფრანკო ბარეზიმ, პაოლო მალდინიმ** და **რაულმა**“ მაინცდამაინც არ გაამართლა (თამაშამდე 24 საათით ადრე გამართულ პრესკონფერენციაზე იტალიელმა მწვრთნელმა უილშირი სწორედ ამ ამპლუით განსხვავებულ, თუმცა სიდიადით მსგავს ფიგურებს შეადარა) დანიელთა „მომავალმა **მიქაელ ლაუდრუპმა**“ კი გულშემატკივარი გაახარა - მაშინ როდესაც ინგლისელის შეტევები მასპინძელთა დაცვას ასკდებოდა, სტუმრების მცველთა ოთხეულს „აიაქსის“ ყმაწვილთან გამკლავება ძალიან უჭირდა. ერიკსენი მოხერხებული გადაადგილებით სამოქმედო სივრცესაც პოულობდა და ამწვავებდა კიდეც შეტევებს.

სწორედ ერიკსენმა მიაწოდა პასი **ნიკლას ბენდტნერს**, როდესაც მისი დარტყმული **ფრენკ ლემპარდს** მოხვდა და **ჯო ჰარტის** კარს ასცდა. და რაა გასაკვირი, რომ კვლავ ერიკსენი გახლდათ ის მოთამაშე, რომლის ჩაკიდებულ ბურთსაც დაარტყა თავური **დანიელ აგერმა** - მასპინძლები მე-8 წუთზე გატანილმა ამ გოლმა დააწინაურა. გოლის ეპიზოდში პასიც ჩინებული იყო და ლივერპულელი მცველის თავურიც, თუმცა თუკი ერიკსენის ჩახვეულ ჩაწოდებულს ძნელად თუ მოუხერხებდა კაცი რამეს, აგერისთვის ხელის შეშლა ლემპარდსა და **ჯონ ტერის** მართებდათ.

მაგრამ, კაპელოს გასახარად, მისმა ბიჭებმა თავის ხელში აყვანა და მდგომარეობის გამოსწორება მალევე შეძლეს. იტალიელმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაასკვნა, რომ **უეინ რუნის** თამაში მაშინ სჯობს, როდესაც ის საგოლე მომენტებს სხვებისთვის ქმნის, რაშიც, ალბათ, კიდევ ერთხელ მაშინ დარწმუნდა, როდესაც მანჩესტერელის პასს მარჯვენა ფრთაზე **თეო უოლკოტის** ეფექტური დრიბლინგი და დაბალი პასი მოჰყვა - დანიელმა მცველებმა უოლკოტის ჩაწოდებულს რატომღაც მხოლოდ თვალი გააყოლეს, რითაც შორეულ ძელთან თავის გემოზე დარჩენილმა **დარენ ბენტმა** ისარგებლა. სხვათა შორის, პირველივე ტაიმში ბენტმა კიდევ ერთი გოლი შეაგდო, მაგრამ ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს.

რუნი ვახსენეთ და, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჯერ კიდევ 0:0-ის დროს მასაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ **მატიას იორგენსენმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენებისას კაპელომ 6 ფეხბურთელი შეცვალა. საინტერესოა, რომ სწორედ მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე კაცი, რომელსაც ნაკრების ფორმა ოთხწელიწად-ნახევარი არ სცმია - **სკოტ პარკერი**, პირველი ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულ გუნდში ოთხი სხვადასხვა გუნდიდან გამოიძახეს. პირველ ტაიმში საკმაოდ უსახური ლემპარდის გასვლამ კი კიდევ ერთი კაპიტანი შვა - **ეშლი კოული**, რომელიც 87-ე სანაკრებო შეხვედრას ატარებდა.

მეორე ტაიმი საკმაოდ სტერილური გამოდგა. ერთი-ორ ეპიზოდში ნაქებმა ერიკსენმა გაიბრწყინა და აქეთაც ბენტმა სცადა ბედი, მაგრამ გადამწყვეტი გოლი ეშლი იანგმა შეაგდო - **გლენ ჯონსონმა** ბურთი დანიელთა ნახევარზე იხელთა, სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, მეტოქის კარს რომ მიუახლოვდა, „ასტონ ვილას“ ფორვარდს მიაწოდა და მანაც დინამიკურ ეპიზოდს დაბალი დარტყმით ჯეროვანი დაბოლოება მოუძებნა.

თამაშის შემდეგ კაპელომ თქვა: *„შედეგით და ზოგი ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ. მომეწონა ბენტი, რომელიც „ასტონ ვილასთან“ შედარებით ნაკრებში განსხვავებულ დავალებას ასრულებდა. პირველ ტაიმში საკმაოდ თავდაჯერებით ითამაშა უილშირმა. ეს საინტერესო დებიუტი იყო. ვათამაშებ თუ არა მას მარტში, უელსში, შესარჩევ შეხვედრაში? მართალი გითხრათ, ამაზე ფიქრი ჯერ ცოტა ადრეა. ერთი თვე უნდა დაველოდო და ვნახო, როგორ ფორმაში იქნებიან ეს ფეხბურთელები იმ დროისთვის, რადგან ამ ერთი თვის განმავლობაში მათ თავიანთ კლუბებში ძალიან მნიშვნელოვანი თამაშები ელით.*

ერთა თასი

# ავივას არასრულფასოვანი ჩემპიონატი

ერთა თასი, რომელსაც სპონსორის ეშხით „ქარლინგისა“ დაერქვა ჩრდილო ირლანდიელი მწვრთნელისა და ყოფილი ფეხბურთელის **ლორი სანჩესის** მოგონილია. ეს გახლავთ შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს ორივე ირლლანდია, შოტლანდია და უელსი - მოკლედ, ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრებთაგან ყველა იგლისის გარდა. სანჩესი ლონდონში დაბადებული, მამით ეკვადორელი კაცი გახლავთ და არ იფიქროთ, რომ თავში ანტიინგლისური იდეა მოუვიდა. შესაძლოა, მისი ჩანაფიქრი ბრიტანული ერთობისკენაც კი იყოს მიმართული. მეტიც, უელსის ფეხბურთის ასოციაცია იმედოვნებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს თასის გათამაშებას ინგლისელებიც შეუერთდებიან, მაგრამ აქ, ტექნიკური პრობლემა იჩენს თავს - კალენდარი და ვადებია შესათანხმებელი. მოკლედ, ყველაფერს ახლებურად უნდა მოფიქრება. ასეა თუ ისე, ვარაუდობენ, რომ სრულყოფილი „შიდაბრიტანული ჩემპიონატი“ 2013 წლიდან დაიწყებს არსებობას, მანამდე კი ინებეთ - „ქარლინგის ერთა თასი“, რომელშიც ყველა ყველას თითოჯერ ხვდება. შეჯიბრებას დუბლინის „ავივას“ სტადიონი მასპინძლობს, ოღონდ დროში გაწელილია. ჯერჯერობით ორი თამაში გაიმართა: სამშაბათს ირლანდიამ უელსს 3:0 მოუგო, ოთხშაბათს კი ჩრდილო ირლანდიამ შოტლანდიასთან წააგო ასეთივე ანგარიშით. შემდეგი ტურები 24-29 მაისს გახლავთ დანიშნული.

ლორი სანჩესმა შეჯიბრება კი მოიგონა და მისი დაწყება ეჭვი არ არის, ძალიან გაახარებდა, მაგრამ იმის ნახვა, რაც მისი დედულეთის გუნდს სქოთებმა შეამთხვიეს, ნამდვილად არ ესიამოვნებოდა. ჩრდილო ირლანდიამ შოტლანდიას ნამდვილი წინააღმდეგობა მხოლოდ 10 წუთის განმავლობაში გაუწია, მერე კი ცუდად წაუვიდა საქმე. სქოთებს პირველი გოლის შეგდება მე-13 წუთზევე შეეგდოთ, მაგრამ არ გაუმართლათ და ანგარიში „ბურსასფორის“ თავდამსხმელმა **კენი მილერმა** „მხოლოდ“ მე-18 წუთზე გახსნა - ის დაშავებული **დარენ ფლეტჩერის** ნაცვლად კაპიტნობდა ეროვნულ გუნდს. 32-ე წუთზე „ტარტანის არმია“ (შოტლანდიის ნაკრებს მათი ეროვნული კილტის მოხატულობის გამო სწორედ ასე ეძახიან) „ფულჰემის“ ნახევარმცველმა **ჯეიმს მაკარტურმა** დააწინაურა, ხოლო „სელტიკის“ ფეხბურთელმა **კრის კომონსმა** მესამე გოლი 52-ე წუთზე შეაგდო.


კენი მილერის საგოლე შეტევა

მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა თავკაცმა **კრეიგ ლივეინმა** თქვა: *„ბოლო ხნის განმავლობაში დაჟინებით ვიმეორებდი, რომ ჩემი ბიჭები საკლუბო დონეზე საუკეთესო ფეხბურთს თამაშობენ და დღეს გამოჩნდა, რომ მათ ეს სანაკრებო დონეზეც შეძლებიათ. ბედნიერი ვარ, რომ მათ ხალხის თვალში ტრაბახად და ტყუილების მოლაპარაკედ არ გამომიყვანეს“.*

წინა დღეს კი, ირლანდიელებმა უელსის ახალ მწვრთნელს **გერი სპიდს** დებიუტი ჩაუშხამეს - 3:0. უსახური პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა თავს შეუძახეს და ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 23 წლის ნახევარმცველმა **დარონ გიბსონმა** გაიტანა პირველი გოლი ეროვნული გუნდის მაისურით, შემდეგ კი „ფულჰემის“ ფორვარდმა **დემიენ დაფმა** და შეცვლაზე შესულმა „ბირმინგემ სიტის“ ნახევარმცველმა **კით ფეჰეიმაც** შეაგდეს თითო.

მატჩის შემდეგ ირლანდიელთა იტალიელი თავკაცი **ჯოვანი ტრაპატონი** კმაყოფილი გახლდათ, რადგან მისთვის ეს მატჩი უპირველეს ყოვლისა მაკედონიასთან შესარჩევი შეხვედრისთვის მომზადების საშუალება იყო და არა ბრიტანეთის არასრულყოფილი ჩემპიონატი:

*„მართალია, მაკედონია უელსისგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ დღევანდელმა შეხვედრამ გვაჩვენა, რომ პოტენციალი ჩვენც გვაქვს. ნამდვილად კარგი გუნდი გვყავს, რომელსაც შთაბეჭდილების მოხდენა და გამარჯვება შეუძლია. სამწუხაროა, რომ ზოგი ჩვენი ფეხბურთელი თავის კლუბში იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში. მათ რეგულარულად რომ ათამაშებდნენ, ნაკრებიც გაცილებით კარგ შედეგებს მიაღწევდა“.*

ამბები

## მდიდრებიც ტირიან

ოდესღაც იყო ასეთი მექსიკური სერიალი, „მდიდრებიც ტირიან“, რომლის სახელწოდება ზუსტად მიესადაგება იმას, რაც „მანჩესტერ სიტის“ შეფობამ დანანებით თქვა: მსოფლიოს უმდიდრეს კლუბობასთან ახლოსაც არ ვართო. როგორც ხედავთ, ტირიან - მეტი უნდათ და იმიტომ! ცნობისათვის: ისტლენდელთა მეპატრონე შეიხი **მანსური** 20 მილიარდის პატრონია, მისი ოჯახის ქონება კი მთლიანად 550 მილიარდად ფასდება.

და მაინც, „მანჩესტერ სიტი“ მდიდარ კლუბთა ჩამონათვალში მხოლოდ მე-11 პოზიციაზეა. თანაქალაქელი „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც ისტლენდელები ხვალ ეთამაშებიან, მათზე რვა ადგილით წინ არის. ტოპექვსეული კი უცვლელია: „რეალი“, „ბარსელონა“, „იუნაიტედი“, „ბაიერნი“, „არსენალი“ და „ჩელსი“. „ლივერპულმა“ მერვეზე გადაინაცვლა - „მილანი“ გაუშვა წინ.

როგორც ნახეთ, მდიდართა შორის ინგლისური კლუბების სიმრავლეა - „მანჩესტერ სიტის“ შემდეგ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მოდის. საკუთრივ „სიტის“ კი რაგინდ მეტი უნდოდეს, პროგრესით უკმაყოფილების საბაბი არ აქვს: წინა დათვლის დროს მე-20 ადგილზე იყო.

## ჩეხი ჯერჯერობით დარდობს

„ჩელსის“ მეკარე **პეტრ ჩეხი** დარდობს, რომ „ლივერპულთან“ შეხვედრაში მისმა შეცდომამ ინგლისის ჩემპიონს ტიტულის ხელახლა მოგების შანსი წაართვა. გეხსომებათ: როდესაც **რაულ მეირელეშმა** გოლი შეაგდო, ჩეხს პოზიცია დაკარგული, თავგზა კი დაბნეული ჰქონდა. მატჩის შემდეგ გოლკიპერის შეცდომაზე „ლურჯების“ მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმაც** კი ილაპარაკა.

ჩეხმა თქვა: *„რასაკვირველია, გოლი ჩემი შეცდომის ბრალი იყო. მწვრთნელი სხვას ვერაფერს იტყოდა. შეცდომები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია და მათთან ერთად ცხოვრებას შეჩვეულები ვართ. ამ სეზონში ეს გახლდათ ჩემი პირველი შეცდომა, რომელმაც გოლი განაპირობა. სამწუხაროა, რომ „ლივერპულს“ ვერ მოვუგეთ. ეს იყო ტური, რომელშიც „იუნაიტედი“ და „არსენალი“ წაფორხილდნენ და ჩვენ მათთან ჩამორჩენის შემცირება შეგვეძლო. მომხდარს თუ განვიცდი? რასაკვირველია. ცოტა ხანს ეს განცდა კიდევ გამყვება, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მიმავიწყდება“.*

დღეს ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ შორის სხვაობა 10 ქულაა, რასაც ჩეხი ასე უყურებს:

*„ასეთი ჩამორჩენა დეკემბერმა გამოიწვია. ჩვენ გასული წლის ბოლო თვეში საშინლად ვთამაშობდით, მაგრამ არ არის გამორიცხული ჩავარდნა „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ მოუვიდეს. თუ ასე მოხდა, მაშინ, შეიძლება, სიტუაცია შეიცვალოს“.*

## ოლიმპიური ვესტ ჰემს

2012 წლის ზაფხულის თამაშების შემდეგ ლონდონის ოლიმპიური სტადიონი, რომლის მშენებლობა 550 მილიონი ფუნტი ჯდება, „ვესტ ჰემის“ გახდება - ასეთია წინასწარი დასკვნა. Olympic Park Legacy Company-ს შეფებმა გადაწყვიტეს, ვისაც ჯერ არს სწორედ ეს კლუბი ურჩიონ. საბოლოო გადაწყვეტილებას 31 მარტს შევიტყობთ, მაგრამ ინგლისურ პრესაში ისეთი ამბავი ატყდა, რომ, აშკარაა - ყველაფერი სწორედ ასე მოხდება.

საქმეში ჩახედულმა მავანმა ტაბლოიდებს უთხრა: *„რასაკვირველია, ჯერ ამ ამბის ოფიციალურად გამოცხადება არ შეიძლება, მაგრამ იმის თქმას, რომ „ვესტ ჰემსა“ და „ტოტენჰემს“ შორის აშკარა ფავორიტი „ჩაქუჩების“ გუნდია, წინ არაფერი უდგას“.*

შეგახსენებთ რა განსხვავებაა ლონდონის ორი გუნდის პროექტებს შორის: „ვესტ ჰემი“ სტადიონზე სარბენი ბილიკების ხელის ხლებას არ აპირებს და ნაგებობას მძლეოსანთათვის არ დაკეტავს (თან, სარბიელს, სადაც ოლიმპიადა ჩატარდება, შესაძლოა ისტორიული ადგილის და მუზეუმის დატვირთვაც დაემატოს), „ტოტენჰემი“ კი რეკონსტრუქციას გეგმავს. „დეზებს“ უნდათ ოლიმპიური სტადიონი საფეხბურთო გახადონ, მძლეოსნებს კი ცალკე აუშენონ „ბინა“.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ინტერვიუ იურგენ კლოპთან

# ჯერ სადა ხართ...

## კლოპმა კონკურენტები შეაშინა: დორტმუნდს შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არ გამოუვლენია!

**საფეხბურთო** გერმანიაში ყველა დორტმუნდის „ბორუსიას" ბრწყინვალე თამაშზე ლაპარაკობს, გერმანიის ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი კი კონკურენტებს უფრო მეტად აშინებს: „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში BVB-ს თავკაცი ამბობს, რომ მის გუნდს შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არ გამოუვლენია.

**- ჰერ კლოპ, „შპორტ აინსმა" დიდი გამოკითხვა ჩაატარა და ჩვენმა მკითხველებმა თქვენი გუნდი 2010 წლის საუკეთესოდ დაასახელეს – მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს გერმანიის ჩემპიონი „ბაიერნი" გახდა და მიუნხენურმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშა...**

- ...ჰო, მაგრამ „ბორუსიამ" ამ სეზონის პირველი ნახევარი იმდენად შთამბეჭდავად ჩაატარა, რომ არ მიკვირს, ხალხმა წლის კლუბად მაინც ჩემი გუნდი რომ აღიარა.

**- ყველა ინტერვიუში ამბობთ, რომ ჩემპიონობაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ზედმეტად ფრთხილი ხართ?**

- არ ვიცი, რას ფიქრობენ სხვები, თუმცა ლოგიკურია, რომ ბუნდესლიგის უმთავრეს ფავორიტად ყველა ჩვენ გვასახელებს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ, ფეხბურთელები, ხელმძღვანელები და მე ჩემპიონობაზე არ ვფიქრობთ. უფრო სწორად, ჯერ არ ვფიქრობთ. თუმცა იმის მტკიცება, რომ ფავორიტები არ ვართ, ჩემი მხრიდან ძალიან სულელური საქციელი იქნებოდა. ნამდვილად არ მინდა, რომ ხალხმა დამცინოს. ძალიან კარგად ვიცით, რომ თითქმის ყველა თამაშში ფავორიტები ვართ. ახლა უკვე ყველა სხვანაირად გვიყურებს, ყველას ჩვენი დამარცხება უნდა. სეზონის დასაწყისში კი ასე ნამდვილად არ იყო.

**- მეორე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენს" 12 ქულით უსწრებთ, სხვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როგორ ფიქრობთ, კონკურენტები არიან წელს ძალიან სუსტები თუ „ბორუსიაა" ასეთი მაგარი?**

- ჩვენ მართლა მაგრები ვართ და ჩვენი კონკურენტები ნამდვილად არ არიან სუსტები. ყველა ტურში ვგრძნობთ, რამდენად რთულია ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში წარმატების მიღწევა. თითოეული გამარჯვების უკან ჯოჯოხეთური შრომა დგას და მინდა, რომ ეს ყველამ იგრძნოს, ყველამ დააფასოს ჩვენი შრომა.

**- თუ ასეა, რატომ გავარდა „დორტმუნდი" ევროპის ლიგიდან?**

- ჯგუფური ეტაპის გადალახვის ძალიან კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ ამდენს ველარ გავწვდით. ორ ფრონტზე ბრძოლა ჩვენ კი არა, ჩვენზე გაცილებით ძლიერ და გამოცდილ გუნდებსაც უჭირთ. ვერავინ იტყვის, რომ „ბორუსია" ევროპის ლიგის მატჩებში ნაკლებად კონცენტრირებული იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნდესლიგას უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. შესაბამისად, ეს შედეგზეც აისახა. სიმართლე გითხრათ, სულაც არ მწყინს, რომ ევროპის ლიგიდან გამოვარდით.

**- ექსპერტები ხშირად იმეორებენ, „დორტმუნდი" ძალიან მაგრად თამაშობს, მაგრამ ჯერ მაინც არ არის ჩემპიონური სულისკვეთების გუნდიო...**

- უკაცრავად, მაგრამ ამ ექსპერტებმა იციან, რამდენია ჩემი გუნდის საშუალო ასაკი? ჩვენ გვინდა, რომ ყველა თამაშში მაქსიმუმს მივაღწიოთ და შეიძლება ითქვას, რომ ამას ვახერხებთ ხოლმე, მაგრამ არა ყოველთვის და არა 90 წუთის განმავლობაში. მეტსაც გეტყვით: ამ სეზონში ჩემს გუნდს შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არც ერთ თამაშში არ გამოუვლენია. „ბორუსიას" კიდევ უფრო უკეთ თამაში შეუძლია.

> „არ მინდა, რომ მარიო გიოტცემ ლარს რიკენის ბედი გაიზიაროს"

**- 2008 წელს, როცა გუნდი ჩაიბარეთ, დორტმუნდში გერმანიის ნაკრების არც ერთი ფეხბურთელი არ თამაშობდა. ახლა კი, მაგალითად, იტალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში იოახიმ ლიოვს ხუთი ბორუსიელი ჰყავდა გამოძახებული...**

- ...და მე ეს ძალიან მიხარია. ნაკრებში თამაში ნებისმიერი გერმანელი ფეხბურთელის ოცნებაა და ის ფაქტი, რომ ბუნდესგუნდში ხუთი ბორუსიელი იხმეს, აბსოლუტურად ლოგიკურია.

**- ბევრმა თქვა, სვენ ბენდერისთვის ნაკრებში გამოძახება ნაადრევი იყოო. თქვენ რას ფიქრობთ?**

- არ ვეთანხმები. ისევე, როგორც ჰუმელსი, გიოტცე, გროსკროიტცი და შმელცერი, სვენიც ძალიან კარგ სეზონს ატარებს და „დორტმუნდის" ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა. შესაბამისად, გერმანიის ნაკრებში გამოძახება მანაც დაიმსახურა.

**- გიოტცე 18 წლისაა, ბენდერი 21-ის. მათმა პროგრესმა გაგაოცათ?**

- შესაძლოა, ვინმესთვის ეს საოცარი იყოს, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ლოგიკურია, რადგან მარიოსაც და სვენსაც ყოველდღე ვაკვირდები და პროგრესი ჩემს ხელში განიცადეს.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ გიოტცეს და კომპანიას დიდი მომავალი აქვთ?**

- ფეხბურთში ყველაფერი ხდება და არასდროს არაფერია გამორიცხული. აქედან გამომდინარე, წინასწარ გადაჭრით ვერაფერს იტყვი. არაერთი მაგალითი გვახსოვს იმისა, რომ ფეხბურთელს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ იმედები საერთოდ ან ბოლომდე ვერ გაამართლა. რაღა შორს წავიდეთ, ყოფილი დორტმუნდელის, ლარს რიკენის მაგალითიც საკმარისია. აღარაფერს ვამბობ სებასტიან დაისლერსა და სხვებზე. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თუ გიოტცე და კომპანია იმედებს ვერ გაამართლებენ და დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებენ, ეს ნამდვილად არ იქნება იმის ბრალი, რომ მათ ამის პოტენციალი არ გააჩნდათ. ყველაზე მეტად მაინც გიოტცესი მეიმედება და ძალიან არ მინდა, რომ მან რიკენის ბედი გაიზიაროს.

**- ხომ არ გეშინიათ, რომ წამყვან ფეხბურთელებს სუპერგრანდები იყიდიან და აწყობილი გუნდი დაგეშლებათ?**

- შიში და ნერვიულობა არასწორი ინტერპრეტაციაა იმ გრძნობისა, რაც მე ამ თემასთან დაკავშირებით მაქვს. ცხადია, ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ ფინანსურად შენზე გაცილებით ძლიერმა გუნდმა წამყვანი მოთამაშე ისე წაგართვას, რომ წინააღმდეგობაც ვერ გაუწიო. ამიტომაც, ჩვენი მიზანია, ისე ვითამაშოთ და გუნდში ისეთი ატმოსფერო შევქმნათ, რომ სხვაგან წასვლა არც ერთ ფეხბურთელს არ მოუნდეს. ხომ ხედავთ, ყველამ ახალი კონტრაქტი გააფორმა, სხვაგან წასვლა არავის უნდა.

**- მიუხედავად იმისა, რომ „ბორუსიასთან" ცოტა ხნის წინ თქვენც ახალი ხელშეკრულება გააფორმეთ, „ლივერპულის" ხელმძღვანელები გეპატიჟებოდნენ. არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ თქვენი მომდევნო გაჩერება ან მიუნხენის „ბაიერნი", ანაც პირდაპირ გერმანიის ნაკრები იქნება...**

- არც „ლივერპულიდან" შემხმიანებია ვინმე, არც „ბაიერნიდან" და არც გერმანიის ნაკრებიდან. რომც დაერეკათ, შანსი არ ექნებოდათ, რადგან „ბორუსიას" არ მივატოვებ. რა იქნება მომავალში, ეს არავინ იცის.

**- რამდენად წარმოგიდგენიათ ის, რომ დორტმუნდში ძალიან დიდხანს იმუშავოთ. მაგალითად ისე, როგორც არსენ ვენგერია „არსენალში" ან სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედში"?**

- ეს ძალიან კარგად წარმომიდგენია და სხვათა შორის, ძალიან მომწონს, როცა მწვრთნელი რომელიმე გუნდში ხანგრძლივ ერას ქმნის. „მაინცში" შვიდწელიწადნახევრის მანძილზე ვმუშაობდი და ესეც საკმაოდ დიდი დროა. თუკი კონტრაქტის ბოლომდე „ბორუსიაში" ვიმუშავებ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება, გამოვა, რომ BVB-ს ექვსი წლის მანძილზე ვემსახურე და ესეც ძალიან დიდი დრო იქნება.

**- წყალი არ გაუვა იმას, რომ „ბორუსია" მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. მატჩებზე ისევ „ბორუსიას" სპორტული ქურთუკით იქნებით ხოლმე, თუ პიჯაკს ჩაიცვამთ?**

- პირველი: ჩემპიონთა ლიგის საგზური ჯერ არ გაგვინაღდებია. მეორე: ევროპის ლიგაში კოსტიუმიც მეცვა და თუ გახსოვთ, ჰალსტუხიც მეკეთა.

**გოტფრიდ ლენცი**




● ინტრიგა



# აბიატი: ინტერი მთავარი კონკურენტია

„მილანი" ჯერ კიდევ სათავეში უდგას სერია A-ს სატურნირო ცხრილს, მაგრამ მისი პოზიციები ისეთი მყარი აღარ არის, როგორც თუნდაც ერთი თვის წინ. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა არაერთი ქულა დაკარგა და კონკურენტებს მაქსიმალურად მიახლოების საშუალება მისცა. „ნაპოლი" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება „როსონერის", „ინტერი' კი გადადებული თამაშის მოგების შემთხვევაში სულაც ორ ქულამდე დაიყვანს სხვაობას. „მილანის" მთავარ კონკურენტად სწორედ „ინტერი" მიიჩნევა და ამ მოსაზრებას ლიდერი გუნდის კარის დარაჯი, **კრისტიან აბიატიც** იზიარებს:

*„სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალიან დაძაბულია და ვფიქრობ, რომ ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდება. „ნაპოლის", „ლაციოს' და „რომას" მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი კონკურენტი „ინტერია". ლეონარდოს ძალიან სახიფათო გუნდი ჰყავს, რომელიც შესანიშნავი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. თანაქალაქელები ძალიან მოგვიახლოვდნენ, მაგრამ ამას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. კარგად ვიცით ჩვენი პლუსები და მათ აუცილებლად ავამოქმედებთ. სეზონის დარჩენილ ნაწილს მაღალ დონეზე ჩავატარებთ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*

**ლაშა ნიკლაური**

● პალერმო

# ძამპარინიმ ტიფოზები დაამშვიდა

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ „იუვენტუსის" მესვეურები **ხავიერ პასტორეს** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. ისიც გითხარით, რომ ტურინში გადაბარგების სურვილი თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა და პრესისთვის მოკლე კომენტარიც გააკეთა. ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ სიცილიელ გულშემატკივრებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, კლუბის პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** კი მათი დამშვიდება სცადა:

*„სანერვიულო არაფერია, მინდა დაგარწმუნოთ, რომ პასტორე „იუვენტუსში" ნამდვილად არ გადავა. საერთოდ, არგენტინელზე დიდი მოთხოვნაა და მთელი ძალებით ვეცდები, რომ ზაფხულში მისი შენარჩუნება მოვახერხო. თუმცა, ერთი 100%-ით ვიცი: ხავიერი „იუვეს" მაისურს ვერ მოირგებს. არა იმიტომ, რომ ამ გუნდის მიმართ მტრულად ვარ განწყობილი, უბრალოდ, კარგად ვიცი, რომ ტურინელებს მისი შესაძენი თანხა არ აქვთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პასტორეს 10 და 15 მილიონ ევროდ გავყიდით, ძალიან ცდება - „იუვეს" ბიუჯეტი კი სამჯერ და ოთხჯერ მეტ თანხას ვერ გაწვდება".*

„პალერმოს" პრეზიდენტმა **დელიო როსისთან** არსებულ, უფრო სწორად არარსებულ კონფლიქტზეც გააკეთა კომენტარი: *„გავრცელებული ინფორმაცია სრული აბსურდია, მწვრთნელთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და მის გათავისუფლებას ნამდვილად არ ვაპირებ. ვფიქრობ, რომ კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მუშაობა უნდა გააგრძელოს"*

**ლაშა ნიკლაური**



მაურიციო ძამპარინი და ხავიერ პასტორე

● იტალიის ნაკრები

# სულ სხვა იტალია
## ბევრად უკეთესი

საფეხბურთო იტალია ერთსულოვანია იმაში, რომ **ჩეზარე პრანდელის** ფორმაციის „აძურა“ ორი თავით ჯობია 2010 წლის მუნდიალის ნაკრებს. **მარჩელო ლიპიმ** უარი თქვა ყველა იმ ფეხბურთელზე, რომელსაც ფანტაზისტა შეგვიძლია ვუწოდოთ და ნაკრები მუშა ფეხბურთელებით დააკომპლექტა. შედეგები ყველაფერზე მეტყველებს - **ანჯელო პალომბომ, სიმონე პეპემ, ვინჩენცი იაკვინტამ** და მსგავსი ტიპის ფეხბურთელებმა ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეს მუნდიალზე და სამშობლოში შერცხვენილნი დაბრუნდნენ. პრანდელის „აძურა“ გერმანიას ტოლ-სწორად ეპაექრა და რიგ ეპიზოდებში სჯობდა კიდეც, რამაც იტალიაში ბევრი გააკვირვა. **იოახიმ ლიოვს** დაყენებული გუნდი ჰყავს, ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში, პრანდელი კი ჯერ კიდევ ძიებაშია და საერთოდაც, „აძურაში“ თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. გერმანია-იტალიის თამაში ძალიან დაძაბული, საინტერესო გამოვიდა და ლოგიკური, საყაიმო შედეგით დასრულდა. მართალია, ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მნვრთნელებს არ დავიწყებიათ, რომ თამაში მაინც ამხანაგური იყო. იმავე პრანდელიმ შესვენებისას **ანტონიო კასანო** მოხსნა თამაშიდან, ფეხბურთელი, რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში. ქვემოთ, აპენინელთა შეფასებაა რგოლების მიხედვით... იქამდე კი მოკლედ ვთქვათ, რომ ეს სულ სხვა იტალიაა, ბევრად უკეთესი.

### დაცვა

იტალიაში ძალიან ბევრს დავობენ იმის შესახებ, თუ ვინ იყო დამნაშავე ერთადერთ გაშვებულ გოლში. ნაწილი **ანდრეა რანოკიას** ადებს ხელს, ნაწილი კი **ლეონარდო ბონუჩის**. თუმცა, არსებობს მესამე აზრი და ალბათ ყველაზე კომპეტენტური და სწორი. ერთი შეცდომის დაშვება, მით უმეტეს ამხანაგურ შეხვედრაში ბევრს არაფერს ნიშნავს და დიდი მნიშვნელობა არც აქვს რანოკია შეცდა თუ ბონუჩი. ფაქტია, რომ ორივე მათგანს ძალიან დიდი მომავალი აქვს, ერთად კი „აძურას“ დაცვის ცენტრში თამაში წლების განმავლობაში შეუძლიათ. რანოკიამ შესანიშნავად ითამაშა, არც ბონუჩი იყო ცუდი და ვინ იცის, იქნებ ახალი **ნესტა-კანავარო** ვნახეთ საქმეში...

ბრწყინვალედ ითამაშა **ჯორჯო კიელინიმ**, რომელიც ბოლო დროს მარცხენა ფრთაზე გადასწიეს. ჯორჯოს ფლანგზე გადაყვანა **ლუიჯი დელ ნერის** იდეა იყო, რასაც პრანდელიმაც აუბა მხარი და მათმა ასეთმა ნაბიჯმა აშკარად გაამართლა. კიელინიმ აიწყვიტა, ძალიან ბევრს დარბის ფლანგზე და გარდა იმისა, რომ უშუალო მოვალეობებს შესანიშნავად ართმევს თავს, შეტევაშიც ეფექტურია. გავიხსენოთ მისი საგოლე გადაცემა „კალიარი“-“იუვენტუსის“ შეხვედრაში და ანალოგიური პასი გერმანიასთან პაექრობაში, რასაც **დანიელე დე როსის** დარტყმა მოჰყვა - იმ ეპიზოდში **მანუელ ნოიერმა** ითამაშა კარგად და კუთხურზე მოიგერია ბურთი. ერთი სიტყვით, კიელინი დიდებული იყო, რასაც ვერ ვიტყვით **კრისტიან მაჯოზე**... „ნაპოლის“ მცველმა მეორე ტაიმში **მატია კასანი** შეცვალა და ძალიან ცუდად წარმოჩნდა - სისწრაფეშიც დაიჩაგრა და პოზიციურადაც არაერთი შეცდომა დაუშვა. ასეთი თამაშით მაჯოს ნაკრებში არაფერი ესაქმება. სამაგიეროდ, კასანიმ ითამაშა მაღალ დონეზე და კარგის მეტი არაფერი გვეთქმის.

### ნახევარდაცვა

ჩეზარე პრანდელიმ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და გამთამაშებლად **სტეფანო მაური** დააყენა. ვერ ვიტყვით, რომ კლასიკური პლეიმეიკერი გახლდათ, მაგრამ ფაქტია, რომ ნახევარმცველების წინ და ფორვარდების უკან ირჯებოდა. მთლიანობაში საკმაოდ კარგად წარმოჩნდა, ბურთი დაიჭირა, ცენტრი გაამაგრა და პასებსაც გონივრულს აკეთებდა. ფაქტია, რომ მაური ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია. დაბალი შეფასებები მიიღო **ტიაგო მოტამ**, როგორც ჩანს, ადაპტაციის პროცესი აქვს გასავლელი და თუ ამის დრო მიეცა, წესით, უკეთ უნდა ათამაშდეს. **დანიელე დე როსისგან** შექმნის თვალსაზრისით ელიან უფრო მეტს, აი **რიკარდო მონტოლივო** კი კრისტიან მაჯოს უნდა მივუსვათ გვერდით - ფლორენციელს არაერთხელ მიეცა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი, მაგრამ ფაქტია, რომ ვერც ერთხელ ვერ გაამართლა მოლოდინი. ვერ ცვლის **ანდრეა პირლოს**, ვერ დირიჟორობს და არც დაცვითი ფუნქციების შესრულებისას უქნია ღმერთს. სამაგიეროდ, **სებასტიან ჯოვინკო** ჩაერთო მატჩში კარგად, ტემპი შემატა „სკუადრა აძურას“ შეტევებს და აშკარად გამოაცოცხლა თამაში. ამ ეტაპზე, სათადარიგოთა სკამისთვის იდეალური ფიგურაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრანდელი ორი შუახაზელის გამოჯანმრთელების მოლოდინშია - **კლაუდიო მარკიზიო** და ანდრეა პირლო გვყავს მხედველობაში. ორი აზრი არ არის, რომ მათთან ერთად „აძურას“ ნახევარდაცვა გაცილებით ძლიერი იქნება.

### თავდასხმა

თავშივე აღვნიშნეთ, რომ ყველაზე გამორჩეული მაინც ანტონიო კასანო გახლდათ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 45 წუთი დაყო მინდორზე. იტალიამ მეორე ნახევარში გაიტანა ერთადერთი გოლი, მაგრამ ფაქტია, რომ პრანდელის გუნდი პირველ ტაიმში გაცილებით უკეთ უტევდა. ეს სწორედ კასანოს დამსახურება გახლდათ, რომელმაც არაერთხელ გაიყვანა თანაგუნდელები დასარტყმელ პოზიციაზე და თვითონაც შეეძლო გატანა.

**ჯამპაოლო პაცინის** საუკეთესო თამაში არ უჩვენებია, მაგრამ ნაკრებისთვის რომ საჭირო ფორვარდია, წყალი არ გაუვა. აუცილებელია **ჯუზეპე როსიც**, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ყველაზე უკეთ შეცვლის კასანოს. თუ იტალია გარემარბებით შეუტევს, ორივე უნდა მოვიაზროთ ძირითად შემადგენლობაში. **მარკო ბორიელო** ინერტული გახლდათ, ერთხელ კი დაარტყა კარში, მაგრამ მთლიანობაში, უფრო იდგა, ვიდრე თამაშობდა. ასე თუ გააგრძელა, აუცილებლად შეავიწროვებს **ალესანდრო მატრი**, რომელსაც გერმანიასთან თამაშის საშუალება არ მიეცა. არ გვავიწყდება **ფაბიო კვალიარელა** და **ალბერტო ჯილარდინო**, რომლებიც ეროვნული ნაკრების წევრები არიან. ერთი სიტყვით, პრანდელის შეტევაში საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს.

**ლაშა ნიკლაური**



ჯუზეპე როსიმ ანგარიში გაათანაბრა

● გერმანიის ნაკრები. იტალიასთან მატჩის შემდეგ

ბიბლიოთეკა



გერმანიის ნაკრები შეკრული გუნდია და მხოლოდ ერთი პოზიციაა ვაკანტური

# ბუნდესგუნდი, ჩაკეტილი საზოგადოება
## ალარც ბალაკი, ვეღარც ახლები... გუნდი დადგა და ექსპერიმენტებს ამ ეტაპზე ალარ საჭიროებს

**იტალიასთან** ამხანაგურმა მატჩმა (1:1) გერმანიის ნაკრების შესახებ არაერთი დასკვნა გაგვაკეთებინა, რომელთაგან ყველაზე მთავარი ის არის, რომ დღევანდელი ბუნდესგუნდი რეალურად ჩაკეტილი საზოგადოებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეზერვისტებს ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრების შანსი ფაქტობრივად არ აქვთ. სხვათა შორის, ეს მიხაელ ბალაკსაც ეხება.

რამდენად სწრაფად შეიძლება გახდეს გერმანელი ფეხბურთელი ბუნდესნაკრების მოთამაშე? ძალიან სწრაფად, თუკი ნიჭი აქვს და ბუნდესლიგაში ბრწყინვალედ თამაშობს? არა! იოახიმ ლიოვმა ისეთი გუნდი შექმნა, სადაც მხოლოდ კარგ ფორმაში ყოფნა, დიდი ნიჭის ქონა და პოპულარობა სულაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ესა თუ ის მოთამაშე გერმანიის პირველ გუნდში დამკვიდრდეს. მთავარია, რამდენად შეესაბამება კანდიდატი გერმანიის ნაკრების ახალ სტილს, ტაქტიკას და ლიოვის სტრატეგიას. იყო დრო, როცა საკმარისი იყო, ფეხბურთელს ბუნდესლიგაში რამდენიმე მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაეტარებინა და შემდეგ ბუნდესგუნდშიც გამოეჩინა თავი, რომ სრულფასოვანი „ნაციონალმანშაფტელი“ ხდებოდა. მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებს ლიოვი წვრთნის, ეს დრო ნელ-ნელა ჩაბარდა წარსულს.

### პირველი დასკვნა
### გერმანიამ მუნდიალის ფორმა შეინარჩუნა

ლიოვმა მიაგნო იმ შემადგენლობას, რომელსაც მუდმივად მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. გერმანიამ იტალიასთან ზუსტად ისეთი ფეხბურთი ითამაშა, როგორითაც 2010 წლის მუნდიალზე ყველა აღაფრთოვანა და იოგის რამდენიმე ცვლილება რომ არ განეხორციელებინა, ან ეს ოფიციალური თამაში ყოფილიყო, დიდი შანსია, რომ ბუნდესგუნდს „სკუადრა აძურა“ დაემარცხებინა. მაღალი ტემპი, სწრაფი პასები, თვალსასეირო კომბინაციები - პირველ ტაიმში ბუნდესგუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ბუნდესგუნდი გაგვახსენა.

### მეორე დასკვნა
### ბუნდესლიგაში ჩამონერილები ნაკრებში დაფრინავენ

გერმანიის ნაკრები ფუნქციონირებს - ისევ შავით თეთრზე ჩანს, რომ ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთ კლუბებში მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობენ (**კლოზე, პოდოლსკი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი, აოგო**), ბუნდესგუნდში სულ სხვანაირად, ძალიან კარგად გამოიყურებიან. კლუბებში განსაკუთრებით პერ მერტეზაკერსა და ჰოლგერ ბადშტუბერს უჭირთ. პირველი „ვერდერში“ მუდმივად ცუდ შეფასებებს იღებს, რადგან მთელი გუნდი მოშლილია, ბადშტუბერს კი ამ ბოლო დროს დაეწყო სერიოზული ჩავარდნა. მიროსლავ კლოზეზე, წესით, არც უნდა გვესაუბრა, მაგრამ მაინც აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მირო „ბაიერნში“ ფაქტობრივად ჩამონერილია (**მარიო გომესის** ჩრდილშია) - **ლუის ვან გაალი** მას ყოველთვის სათადარიგოთა სკამს ახეხინებს და იშვიათად ენდობა.

### მესამე დასკვნა
### ვაკანტური პოზიცია მხოლოდ ერთია

ბუნდესგუნდში თითქმის ყველა პოზიცია მყარადაა დაკავებული. კარში **მანუელ ნოიერი**, ცენტრფორვარდად კლოზე ან გომესი, მის უკან **თომას მიულერის, მესუთ იოზილისა** და ლუკას პოდოლსკის ტრიო, საყრდენებად **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **სამი ხედირა**, დაცვაში მარჯვნივ **ფილიპ ლამი**, ცენტრში მერტეზაკერისა და ბადშტუბერის დუეტი და... აი, იმ პოზიციასაც მივადექით, სადაც ლიოვს გამოკვეთილი კანდიდატი არ ჰყავს. მარცხენა მცველის პოზიცია იოგისთვის ვაკანტურად რჩება. იტალიასთან ამ პოზიციაზე ჰამბურგელმა დენის აოგომ ითამაშა, მაგრამ არც ისე კარგად, რომ ლიოვმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი მყარად ჩააბაროს. **მარსელ შმელცერი** დორტმუნდის „ბორუსიაში“ ბრწყინვალედ თამაშობს და კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, მაგრამ ლიოვმა იტალიასთან რატომღაც არ ათამაშა (90 წუთი სკამზე გაატარებინა). არავინ იცის, რატომ...

### მეოთხე დასკვნა
### ახლებს ჯერჯერობით შანსი არ აქვთ

გერმანიის ნაკრებში გამოჩენილ ახალ სახეებს ჯერჯერობით არ აქვთ იმის შანსი, რომ ბუნდესნაკრებში ადგილი დაიმკვიდრონ. ოთხშაბათს დამტკიცდა, რომ საკლუბო დონეზე კარგად თამაში კიდევ დიდხანს არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებშიც უმაღლეს დონეზე იასპარეზებს. ლიოვმა მეორე ტაიმში მოედანზე **მარიო გიოტცე, მატს ჰუმელსი** და **კევინ გროსკროიტცი** შეუშვა. ისინი ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერის, „დორტმუნდის“ ფეხბურთელები არიან და გერმანიის ჩემპიონატში „ქვას ქვაზე არ ტოვებენ“, აი გერმანიის ნაკრებს კი მათი გამოჩენა არა პოზიტიურად, არამედ ნეგატიურად დაეტყო. გიოტცეს, გროსკროიტცისა და ჰუმელსის მოედანზე გასვლის შემდეგ ბუნდესგუნდი კი არ გაძლიერდა, პირიქით, შესუსტდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰუმელსი, გიოტცე და გროსკროიტცი ცუდი ფეხბურთელები არიან - უბრალოდ, გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა იმდენად იდეალურადაა შეთამაშებული, რომ ხსენებულ ძველ კამპანიაში თავს უცხოდ გრძნობდა.

### მეხუთე დასკვნა
### ბალაკის უშანსოდაა

...ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ ბუნდესნაკრების კაპიტანს ამ გუნდში უკვე აღარაფერი ესაქმება. მართალია, ლიოვი ყოველთვის ამბობს, თუ მიხაელი კარგ ფორმაში იქნება, ნაკრების კარი მისთვის ყოველთვის ღიაარ და ბალაკისთვის არც კაპიტნის სამკლავური ჩამოურთმევია, მაგრამ იტალიასთან თამაშშიც გამოჩნდა, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში (ლიოვს სხვა სქემით ძალიან დიდი ხანია, აღარ უთამაშია), ნახევარდაცვის ცენტრში შვაინშტაიგერისა და ხედირას წყვილს ალტერნატივა არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან ეს დუეტი არა მარტო გერმანიაში, არამედ ზოგადად ერთ-ერთი საუკეთესოა. გარდა ამისა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესგუნდში თავის დამკვიდრება სხვა ისეთ ფეხბურთელებსაც გაუჭირდებათ, რომლებიც თუნდაც ერთი წლის წინ 23-კაციან განაცხადში ყოველთვის ხვდებოდნენ - ლაპარაკია **პიოტრ ტროხოვსკიზე, ჰაიკო ვესტერმანსა** და **სიმონ როლფესზე**.

**გოტფრიდ ლენცი**

● გამოხმაურება.

პორტუგალია-არგენტინა

# ჟენევის ომი მესიმ მოიგო, მოიგო?

## ბარსელონა-რეალი ერთად და ერთმანეთის წინააღმდეგ

**კრიშტიანო რონალდოს** რომ ჰკითხოთ, არგენტინის ნაკრებს სულაც არ უჯობნია პორტუგალიისთვის. გამარჯვების გოლი **ლეო მესიმ** მართლაც სულ ბოლოს, ისიც პენალტით გაიტანა და სამხრეთამერიკელებს 2:1 გაამარჯვებინა. აი, რას ამბობს „რეალის" ვარსკვლავი: *„ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ერთხელ გავიტანე და თავის გამოჩენა კიდევ შემეძლო. არგენტინა არაფრით გვჯობდა და მოგება არ დაუმსახურებია. მინდა ვთქვა, რომ ეს მატჩი არ იყო მესისა და ჩემი დუელი, ჩვენ ორივე ნაკრებისთვის ვირჯებოდით. ეს იყო დუელი პორტუგალიასა და არგენტინას შორის. ახლა ჩვენ ორივე გაცილებით უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე მუნდიალზე. წაგება კი ყოველთვის საწყენია, მით უფრო დაუმსახურებელი"*, - განუცხადა რონალდომ „ოლეს".

რაც უნდა საწინააღმდეგო ამტკიცონ მესიმ და რონალდომ, მათმა დაპირისპირებამ პორტუგალია-არგენტინის მატჩს სულ სხვა ელფერი შესძინა. ფეხბურთის ქომაგები ამათი დუელის გამო „ჟენევის ომს" გერმანია-იტალიის და საფრანგეთი-ბრაზილიის წინაც აყენებდნენ. თავიდანვე ვიტყვით, რომ მეგავარსკვლავთა დუელი შედგა და ორივემ ძალიან კარგად ითამაშა, თუმცა მაინც მესი უნდა გამოვყოთ, მათ გოლები თითო გაიტანეს, მაგრამ ლეოს ანგარიშზე საგოლე პასიცაა და თანაც როგორი!

დაიწყო მატჩი და პორტუგალიამ ერთი-ორი იერიში მოაწყო არგენტინელთა კართან, მაგრამ თანდათან სამხრეთამერიკელებმა ააწყვეს კომბინაციური თამაში. მესი, **ესტებან კამბიასო** და **ეზეკილ ლავეცი** კარგად ათამაშებდნენ ბურთს, პირველი საგოლე მომენტიც „ლა პულგას" ანგარიშზეა, მაგრამ მისი თავური ოდნავ აცდა პორტუგალიელთა კარს. გოლიც მალე გავიდა, რომელიც თავიდან ბოლომდე მესიმ შექმნა, მან ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო და ჩვეული რეიდით თან გაიყოლა ოთხი პორტუგალიელი მცველი, ამის შემდეგ მესიმ არაორდინარულ ხერხს მიმართა და დარტყმის ნაცვლად, საჯარიმოში **ანხელ დი მარია** მოძებნა, რომელმაც, საოცარია, როგორ გაასწორო პორტუგალიელ ვიზავის. ასე, ბარსელონურ-რეალური კომბინაციით გაიხსნა ანგარიში მატჩში - 1:0.



ოთხშაბათის მატჩების მთავარი დუელი

ახლა პორტუგალიისა და რონალდოს ჯერი დადგა, **ნანის** აქტიურობას მარჯვენა ფლანგზე კრიშტიანოს გოლი მოჰყვა, რომელმაც გოლის საოცარი ალღო გამოიჩინა და დროულად გაჩნდა **სერხიო რომეროსთან** და დაასწრო არგენტინელ გოლკიპერს - 1:1. პორტუგალიელები კარგად შლიდნენ არგენტინელთა თამაშის რიტმს, სასარგებლოდ მოქმედებდა **რაულ მეირელეში**, თუმცა მეტისმეტიც მოსდიოდა და, საოცარია, როგორ გადაურჩა ყვითელ-წითელ ბარათებს. არგენტინელთა თამაშს კი სტაბილურობა აკლდა, **გაბრიელ მილიტო** და **ხავიერ მასკერანო** ხანდახან საოცარ შეცდომებს უშვებდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში პორტუგალიამ ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, რონალდომ საჯარიმოში მივიწყებული **უგო ალმეიდა** მოძებნა, მაგრამ ფორვარდის თავური ხარიხამ აისხლიტა. რამდენიმე წუთში მან კიდევ ერთხელ გაარტყა ბურთი თავით ხარიხას. სანამ ალმეიდა მიზანს ისწორდებდა, პორტუგალიელთა უხეშობამ კინაღამ მძიმე შედეგი იქონია მათთვისვე, მესიმ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო, მაგრამ მეკარე **ედუარდომ** იყოჩაღა.

ერთი საათის შემდეგ მესი-რონალდოს დუელი დასრულდა (1:1), პორტუგალიელმა ოვაციების თანხლებით დატოვა მოედანი, ხოლო მესი ბოლომდე დარჩა. ამის შემდეგ „ალბისელესტეს" უპირატესობა შესამჩნევი გახდა, დებიუტანტ **მარკოს როხოს** გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკის" მცველმა თავით ააცილა ბურთი კარში. შემდეგ პალერმოელმა **ხავიერ პასტორემ** დუელი ვერ მოუგო ედუარდოს. მოკლედ, გოლი მწიფდებოდა და „ველეს სარსფილდის" ფორვარდი **ხუან მანუელ მარტინესი** საჯარიმოში **ფაბიო კოენტრაომ** წააქცია, პენალტი კი გამარჯვების გოლად „ლა პულგამ" აქცია.

**ლეო მესი:** *„ძალიან გახარებულები ვართ, რომ კვლავ მოიგო ნაკრებმა. დღეს მე რონალდოსთან დუელი სულაც არ მქონია, ეს არ იყო მატჩი რონალდოსა და მესის შორის და არც „ბარსა"-"რეალი". ჩვენ ორივე საკუთარი ქვეყნის ნაკრებისთვის ვილვწოდით. 90 წუთი თამაში თავად მოვითხოვე, პენალტს რაც შეეხება, ვფიქრობ, ურიგოდ არ ვურტყამ"*.

**სერხიო ბატისტა** (არგენტინა): *„ლეო ერთი თავით მაღლა იდგა კრიშტიანო რონალდოზე. ორი ასეთი ფეხბურთელის თამაშის ნახვა ერთი სიამოვნებაა. პორტუგალიას შევაქებ, ძალიან კარგი ნაკრებია. ჩვენ კი ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მესი ძალიან მონადინებული იყო, შეხვედრა კი თვალსასეირო გამოდგა"*.

● გამოხმაურება

ესპანეთი-კოლუმბია

# დღეს როხა ნაკლებად ჰგავს მსოფლიოს ჩემპიონს

## გმირს, როგორც გმირს

„სანტიაგო ბერნაბეუზე" „ფურია როხა" მორიგ მოუგებელ მატჩს ბოლო წუთებზე გადაურჩა. მსოფლიოს ჩემპიონს კოლუმბიის ნაკრებთან დაძაბულ მატჩში მხსნელად „მანჩესტერ სიტის" ესპანელი ლეგიონერი **დავიდ სილვა მოევლინა** - 86-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე **ხესუს ნავასმა** იყოჩაღა და მეკარის ბაქანზე დადარაჯებულ სილვას დაბალი ბურთი ჩააწოდა, რომელმაც ერთი შეხებით, დასწრებაზე ითამაშა და ესპანეთის ნაკრებს სამხრეთამერიკელებზე 1 - 0 მოაგებინა.

მადრიდში დიდებული ატმოსფერო იყო, თამაშის შემდეგ გულშემატკივარმაც ერთობ გაიხარა მოგებით, მაგრამ, რა ვუყოთ იმას, რომ ესპანეთის ნაკრებმა კიდევ ერთხელ ვერ ითამაშა იმ დონეზე, რომლის წყალობითაც სამხრეთ აფრიკაში პლანეტის საუკეთესო გუნდის წოდება მოიპოვა.

მართალია, **ვისენტე დელ ბოსკემ** 11-დან 6 ბარსელონელით დაიწყო, მაგრამ, შეცდება მავანი, თუკი იტყვის, რომ გუნდმა „ბარსელონას" სტილში ითამაშა. დელ ბოსკეს გუნდი ცოტა „სხვა ცხოველია", იმავე კომპონენტებით აწყობილი.

ქალალდზე ოთხშაბათს დელ ბოსკეს გუნდმა 4-3-3 (ბარსელონური) სქემით ითამაშა, **ანდრეს ინიესტა** და **პედრო** თითქოს **დავიდ ვილიას** ეხმარებოდნენ შეტევის ხაზში, ხოლო მათ უკან ჩაბი ალონსო, ბუსკეტსი და ჩავი მოქმედებდნენ. მაგრამ სინამდვილე დაწერილისგან განსხვავდება, ინიესტამ ფორვარდად ითამაშაო, ვერავინ დაიჩემებს, მას სხვა გზა არც ჰქონდა - კოლუმბია კარგად იცავდა თავს საკუთარ ნახევარზე, კომპაქტურად. ამერიკელები კარგად „იჭერდნენ" ინდივიდუალურად თავთავიანთ ვიზავის. თან სახიფათო კონტრშეტევებზეც ფიქრობდნენ, თუმცა ორი მეტ-ნაკლებად მწვავე შეტევის მეტი



ასე ესალმებოდა ბერნაბეუ მუნდიალის გმირს

პირველ ნახევარში არაფერი გამოსვლიათ. მოკლედ, ესპანეთს ძალიან გაუჭირდა კოლუმბიური ციხესიმაგრის აღება და რომ არა ნავასი და სილვა, ვერც შეძლებდა.

მიუხედავად ამისა, მწვრთნელს ძალიანაც მოეწონა მისი გუნდის თამაში - *„ძალიან კმაყოფილი ვარ, დიდებულად ვითამაშეთ. ჩვენ სულაც არ ვგავდით იმ გუნდს, პორტუგალიასთან რომ წააგო უსახელოდ. ჩვენმა ალმაფრენამ კი ასახვა სილვას გოლში პოვა, რაც სავსებით ლოგიკური იყო. ფეხბურთელთა კონცენტრაცია ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ხომ მარტის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ვემზადებით. არ ვდავობ, რომ შეხვედრა დაძაბული გამოდგა და მოგება იოლად არ მოსულა, მაგრამ ჩვენი კარგი თამაშიც ახლა გამოჩნდა, როცა მეტოქემ ნამდვილი ბრძოლა გაგვიმართა"*.

**დავიდ სილვა** (ესპანეთი) - *„ბევრიც არაფერი გამიკეთებია, იმდენად კარგი პასი ჩამომაწოდა მარჯვნიდან ხესუს ნავასმა. გოლის გატანა კი ამ პოზიციიდან შეიძლებოდა და შევაგდე კიდეც"*.

მოდით, შევაფასოთ თითოეული ესპანელი ფეხბურთელის თამაში -

**იკერ კასილიასი** - დამაჯერებლად ითამაშა, ორჯერ კარგი დარტყმები მოიგერია (აგილარის და გუარინის). დაცვის არეული თამაშის ფონზე მისი მოქმედება მაყურებელს იმედს აძლევდა.

**ხოან კაპდევილა** - გამოცდილმა მარცხენა მცველმა ვერ მოახერხა თავის უპირატესობების გამოვლენა, ის „კლანჭებში" მოიქციეს კოლუმბიელმა შემტევებმა. მალევე შეცვალეს მეორე ტაიმში.

**რაულ ალბიოლი** - პიკესთან ერთად მოუწია ცენტრში თამაშმა, მაგრამ კოლუმბიელებს სივრცე დაუთმო (განსაკუთრებით II ტაიმში) და შეტევების შანსი მისცა.

**ჟერარდ პიკე** - პირველ ტაიმში ხშირად კარგავდა პოზიციას, ალბიოლთან დუეტში გაცილებით ცუდად თამაშობდა, ვიდრე - **კარლეს პუიოლთან.**

**სერხიო რამოსი - პაბლო არმერო** ხშირად მის ფლანგზე მოქმედებდა და პრობლემებს უქმნიდა, მართალია, რამოსი თავს კარგად იცავდა, მაგრამ წინ ველარ მიდიოდა.

**პედრო** - მარჯვენა ფლანგზე ითამაშა, მაგრამ უწევდა უფრო ღრმად ჩამოსვლა, ბურთის მოსაპოვებლად. თანაგუნდელებს მუდამ სთავაზობდა თავს, ხშირად იხსნებოდა, მეორე ტაიმში სახიფათოდ, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

**სერხიო ბუსკეტსი** - როგორც ყოველთვის, ბევრი იშრომა, მაგრამ ხანდახან კოლუმბიელები სისწრაფის ხარჯზე სჯობდნენ.

**ჩავი** - ვერ პოულობდა სივრცეს, რადგან ის ფაქტობრივად არც არსებობდა. კოლუმბიელი ნახევარმცველები მთელი თამაში „ფეხზე ესხდნენ". მეორე ტაიმში **სანტი კასორლამ** შეცვალა.

**ჩაბი ალონსო** - კოლუმბიელთა მჭიდრო თამაშმა ალონსოს საფირმო პასების დარიგების საშუალება არ მისცა.

**ანდრეს ინიესტა** - ყველაზე მეტს ის ცდილობდა, ვილიას პირველ ტაიმში ფანტასტიკური პასი გადააწოდა.

**დავიდ ვილია** - კარგი შანსი გაუშვა ხელიდან და რაულის რეკორდი ვერ დაამხო.

შეცვლაზე შემოსულები

**ფერნანდო ტორესი** - ვილია შეცვალა, ძალიან ინერტული იყო; **ალვარო არბელოა** - კაპდევილა შეცვალა და თავიდან მასზე ბევრად დამაჯერებლად გამოიყურებოდა, მაგრამ ბოლოსკენ შეცდომები მანაც დაუშვა; **დავიდ სილვა** - გამარჯვების გოლის ავტორი; **ფერნანდო ლორენტე** - ასეთ მცირე დროში ერთხელ მაინც შეძლო სახიფათოდ გასროლა, მაგრამ მცველებმა განმუხტეს სიტუაცია. **სანტი კასორლა** - ჩავი შეცვალა, მაგრამ როგორც შეცვლილი, შემცვლელმაც ვერაფრით გამოძებნა ღრიჭოები კოლუმბიელთა დაცვაში.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ შეხვდა „ბერნაბეუ" 11 ივლისის გმირს. სადღაც პირველი ტაიმის ბოლოსკენ, ტრიბუნებმა დაიწყეს „ინიესტა, ინიესტას" ყვირილი და ეს გრძელდებოდა თითქმის პაუზების გარეშე. ხოლო 69-ე წუთზე, როცა ანდრესი შეცვალეს, მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა და ოვაციებისგან „დაინგრა". არ დაგავიწყდეთ, რომელ სტადიონზე ხდებოდა ეს ყველაფერი და რომელი გუნდის ფეხბურთელს აცილებდნენ ტრიბუნები...

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანური კალეიდოსკოპი


კრისტიან ერიქსენი

## ნიჭიერი დანიელის ადგილი პრიმერაშია

„აიაქსის" დანიელმა პლეიმეიქერმა **კრისტიან ერიქსენმა** კიდევ ერთხელ შეახსენა საფეხბურთო მსოფლიოს თავი, 18 წლის ბიჭი საუკეთესო იყო დანია-ინგლისის მატჩში. სპეციალისტები მის მომავალს პრიმერადივიზიონის რომელიმე კლუბში ხედავენ. აი, რა თქვა „ოდენსეს" მწვრთნელმა **ჰენრიკ კლაუსენმა**, რომელიც კრისტიანის თავკაცი იყო, სანამ ის ჰოლანდიაში გადაბარგდებოდა: *„ჭაბუკობისას მისი ერთადერთი ნაკლი ფიზიკური მომზადება იყო. ის ძალიან ნიჭიერია და მიუხედავად იმისა, რომ სხვებს ერთი თავით სჯობდა, მაინც ყველაზე მეტს შრომობდა. წესით, საუკეთესოები თავს ასე არ იწუხებენ, როცა სხვებს სჯობნიან. კარგია, რომ ახლა ის „აიაქსში" თამაშობს, მისი შემდეგი ნაბიჯი კი ესპანური პრიმერა უნდა იყოს, ის ყველაზე კარგად ესპანურ ფეხბურთს მოერგება".*

## როგორც გინდა, რაც გინდა, ოღონდ, ფინალში გვინდა

ბოლო დროს „ვალენსიას" მწვრთნელ **უნაი ემერის** ხშირად ტაქტიკურ სქემებს უწუნებენ. ამის თაობაზე თავისი მოსაზრება კლუბის პრეზიდენტმა **მანუელ ლორენტემ** გამოთქვა. მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა მთავარი - თუ როგორ ტაქტიკურ განლაგებას აირჩევს ემერი, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია და პრეზიდენტი ამ საკითხში არასოდეს ჩაერევა. *„მას შეუძლია გამოიყენოს, რომბი, ტრაპეცია, რა ვიცი კიდევ რა, თუნდაც ჰექსაგონი, ეს უნაის გადასაწყვეტია. ნებისმიერი ტაქტიკა, რომელსაც წარმატება მოაქვს, მისასალმებელია",* - განაცხადა „ლოს ჩეს" ბოსმა.

ლორენტემ სიტყვა ჩემპიონთა ლიგაზეც ჩამოაგდო. როგორც ჩანს, კლუბი ფეხბურთელებს „შალკეს" გაგდებას, როგორც ვალდებულებას ისე უსახავს, რადგან, პრეზიდენტის თქმით, ჩემპიონთა ლიგაზე „ვალენსიას" მიზანი, არც მეტი არც ნაკლები, ფინალში გასვლაა.

## კასერესი მწვრთნელს შემოსწყრა

„სევილიას" მცველი **მარტინ კასერესი** მწვრთნელ **გრეგორიო მანსანოს** აკრიტიკებს, მიზეზი მისთვის პოზიციის შეცვლაა. ბოლო მატჩებში მანსანომ კასერესი განაპირა მცველად გადაიყვანა, რაც ურუგვაელს არ მოსწონს და უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამს. „ონდა სეროსთან" საუბარში კასერესმა თქვა: *„მანსანო ფლანგზე მათამაშებს, რაც ძალიან არ მომწონს. რა თქმა უნდა, ფეხბურთელმა იქ უნდა ითამაშოს, სადაც მას მწვრთნელი დაავალებს და ასეც ვაკეთებ, თუმცა ჩემი აზრის გამოთქმა ყოველთვის შემიძლია".* ახლა ისიც ვთქვათ, რატომაა კასერესი ასე თამამი - ის „სევილიას" არ ეკუთვნის და ანდალუსიურ კლუბში „ბარსელონადან" იჯარით იმყოფება. ურუგვაელმა ისიც თქვა, შემდეგ სეზონშიც დავრჩები, თუკი მწვრთნელი დაცვის ცენტრში დამაბრუნებსო.

## ჩვენი ბორხა ჩვენთან

ესპანური მედიის თანახმად, ზაფხულში მადრიდის „რეალი" შეეცდება დაიბრუნოს კლუბის აღზრდილი **ბორხა ვალერო**, რომელიც ახლა „ვილიარეალის" ერთ-ერთი ლიდერია. „სამეფო კლუბი" მის სანაცვლოდ 18 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. თავად ფეხბურთელსაც სურს „რეალში" დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ „ელ სუბმარინოს" რიგებში თავს საუცხოოდ გრძნობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოხმაურება | საფრანგეთი-ბრაზილია

# უსახური რიმეიქი სტად დე ფრანსზე

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ერთ-ერთი ის თამაში იყო, რომელიც გულშემატკივარს ალბათ დღემდე ახსოვს და არამხოლოდ იმის გამო, რომ ერთმანეთის პირისპირ ფეხბურთის ღმერთკაცები – **რონალდო** და **ზიდანი** იდგნენ, თავად თამაშის ხარისხი იყო არნახულად მაღალი. გავიდა 13 წელიწადი და იგივე ნაკრებები იმავე სტადიონზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გულშემატკივარს ამჯერად დაუკმაყოფილებლობის გრძნობა შეიპყრობდა და მხოლოდ იმიტომ არა, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო და ინტრიგა აკლდა. მეტოქეები არ ჰგავდნენ იმ, "ნამდვილ" საფრანგეთსა და "ნამდვილ" ბრაზილიას. არადა, პრესა ორივე ქვეყანაში დიდი მოლოდინით ცხოვრობდა... მასპინძელთა ბანაკში იყო გარკვეული მომენტები, რითაც გულშემატკივარი ნამდვილად გაიხარებდა. მაგალითად, **ლორან ბლანის** შეგირდებს თამაშის ორგანიზებაში წუნს ვერავინ დასდებდა. აქტიური იყო "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაკარგული **კარიმ ბენზემაც**, რაც ასევე დადებითი მოვლენაა. თუმცა ბლანის ნაკრებში ამჟამად ნამდვილად ვერ ვხედავთ იმ კალიბრის ფეხბურთელებს, რომელთა გვერდით მინდორზე ასპარეზობა ნაკრების ყოფილ კაპიტანსა და ამჟამინდელ დამრიგებელს უხდებოდა.

რაც შეეხება ბრაზილიას... ძალიან ძნელია **მანო მენეზესის** გუნდზე რამე დადებითის თქმა. ალბათ ყოვლისმნახველი, უკვე ასაკს მიტანებული გულშემატკივარიც კი ვერ გაიხსენებს, როდის იყო ბრაზილია ასეთი სუსტი. მავანი შეიძლება ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის არჩევანის მართებულობაში დაეჭვდეს. ასეთ "პენტაკამპეონებს" 3 წლის შემდეგ შინაური კედლები და სასწაული თუ მიიყვანს ტრიუმფამდე.

და მაინც, შეხვედრა სტუმრებმა ყველასდა გასაოცრად დამაჯერებლად დაიწყეს. მენეზესის გუნდის ძირითადი შემადგენლობის ჩამოთვლა უმადური საქმეა, რადგან მწვრთნელი ჯერჯერობით ექსპერიმენტების ეტაპზეა. თუმცა "სტად დე ფრანსზე" გამოსულ თერთმეტ ბრაზილიელს კაცი ვერაფრით დაარქმევდა ოპტიმალურს. საწყის წუთებში ორივე გუნდი ნერვიულობდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს მატჩის პრინციპულობას. მხოლოდ მეხუთე წუთის შემდეგ მოახერხეს ფრანგებმა ბურთის ხელში ჩაგდება და ზედიზედ რამდენიმე ზუსტი პასის გაკეთება. ლიდერობა თავის თავზე **ფლორან მალუდამ** აიღო. პირველი სახიფათო მომენტი მე-12 წუთზე სწორედ მასპინძლებმა შექმნეს – **იან მვილა-იოან გურკუფის** კომბინაციას ბენზემა აგვირგვინებდა, თუმცა შორეულ მარცხენა კუთხეში დარტყმული ბურთი კარს მცირედით ასცდა. რამდენიმე ჩხვლეტის შემდეგ თამაში ისევ ბრაზილიელებმა დაიპყრეს და ფრანგთაგან ვინც კი რეალურად ცდილობდა თამაშის დალაგებას, მის წინააღმდეგ სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ. მაგალითად **დანი ალვეშმა** იდაყვი უთავაზა მალუდას, რადგან ის ყველაზე მეტს მუშაობდა. თუმცა ჩელსელი მალევე მოეგო გონს და თამაშს დაუბრუნდა. მსგავსი ბინძური მეთოდითვე გაუსწორდა ბენზემას **დავიდ ლუიზი**. ბრაზილიელები პირველი ტაიმის შუაწელამდე აკონტროლებდნენ თამაშს, შემდეგ კი შესამჩნევად დაწყნარდნენ. ამის მიუხედავად სამხრეთამერიკელები უსახურად გამოიყურებოდნენ - "პენტაკამპეონებმა" **უგო ლორისის** კართან პირველი რეალური ხიფათი მხოლოდ ტაიმის მიწურულს შექმნეს. **რობინიომ** დიდებული დარტყმით შეაწუხა "ლიონის" გოლკიპერი. მე-40 წუთზე კი მოხდა ის, რამაც მთელი დანარჩენი მატჩის მსვლელობა განსაზღვრა. ხისტი თამაში ხისტ თამაშად, უხეშობაც უხეშობად, მაგრამ იმას, რაც **ერნანეშმა** ბენზემას წინააღმდეგ ჩაიდინა, ფეხბურთთან ნადვილად არაფერი აქვს საერთო. ბრაზილიელმა მეტოქეს მკერდში ფეხი ისე ჩააზილა, გეგონებოდათ ბედშავ კარიმს მისი სისხლი ემართა. მსაჯმა ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო და ერნანეში გასახდელში შეხვედრის დასრულებამდე 50 წუთით ადრე გაუშვა.

მეორე ტაიმი სულ სხვა სცენარით წარიმართა, ფრანგებმა იგრძნეს, რომ გამარჯვება შეეძლოთ და მთელი ძალებით შეუტიეს. მსაჯმა თვალები დაიბრმავა თუ მართლა ვერ შენიშნა დავიდ ლუიზის მიერ საჯარიმოში ხელით თამაში, ვერ გეტყვით, პენალტი კი ნამდვილად არ დაუნიშნავს. ეს 49-ე წუთზე მოხდა, ზუსტად 5 წუთში კი ბენზემამ **ჟერემი მენეზის** დიდებული გარღვევით ისარგებლა და პრაქტიკულად ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. ერთ წუთში მასპინძლებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, თუმცა იმავე ბენზემას თავურს **ჟულიო სეზარმა** არანორმალური რეაქცია შეაგება. სამხრეთამერიკელთა დაცვა იმდენად უსუსურად გამოიყურებოდა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ფრანგი შემტევების წინააღმდეგ მხოლოდ "ინტერის" გოლკიპერი თამაშობდა. შტურმი დიდხანს არ გაგრძელებულა. სტუმრებმა შეძლეს საკუთარი საჯარიმოს მისადგომების გადაკეტვა და მას მერე, რაც ორივე გუნდში შეცვლების დრო დადგა, თამაშმა გარკვეულწილად ტემპიც დაკარგა და სანახაობრივი მხარეც.


მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კარიმ ბენზემა

### მატჩის შემდეგ

**ლორან ბლანი:** "მოგება, მით უფრო საკუთარი მაყურებლის თვალწინ, ყოველთვის სასიამოვნოა. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ ბრაზილიელები დავამარცხეთ: ეს ჩვენს გარჯას ფასს კიდევ უფრო მატებს. ჩვენი მეტოქე საფეხბურთო თვალსაზრისით ორიენტირად შეიძლება მივიჩნიოთ. მე, რა თქმა უნდა, შედეგით და ჩემი ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ".

**ფლორან მალუდა:** "ბედნიერი ვარ. ასეთი მეტოქის დამარცხება ყველა გუნდში გამოიწვევს საკუთარი ძალების რწმენის მოზღვავებას".

**ზინედინ ზიდანი:** "კარგი თამაში იყო. მომეწონა ჩვენი ნაკრების ფეხბურთელების მუშაობა პირველიდან ბოლო წუთამდე, თუმცა ბენზემას გამოყოფა ცალკე მინდა. ის დღეს უბრალოდ ძალიან კარგი იყო".

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## საშველი ჯერჯერობით არ ჩანს

"სქაი სპორტსის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველის **რიო ფერდინანდის** საბოლოოდ გამოჯანმრთელებას საშველი არ დაადგა. ფეხბურთელს ხომ მუდმივად რაღაც აწუხებს. ამჯერადაც ასე მოხდა, "ვულვერჰემპტონთან" წაგებულ შეხვედრაში მან ფეხი დაიზიანა და როგორც ექიმები აცხადებენ, უახლოესი 2 კვირის განმავლობაში ფეხბურთს ველარ ითამაშებს.

## როდუელის თვენახევარი

BBC-ის ცნობით, "ევერტონის" 19 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯეკ როდუელმა** ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო და უახლოესი თვენახევრის განმავლობაში მინდორს ვერ გაეკარება.

## ტაივო ველოდრომს ღალატობს

"მარსელის" 25 წლის ნიგერიელი ცენტრალური მცველი **ტაიე ტაივო** სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს და კარიერას სხვა ქვეყანაში და სხვა კლუბში გააგრძელებს. ის ივლისში თავისუფალი აგენტი ხდება და არჩევანში შეზღუდული არ იქნება. *"მე და აგენტი უკვე ჩაბმულები ვართ ევროპის ერთ-ერთ წამყვანი ლიგის კლუბთან მოლაპარაკებაში. იმედი მაქვს, საკითხი უახლოეს კვირებში გადაწყდება,"* – განუცხადა პრესას ფეხბურთელმა.

## ჩილე მწვრთნელს ეძებს

ჩილეს ფეხბურთის ფედერაცია ნაკრებიდან წასული **მარსელო ბიელსას** შემცვლელს ეძებს. ფედერაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პრიორიტეტი სამხრეთამერიკელ მწვრთნელებს ენიჭებათ, თუმცა გამორიცხვით არც ევროპელი გამოირიცხება. ჩილელებმა ორ სპეციალისტს უკვე შესთავაზეს ნაკრების ჩაბარება, **ხოსე პეკერმანსა** და **კარლოს ბიანკის**, თუმცა ორივე შემთხვევაში უარი მიიღეს. განიხილება მესამე არგენტინელის კანდიდატურაც, ლაპარაკია **კლაუდიო ბორგიზე**

ბორგის გარდა სახელდება **მარჩელო ლიპის, ვანდერლეი ლუშემბურგოს, გუუს ჰიდინკისა** და **უგო სანჩესის** სახელები.

## მებაჟეებმა ისტორია დაწვეს

"დეილი მეილის" ინფორმაციით, საფრანგეთის საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა კერძო კოლექციონერის ხელთ მყოფი სწორედ ის მაისური გაანადგურეს, რომელიც **დავიდ ტრეზეგეს** 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ემოსა. მიზეზად მათ დაასახელეს ის, რომ მათ ეს მაისურა ფალსიფიცირებული ეგონათ.

## ბაიერნს მილიტო სურს

როგორც პორტუგალიური "ა ბოლა" ამტკიცებს, "ბაიერნის" ბოსები როგორც იქნა მიხვდნენ, რომ გუნდს კვალიფიციური ცენტრალური მცველი სჭირდება და თადარიგი აქედანვე დაიჭირეს. ჟურნალისტების თქმით, მათ "ბარსელონას" უკვე მიმართეს და საზაფხულოდ **გაბრიელ მილიტოს** ტრანსფერს ფეხა მოუსინჯეს. როგორც გაზეთი გვამცნობს, მიუნხენელები "ბლაუგრანას" 30 წლის სტოპერში 8 მილიონ ევროს სთავაზობენ.

**ლევან ბიბილაშვილი**



გაბრიელ მილიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ტრაგედიის ექო

# ბატონ პერე მიროს სოკ-ის ეოკ-ებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს

## ბატონ ურს ლაკოტს სოკ-ის გენერალურ დირექტორს

გვსურს კიდევ ერთხელ დავადასტუროთ პატივისცემა თქვენს მიმართ და გამოვხატოთ საქართველოს ეოკ-ის მადლიერება თქვენი მუდმივი ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის.

მაშინ, როდესაც ყველანი ვზრუნავთ ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნის უკვდავყოფაზე, რათა აშენდეს მის მშობლიურ დაბა ბაკურიანში ხელოვნური საციგაო ტრასა, შეიქმნას ციგის საერთაშორისო ახალგაზრდული საწვრთნელი ცენტრი და გატარდეს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, CBC –ის კანადური ტელეარხი მთელს მსოფლიოს აცნობს სენსაციურ მასალას, რომელიც დაკავშირებულია საციგაო ტრასის უსაფრთხოების ასპექტებთან. (გთხოვთ ინფორმაციისთვის იხილოთ თანდართული ლინკი: http://www.cbc.ca/canada/story/2011/02/06/vanoc-luge-track406.html ).

CBC-ის მიერ ჩატარებული გამოძიება დიდ წინააღმდეგობაშია ციგის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემულ ოფიციალურ დასკვნასთან "ზამთრის XX ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენის ნ. ქუმარიტაშვილის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით ვისტლერის საციგაო ცენტრში ოფიციალური ვარჯიშის პერიოდში", რომელიც სოკ-ს წარუდგინეს.

ამ წერილით გვსურს თქვენი ყურადღება მივაქციოთ და შესაბამისი კომენტარი გთხოვოთ გარკვეულ საიდუმლო მიმოწერასთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტსა და საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას შორის ტრასის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც CBC –ის კანადურმა ტელეარხმა გამოავლინა. ინფორმაცია ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში ზემოაღნიშნული ლინკით, რომელშიც ორგანიზატორები და საერთაშორისო ფედერაცია თავიანთ შეშფოთებას გამოთქვამდნენ საციგაო ტრასის უსაფრთხოების შესახებ, კერძოდ VANOC–მა 2009 წლის მარტში მიიღო FIL-ისგან წერილის ასლი, რომელშიც მიმართავდნენ ტრასის დიზაინერს და შიშს გამოთქვამდნენ მასზე განვითარებულ სიჩქარეებთან დაკავშირებით. ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაცია მოიცავს სხვადასხვა ოფიციალური პირების მიერ გამოთქმულ ციტირებებს.

თქვენი მხრიდან გამოქვეყნებული დეტალების გაცნობამდე გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ამ სიახლემ დიდი შეშფოთება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში და ჩვენს მასობრივი ინფორმაციის წყაროებში, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მიიღო საგამოძიებო კომისიის ოფიციალური დასკვნა ტრაგედიის დეტალებთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულ გამაფრთხილებელ მიმოწერასთან დაკავშირებით ტრასის სიჩქარესა და უსაფრთხოებაზე არაფერია ნახსენები.

საქართველოს ეოკ-ის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართეს ადგილობრივმა და საერთაშორისო მედიასაშუალებებმა, რათა კომენტარი გაეკეთებინა გამოქვეყნებულ მასალაზე. საზოგადოება და რასაკვირველია ოლიმპიელის ოჯახი მოითხოვს დამატებით განმარტებას შესაბამის მიმოწერებში ტრასის უსაფრთხოებასა და სიჩქარესთან დაკავშირებით გამოთქმულ საფრთხეზე.

გვჯერა, რომ გაგებით მოეკიდებით შექმნილ ვითარებას და შესაბამის კომენტარს მოგვაწოდებთ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. ჩვენი ვალია სიმართლის დადგენა.

მადლობა ყურადღებისა და თანამშრომლობისთვის.

**პატივისცემით,**
**გია ნაცვლიშვილი**
**პრეზიდენტი**

***რედაქციისაგან:*** *დედნის სტილი დაცულია.*

თავისუფალი ჭიდაობა

# იარიგინის ძმური ოდისეა

## რუსებმა საევროპო განაცხადი შეავსეს

კრასნოიარსკში დამთავრდა ივან იარიგინის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" პირველი ტურნირი — რუსეთის ნაკრებისთვის საევროპოდ მთავარი შესარჩევი შეჯიბრება. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ გაირკვა ევროპაზე წამსვლელთა შემადგენლობა - იქ ჩემპიონები იჭიდავებენ (თუმცა ერთი-ორგან ცვლილებაცაა მოსალოდნელი). კრასნოიარსკში ყველა წონაში რუსებმა იმარჯვეს: **ჯამალ ოთარსულთანოვი** (55), **ოპან სატი** (60), **ადამ ბატიროვი** (66), **საბა ხუბეჟტი** (74), **ანზორ ურიშევი** (84), **შამილ ახმედოვი** (96) და **ბახტიარ ახმედოვი** (120, აბსოლუტური). ხუბეჟტის გარდა, ამათგან ყველა საკმაოდ გამოცდილი და ტიტულოვანია.

იარიგინის ტურნირში 55 ნაკრები გამოდიოდა, ამაზე ბევრად მეტი მონაწილე კი ბოლო წლებში მსოფლიოს პირველობაზეც ძლივს გროვდება. წამყვანი ქვეყნებიდან თითქმის ყველა ჩავიდა კრასნოიარსკში - აშშ, იაპონია, მონღოლეთი, ირანი, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ძლიერთაგან მხოლოდ აზერბაიჯანი და კუბა არ იყვნენ.

### ძმები და საქართველო

ადამ ბატიროვი ამჯერად ასცდა ძმასთან დაპირისპირებას – მავლეტი არ გამოსულა იარიგინზე, მაგრამ ეს აუცილებლად მოუწევს მსოფლიოს პირველობისთვის მთავარ შესარჩევ ტურნირზე – რუსეთის ჩემპიონატზე. მავლეტ ბატიროვი მესამე ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებლად ემზადება და გზად რომ არავის დაინდობს, თქმაც არ გჭირდებათ, კრასნოიარსკში კი ძმათა ფინალს ცოტა დააკლდა.

74 კილოგრამში ფინალში **საბა** და **კახა ხუბეჟტები** გავიდნენ. კახამ არ იჭიდავა და გამარჯვება უბრძოლველად დაუთმო ძმას. საბა რუსეთის ნაკრებს წარმოადგენდა (ოსეთის გუნდს), კახა კი სლოვაკეთის სახელით გამოდიოდა.

ძმების აშკარად ქართულმა სახელებმა საქართველოსთან მათი კავშირი იმთავითვე გვაფიქრებინა, მაგრამ აქაურ მწვრთნელებში მათთან დაკავშირებული არავინ აღმოჩნდა. ეჭვი კიდევ უფრო გაგვიძლიერა ოსურ სპორტულ ფორუმზე გამოქვეყნებულმა დედის - **ნონა ხუბეჟტის** მცირე კომენტარმა, სადაც იმაზე საუბრობს, თუ რა ძნელია ერთმანეთის კონკურენტად ქცეული შვილების ქომაგობა. საბოლოოდ მეგობრების (ამისთვის დიდი მადლობა მათ) და იმავე რუსულ-ოსური საიტების დახმარებით დავადგინეთ, რომ ძმები მართლაც თბილისში დაბადებულან, დედა გვარად ბაგაურია, მამა კი ახმეტის რაიონის ოსურ სოფელ ფიჩხოვანიდანაა წასული ბავშვთა იმ გახმაურებული ტრაგედიით ცნობილ ბესლანში. ძმები დღესაც ერთად ვარჯიშობენ ვლადიკავკაზში, **ვიაჩესლავ ბაგაევთან**. მწვრთნელმა სავსებით ლოგიკური უწოდა კახას გადაწყვეტილებას, ძმისთვის უბრძოლველად დაეთმო გამარჯვება, თუმცა ფინალამდე უფრო რთული გზა კახამ გაიარა - ბულგარელი ოლიმპიური პრიზიორი **კირილ ტერზიევი** დაამარცხა.

> **ძმები მართლაც თბილისში დაბადებულან, დედა გვარად ბაგაურია, მამა კი ახმეტის რაიონის ოსურ სოფელ ფიჩხოვანიდანაა წასული ბავშვთა იმ გახმაურებული ტრაგედიით ცნობილ ბესლანში**

### ნუცალხანოვის მაგალითი ქართველებისთვის

ზემოხსენებულმა ადამ ბატიროვმა თავისი გამარჯვება მთლიანად ახალ მწვრთნელს - **სალიმ ნუცალხანოვს** დაუკავშირა, რომელთანაც ორი თვის წინ დაიწყო ვარჯიში. ამ ცნობილმა მწვრთნელმა სახელი ხასავიურტში **შამილ უმახანოვის** დარბაზში მუშაობით გაითქვა, სადაც იგივე მავლეტ ბატიროვი, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ბილიალ მახოვი**, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **მახაჩ მურთაზალიევი** და არაერთი ცნობილი ფალავანი გამოზარდა. ის ძირითადად ფიზმომზადების სპეციალისტადაა ცნობილი და ადამ ბატიროვი ახლანდელ წარმატებასაც ამ კომპონენტის გაუმჯობესებით ხსნის. საყურადღებოა, რომ ნუცალხანოვის სავარჯიშო გეგმას მიაწერა თავისი მესამე ოლიმპიური ოქრო ჩეჩენმა **ბუვაისა საიტიევმაც** (74). აი, რა თქვა ნუცალხანოვის შესახებ ადამ ბატიროვმა: *„წლების განმავლობაში მაწუხებდა თიაქარი, წელი საშინლად მტკიოდა. გერმანიაშიც კი ვაპირებდი საოპერაციოდ წასვლას, მაგრამ ნუცალხანოვმა ფიზმომზადების საგანგებო პროგრამა შემიდგინა. შედეგად, ორ კვირაში წელის ტკივილმა გამიარა".* ვერ გეტყვით, თიაქარის ამგვარად მორჩენა რამდენადაა შესაძლებელი, მაგრამ ეტყობა, მწვრთნელი მედიცინაშიც კარგად ერკვევა, ამაში კი კიდევ უფრო გვშურს მისი. სამედიცინო საქმე იმდენად სპეციფიკურია, ყველას ვერ მოსთხოვ მის საფუძვლიან ცოდნას, მაგრამ დასამალი არაა, ქართველი მწვრთნელები (ეს მხოლოდ მოჭიდავეებს არ ეხებათ) უმეტესად ვერ ერკვევიან ძალიან მარტივ რამეებშიც კი. არადა, სამწვრთნელო პროცესი მხოლოდ ლეიბზე ვარჯიში არაა. თან კიდევ ერთხელ გავიმეორებთ – ნუცალხანოვი ბატიროვს მხოლოდ ორი თვეა, რაც ავარჯიშებს, ამ პერიოდში კი კიდეც უექიმა და წარმატებაც მოაპოვებინა.

**ირაკლი თავაძე**

**შედეგები**

**55 კგ.** 1. ჯამალ ოთარსულთანოვი, 2. ალექსანდრ ბოგომაევი, 3. რუსტამ ამპარი (სამივე – რუსეთი), იუმოტო შინიჩი (იაპონია).

**60 კგ.** 1. ოპან სატი, 2. რასულ მურთაზალიევი, 3. ახმედ ჩაკაევი, ასლან დოხოვი (ყველა – რუსეთი).

**66 კგ.** 1. ადამ ბატიროვი (რუსეთი), 2. ტაცუხირო იუნიცუ (იაპონია), 3. ისრაილ კასუმოვი, მაგომედმურად გაჯიევი (რუსეთი).

**74 კგ.** 1. საბა ხუბეჟტი (რუსეთი), 2. კახა ხუბეჟტი (სლოვაკეთი), 3. მუსლიმ დადაევი, ზამირ ამპაჟევი (რუსეთი).

**84 კგ.** 1. ანზორ ურიშევი, 2. ალბერტ სარიტოვი, 3. სოსლან კცოევი, აბდუსალამ გადისოვი (რუსეთი).

**96 კგ.** 1. შამილ ახმედოვი, 2. ვლადისლავ ბაიცაევი, 3. გიორგი კეტოევი, იური ბელონოვსკი (რუსეთი).

**120 კგ.** 1. ბახტიარ ახმედოვი, 2. ბარსაგ კესაევი, 3. ალან ცარიკაევი (რუსეთი), ტრაველ დლაგნევი (აშშ).

**აბსოლუტური.** 1. ბახტიარ ახმედოვი, 2. შამილ ახმედოვი, ბარსაგ კესაევი, ვლადისლავ ბაიცაევი (რუსეთი).

ძიუდო

# უნიკალური თასი და ფიქრი მუზეუმზე

შეიძლება ითქვას, რომ 1979 წლის 24 სექტემბერი განსაკუთრებული დღეა საქართველოს ძიუდოს ისტორიაში.

ჯერ ერთი, პირველად საქართველოს ნაკრები სსრკ-ს გარეშე ცალკე გუნდით წარდგა იაპონიაში საერთაშორისო გუნდურ ტურნირზე.

მეორე და მთავარი: 11 გუნდს შორის, საქართველომ ყველას აჯობა და თასი მოიპოვა (არადა, იაპონია 8 გუნდით გამოდიოდა).

ისიც სათქმელია, რომ ქართველ მოჭიდავეებს გამარჯვებისკენ სწრაფვის განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდათ. ეს იყო ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, კოლორიტული ფალავნის, **ანზორ კიკნაძის** (1934-1976) სახელობის პირველი მემორიალური ტურნირი, რომელიც ანზორის მეტოქემ და მეგობარმა ტოკიოს (1964) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **ისაო ინოკუმამ** ითავა და ტოკიოდან 100 კილომეტრში ტოკაის უნივერსიტეტში მოაწყო.

იაპონელები ქართველების გამარჯვებამ საოცრად გააკვირვა, უფრო ზუსტად, საკუთარი გუნდების მარცხით გულნატკენი დარჩნენ. ეს იყო და ეს. მსგავსი ტურნირი მათ აღარ მოუწყვიათ...

ჩვენ იაპონიაში 32 წლის წინათ მოპოვებული თასის ნახვით დავინტერესდით. თუმცა ვერსად მივაკვლიეთ, ამიტომ გვიჩნდება სურვილი, რომ ჭიდაობის დიდი ტრადიციების ქვეყანაში საქართველოში უნდა შეიქმნას ჭიდაობის მუზეუმი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ფოტოზე სწორედ ტურნირის გამარჯვებული საქართველოს ნაკრებია გამოსახული. წინ: ოლეგ ზურაბიანი, თამაზ ნამგალაური. დგანან: მარცხნიდან ანზორ მარტყოფლიშვილი (მწვრთნელი და მსაჯი), დავით ჩალაური, დავით ბერძენიშვილი, დავით პერტენავა (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე), რამაზ ხარშილაძე, შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური და ბიძინა მაზიაშვილი (მწვრთნელი).

**გაბრიელ ბარჯაძე**



მარცხნიდან: წინა ხედზე - ოლეგ ზურაბიანი, თამაზ ნამგალაური;
დგანან - ანზორ მარტყოფლიშვილი, დავით ჩალაური, დავით ბერძენიშვილი, დავით პერტენავა, რამაზ ხარშილაძე, შოთა ხაბარელი, თეიმურაზ ხუბულური და ბიძინა მაზიაშვილი

# გორელებმა ჭაბუკები გაამზადეს

ამ დღეებში გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში 1995-1996 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა რეგიონის პირველობა გაიმართა გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის ძიუდოს სკოლების აღსაზრდელთა მონაწილეობით. შეჯიბრებას უნდა გამოევლინა რეგიონის გუნდის ის შემადგენლობა, რომელიც 5-6 მარტს თბილისში საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებს. შიდა ქართლს ყველა წონით კატეგორიაში ოთხი სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს, ანუ გუნდი თბილისის ტატამზე 32 მოჭიდავის შემადგენლობით წარდგება. საუკეთესოთა შორის გორელი სპორტსმენები ჭარბობენ, სკოლებს შორისაც ამ ქალაქის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა გამოირჩა (დირექტორი და მთ. მწვრთნელი **ანზორ თენაძე**). შეჯიბრება ძიუდოს ცნობილი გორელი სპეციალისტის **გივი ზაუტაშვილის** 73 წლის იუბილეს დაემთხვა და შესაბამისად, ტურნირის ორგანიზატორებმა მისი სახელობის პრიზიც გაათამაშეს. შეჯიბრებას ესწრებოდა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილი.**

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **გიორგი კაციაშვილი** (50 კგ, კასპი), **გიორგი ბიბილაშვილი** (55), **ბექა შერმადინი** (60), **გიორგი მუზაშვილი** (66), **ლევან ტერმაკოზაშვილი** (73), **ბექა ღვინიაშვილი** (81), **ბაქარ მაზიაშვილი** (90, ყველა - გორი), **დიმიტრი გუგულაშვილი** (+ 90, კასპი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭიდაობა

# თბილისის შემდეგ საქართველოა

დიღმის სპორტკომპლექსში გაიმართა თბილისის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. 1995-1996 წლებში დაბადებული ჭაბუკები დედაქალაქის ამ პირველობის შემდეგ უკვე საქართველოს პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს.

თბილისის ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი არაბული** (50 კგ. შევარდენი), **ზურაბ ჭონიაშვილი** (55, ძიუდოს აკადემია), **ბექა ველთაური** (60, მართვე), **ჯემალ ბუჩუნტელი** (66), **ავთანდილ დურგლიშვილი** (73, ორივე — შევარდენი), **ადამ ვარაზაშვილი** (81, ჯორჯია), **გურამ თუშიშვილი** (90, შევარდენი), **ჯემალ დაბრუნდაშვილი** (+90, ძიუდოს აკადემია).

მალე ქართულ ჭიდაობაში თბილისში და მთლიანად საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა ფესტივალი დაიწყება და ნათლად გამოჩნდება ხვალინდელი დღის პოტენციალი ჩვენს ტრადიციულ ჭიდაობაში.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქუთაისური დუბლი



მერი არაბიძე და ზურაბ ჯავახაძე

თვრამეტი წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინდელი ბოლო ტურის პარტიებს უნდა დაესახელებინა ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობა. გოგონებში **მერი არაბიძე** ნახევარი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარს და ოქროს მედლის მოსაპოვებლად ყაიმიც ჰყოფნიდა. მართლაც, იგი მე-18 სვლაზე დაუზავდა **ანა კუჭავას** და 9 შესაძლებლიდან 7 ქულით საქართველოს ჩემპიონობა მეოთხედ მოიპოვა. საგულისხმოა, რომ სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი არაბიძე, რომელიც მეხუთე წელიწადია, ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ალექსანდრე არსენიძესთან** ვარჯიშობს, თანატოლებში ორგზის მსოფლიოს და სამგზის ევროპის ჩემპიონი და ხუთგზის ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელია.

გუშინ საქართველოს პირველობაზე **მარიამ თევზაძის** ძლევით **ლიკა კობეშავიძემაც** 7 ქულა მოაგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილს დასჯერდა. 6-6 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები, შესაბამისად, **ნანი უნაფქოშვილმა, ნათია ჯალაბაძემ** და **ნატო იმნაძემ** გაინაწილეს.

ვაჟებში უფრო რთულად იყო საქმე, რადგან აქ ერთბაშად სამ მეტოქეს ჰქონდა ერთნაირი ქულები, თანაც, სამივე შავი ფიგურებით უნდა გამკლავებოდა მეტოქეს. კონკურენტებზე ადრე პარტია **ზურაბ ჯავახაძემ** დაამთავრა - იგი 12 წლის **გიორგი სიბაშვილს** დაუზავდა. **ნოდარ ლორთქიფანიძემ,** რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში მეწინავეთა შორის იყო, **ნიკა ვოლკოვთან** წააგო და 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ირაკლი ბერაძე გიორგი ნიკოლაშვილს შეუთანხმდა ყაიმზე. ამდენად, 7-7 ქულა ორმა მოჭადრაკემ მოაგროვა. უარესი კოეფიციენტით მეორე იყო ბერაძე, პირველობა კი ჯავახაძეს ხვდა. ზურაბიც ქუთაისელია, 21-ე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი, ისიც მეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მაია ჩიბურდანიძის სახელობის სკოლაში მასაც არსენიძე ავარჯიშებს. შარშან სალონიკიში ევროპის სასკოლო პირველობაზე 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით (მხოლოდ უნგრელ კრისტოფ ჯუჰაზს დაუზავდა) ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო თურქეთში მსოფლიოზე მეორე იყო მასპინძელ ფირატ ბურაკის შემდეგ.

რადგანაც საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიც იყო, ჩემპიონებმა - არაბიძემ და ჯავახაძემ წლეულს მსოფლიოს პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ხოლო ვერცხლის მედალოსნები - კობეშავიძე და ბერაძე ევროპელ თანატოლებთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**მერი არაბიძე:** „წლევანდელი სეზონი არცთუ სახარბიელოდ დავიწყე - ანაკლიაში საქართველოს ქალთა ჩემპიონატზე ისევ ვერ ვითამაშე როგორც მინდოდა, შედეგიც არასასურველი მივიღე. სამაგიეროდ, კარგად მოვემზადე 18-წლიანთა პირველობისთვის, სადაც რეიტინგფავორიტი ვიყავი. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ დამთავრდა და მსოფლიოს პირველობის საგზური დავიმსახურე. ამ შეჯიბრებას ნოემბერში ბრაზილია უმასპინძლებს. შარშან მსგავს შეჯიბრებაზე ძალიან ახლოს ვიყავი ჩემპიონობასთან, მაგრამ ბოლო ტურში ვიეტნამელ ნგუენ სი მაი ჰანგთან ერთი სვლა გამომრჩა და... საბოლოოდ მეოთხე ადგილზე აღმოვჩნდი. შარშანდელი დანაკლისი წლეულს უნდა ავინაზღაურო. მანამდე რამდენიმე შეჯიბრებაში მივიღებ მონაწილეობას: მაისში ქალთა ევროპის ჩემპიონატში ვითამაშებ, ივნისში - 20-წლიანთა საქართველოს პირველობაზე, დანარჩენი კი მერე ვნახოთ".

**ზურაბ ჯავახაძე:** „წლეულს სკოლას ვამთავრებ და ეროვნული გამოცდებისთვის ვემზადები, ამიტომ ჭადრაკისთვის ნაკლებად ვიცლი. ამის მიუხედავად, მაინც ვითამაშე 18-წლიანთა პირველობაში. სადაც სამართალია, ჩემპიონობა ნოდარ ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა, რადგან პირველივე ტურიდანვე ლიდერობდა, მაგრამ ბოლო სამ ტურში ორჯერ დამარცხდა და მხოლოდ ბრინჯაო ერგო.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რადგან უმთავრესი საზრუნავი ეროვნული გამოცდებია, შემდეგ კი მსოფლიო პირველობისთვის მოვემზადები".

გუშინ ორივე ჩემპიონის მწვრთნელმა, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ალექსანდრე არსენიძემ გვითხრა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით ყველაფერს იღონებს, რომ არაბიძემ და ჯავახაძემ სექტემბერში თანატოლთა ევროპის პირველობაზეც იასპარეზონ, რომელსაც ბულგარული ალბენა უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჩოგბურთი



# წყვილებშიც წარმატებული

მიდლენდის (აშშ) საერთაშორისო ტურნირში (100 ათასი $) **ანა ტატიშვილისა** (129) და ჩეხი **ლუსი ჰრადეჩკას** (106) მერვედფინალური მატჩი საქართველოს დროით გამთენიისას გაიმართებოდა. მანამდე კი ჩვენმა თანამემამულემ წყვილთა თანრიგში იასპარეზა, იქაც წარმატებით - ანა და ამერიკელი **ჯემი ჰემპტონი** (133) მეოთხედფინალში გავიდნენ, მას შემდეგ, რაც კანადელები (**მარინო, პელეტიე**) დაამარცხეს - 6:3, 7:5. ახლა მათი მეტოქეები მე-3 ნომრად განთესილები, თურქი **იპეკ სენოგლუ** (91 წყვილებში) და რუსი **ქსენია პერვაკი** (102) იქნებიან.

მიდლენდთან შედარებით მალიორკის (ესპანეთი) ტურნირის საპრიზო ფონდი 10-ჯერ მცირეა. იქ პირველი წრე გადალახა **ეკა გორგოძემ** (623), რომელმაც ბულგარელ **იულია სტამოვას** აჯობა - 3:6, 6:4, 6:3. ახლა ეკა მე-2 ნომრად განთესილ იტალიელ **კლაუდია ჯოვანეს** (289) ეთამაშება, სწორედ იმას, ვისაც ერთი კვირის წინათ მალიორკაში ძალზე იოლად აჯობა და შემდეგ ტურნირიც მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურობა

# გედევანიშვილი სტარტამდე ვერ მივიდა

**იასონ აბრამაშვილი** ალპებში ფისის ეგიდის ტურნირებში გამოსვლას აგრძელებს, გერმანიის შემდეგ იასონმა ავსტრიას მიაკითხა და ბოირზერბერგის სლალომში ისრიალა. ჩვენი ნაკრების ლიდერმა ორი ცდის ჯამში მე-15 ადგილი დაიკავა 1:50,86 წუთი შედეგით (37,87 ქულა).

მოგეხსენებათ, გერმანულ გარმიშ-პარტენკირხენში სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. 9 თებერვალს ვაჟთა სუპერგიგანტის ჯერი იყო. სასტარტო სიაში **დიმიტრი გედევანიშვილის** გვარიც ფიგურირებდა, მაგრამ შეჯიბრებაში მას მონაწილეობა არ მიუღია, ისევე როგორც ფრანგ **იანიკ ბერტრანს**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა

# მესტარტეებს ქართველიც შეემატა

## ფესტივალისთვის მსაჯების მომზადება მძლეოსნობით იწყება

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, **მერაბ მაისურაძე** მწვრთნელადაც მუშაობს და ჩვენს ქვეყანაში გამართულ შეჯიბრებებზე მსაჯადაც გვევლინება. უმთავრესად სარბენი ბილიკების სტარტთან დგას და ასპარეზობის დაწყების ნიშანს აძლევს სპორტსმენებს. ამას წინათ იგი მძლეოსნობის რეგიონული ცენტრის მიწვევით მოსკოვში იმყოფებოდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პროგრამით გათვალისწინებულ მსაჯთა კვალიფიკაციის სამდღიან სემინარებზე.

- რუსეთის დედაქალაქში 12 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოვიყარეთ თავი, - გვითხრა მერაბმა. - თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი **ალან ბელი** და რეგიონული ცენტრის დირექტორი რუსი **ვადიმ ზელენჩონოვი** გვიტარებდნენ. ათი წელიწადია, სტარტი და ფალსსტარტი ელექტროტექნიკით მოწმდება, ამიტომ მესტარტეს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. ბევრ საინტერესო ნიუანსში გავერკვიე. გამოცდების ჩაბარების შემდეგ სერთიფიკატები დაგვირიგეს, რითაც საერთაშორისო ტურნირებში მსაჯობის უფლება დაგვრთეს. ვისაც ამგვარი კვალიფიკაციის მესტარტე არ ჰყავს, მან სპეციალისტი უცხოეთიდან უნდა მოიწვიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჯიბრება საერთაშორისოდ არ ჩაითვლება. მაგალითად, შარშანწინ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე მასპინძლებთან ერთად სომხეთის, აზერბაიჯანისა და ისრაელის მძლეოსნებმაც მოიყარეს თავი. ორგანიზატორებმა მესტარტედ ისრაელიდან სპეციალურად მოიწვიეს საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე **დავით ეფრემაშვილი.**

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პროგრამით რეგიონული ცენტრი ეტაპობრივად კვლავაც მიიწვევს ჩვენს მწვრთნელებსა და მსაჯებს, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მძლეოსნობის განვითარებას და რაც ასევე მნიშვნელოვანია, არბიტრების მომზადებას 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

მერაბ მაისურაძე (მარცხნიდან მეორე) უცხოელ კოლეგებთან ერთად სემინარებზე



სტუმარი




# თურქეთს ზურგი შეაქციეს, საქართველომ შესთავაზა

წლეულს მარტ-აპრილში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატისთვის თურქეთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ორგანიზატორებმა მოასპარეზეების სათანადო პირობების შექმნა და საპრიზო ფონდის მოძიება დროულად ვერ შეძლეს, რის გამოც ევროპის ჭადრაკის კავშირმა, რომელსაც ბულგარელი **სილვიო დანაილოვი** ხელმძღვანელობს, თურქებს კონტრაქტი შეუწყვიტა და შეჯიბრების მასპინძლობაზე ტენდერი გამოაცხადა. ამ ფაქტს პირველი გამოეხმაურა საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი **გია გიორგაძე**), რომელმაც თბილისის მერიის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მთავარი სპონსორის „სოკარი ენერჯი ჯორჯიას" მხარდაჭერით ევროპის საჭადრაკო კავშირს ჩემპიონატის მასპინძლობა შესთავაზა.

14 თებერვალს თბილისში სილვიო დანაილოვი ჩამოვა, დედაქალაქისა და საქართველოს სპორტის მესვეურებს შეხვდება, შეჯიბრების ჩატარების პირობებს გაეცნობა და მერე, ალბათ, საბოლოო სიტყვასაც იტყვის. იმედია, საპატიო სტუმრის პასუხი დადებითი იქნება. ჩვენი ფედერაცია თბილისში 7-25 მაისს გეგმავს ევროპის ჩემპიონატის გამართვას, რომელიც სახელოვან ქართველ მოჭადრაკე ქალებს მიეძღვნება - **ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს** და **ნინო გურიელს** ხომ წლეულს საიუბილეო თარიღები აქვთ.

**ვაჟა დანელია**

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ბატუტი; 6. მკლავჭიდი; 8. ტატამი; 9 სუმო; 10. პრესინგი; 12. ლაბაძე; 13. "აიაქსი"; 17. "ირაო"; 18. სტოპერი; 20. "ოდიში"; 21. აბულაძე; 22. ილეთი; 24. აკვრა; 26. ვარძელაშვილი; 28. "არმია"; 29. სარმა.

**შვეულად:** 1. ბატერფლაი; 2. ტიტე; 3. ტომარაძე; 4. შამუგია; 5. ადამია; 7. კედი; 11. აბრამიძე; 14. ირომაშვილი; 15. სორელი; 16. ესებუა; 19. ტირი; 20. "ოლიმპია"; 23. თოვლი; 25. ხვიჩა; 27. შსს.

**თბილისის მერიის ოლიმპიური მთავარი ცენტრის მ. გეგელიას სახელობის სპორტული აკრობატიკის ფილიალი და საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 62 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტსმენთა თაობების აღმზრდელი**

**სამსონ (სოსო) ბაქანიძე**

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

***პანაშვიდი:** 11.02; დაკრძალვა 12.02; 14 საათზე.*
***მისამართი:** გლდანი IIIა მ/რ, მე-17 კორპ IV სადარბაზო.*

# კალათბურთი

## სუპერლიგა. XII ტური ციფრებში

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 11 | 258 | 23.45 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 10 | 214 | 21.4 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 10 | 196 | 19.6 |
| 4. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 11 | 206 | 18.73 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 10 | 175 | 17.5 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 10 | 174 | 17.4 |
| 7. ზუზა კვიმსაძე | ქუთაისი | 11 | 186 | 16.91 |
| 8. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 10 | 168 | 16.8 |
| 9. ივანე მაისურაძე | ბათუმი | 9 | 145 | 16.11 |
| 10. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 11 | 175 | 15.91 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 11 | 69 | 6.27 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 10 | 55 | 5.5 |
| 3. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 10 | 50 | 5 |
| 4. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 11 | 55 | 5 |
| 5. ტარიელ თავართქილაძე | სამედიცინო | 10 | 48 | 4.8 |
| 6. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 11 | 52 | 4.73 |
| 7. ბექა წიწივაძე | ენერჯი | 11 | 49 | 4.45 |
| 8. ზუზა კვიმსაძე | ქუთაისი | 11 | 48 | 4.36 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი გულისაზედაშვილი | სამედიცინო | 11 | 37 | 3.36 |
| 2. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 11 | 35 | 3.18 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 10 | 27 | 2.7 |
| 4. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 11 | 29 | 2.64 |
| 5. ზუზა ბერიშვილი | ქუთაისი | 10 | 26 | 2.6 |
| 6. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 10 | 26 | 2.6 |
| 7. ზვიად ანთაძე | სტუ | 11 | 27 | 2.45 |
| 8. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 9 | 19 | 2.11 |
| 9. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 11 | 23 | 2.09 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 11 | 20 | 1.82 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 11 | 17 | 1.55 |
| 3. ბექა ბექაური | სამედიცინო | 11 | 17 | 1.55 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 14 | 1.4 |
| 5. ირაკლი კობიძე | სტუ | 10 | 12 | 1.2 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 10 | 53 | 5.3 |
| 2. ლაშა ექვთერაძე | დინამო | 9 | 37 | 4.11 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 11 | 45 | 4.09 |
| 4. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 11 | 44 | 4 |
| 5. ირაკლი სორდია | სოხუმი | 11 | 38 | 3.45 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 10 | 34 | 3.4 |
| 7. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 11 | 37 | 3.36 |
| 8. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 11 | 36 | 3.27 |
| 9. კოტე ტულუში | არმია | 10 | 32 | 3.2 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 11 | 51 | 80 | 131 | 11.91 |
| 2. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 11 | 32 | 97 | 129 | 11.73 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 10 | 48 | 58 | 106 | 10.6 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 36 | 60 | 96 | 9.6 |
| 5. კარლ დამუსი | სოხუმი | 11 | 45 | 55 | 100 | 9.09 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 10 | 18 | 72 | 90 | 9 |
| 7. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 11 | 27 | 69 | 96 | 8.73 |
| 8. დავით უგრეხელიძე | არმია | 9 | 37 | 41 | 78 | 8.67 |
| 9. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 11 | 37 | 57 | 94 | 8.55 |
| 10. ზვიად ანთაძე | სტუ | 11 | 29 | 64 | 93 | 8.45 |

### რეკორდები

**ქულა**

37 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ).
2-ქულა: 8/10. 3-ქულა: 5/10. საჯარიმო: 6/10.
18.12.10 სამედიცინო-სტუ

**მოხსნა**

19 - დავით ბარბაქაძე (შსს).
მეტოქის ფარზე: 11. საკუთარზე: 8.
30.11.10 სტუ-შსს

19 - რიჩარდ დამუსი (სოხუმი).
მეტოქის ფარზე: 6. საკუთარზე: 13.
27.11.10 დინამო-სოხუმი

**პასი**

13 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

9 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).
05.02.11 თსუ-სტუ

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია).
13.11.10 სტუ-არმია

5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).
26.11.10 ბათუმი-სტუ




## XII ტურის MVP მიხეილ ბერიშვილი



# ერთსულოვნება

2011 წელი ახალი დაწყებულია, თუმცა ქართულმა კლუბებმა უკვე მოასწრეს ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე, საქართველოს თასსა და სუპერლიგაში თამაში. სადღეისოდ წლის ყველაზე წარმატებულ კლუბად თსუ უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც მემორიალი მოიგო, თასის ნახევარფინალში „არმიას" დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლო წამებზე დამარცხდა, ხოლო სუპერლიგის მეორე წრე სტუდენტურ დერბიში გამარჯვებით გახსნა.

ჟურნალისტებმა მე-12 ტურის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ თსუ-ს ახალწვეული **მიხეილ ბერიშვილი** დავასახელეთ, რომელიც იანვარში სტუდენტთა გუნდში „არმიადან" გადავიდა.

**- გასულ შაბათს სტუ-სთან გამარჯვება გაგიჭირდათ...**

- მართალია. თუმცა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა - არაერთი ტრავმირებული გვყავს, ხოლო ილია ლონდარიძემ სიცხიანმა ითამაშა. რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის არყოფნაში მატჩის მსვლელობისას უპირატესობის მოპოვების შემდეგ მცირე ჩავარდნა გვქონდა. ეს, ალბათ, დაღლილობის ბრალი იყო. სასიამოვნოა, რომ შედარებით ახალგაზრდა კალათბურთელები თამაშში კარგად ჩაერთვნენ და სათანადოდ დაგვეხმარნენ. გამოვყოფდი ზურაბ მაისურაძეს.

**- სტუ-მაც კარგად ითამაშა.**

- ტექნიკოსებმა ბოლომდე იბრძოლეს. მათგან ასეთი თამაში მოსალოდნელიც იყო, რადგან გუნდს გამოცდილი სპეციალისტი ზურაბ ტომარაძე ხელმძღვანელობს.

**- აქვე თსუ-ს მწვრთნელზე გკითხავთ. ჩემი აზრით, მემორიალის მოგებაში მთავარი წვლილი ნუგზარ ჭეიშვილს მიუძღვის.**

- წარმატებული თამაში სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა. იგი გუნდს ერთ მუშტად კრავს. მოედანზე ხუთი კალათბურთელი დგას, მაგრამ თამაშში სათადარიგოებიც არიან ჩართულნი. სწორედ ერთსულოვნებით მოვიგეთ ქორქია-საკანდელიძის მემორიალი.

**- წინასწარ თუ გჯეროდათ, რომ მემორიალზე პირველ ადგილს დაიკავებდით?**

- ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ. არ აქვს მნიშვნელობა მეტოქე ფავორიტთა კატეგორიიდანაა, თუ აუტსაიდერია.

**- შემდეგ იყო საქართველოს თასის გათამაშება, რომლის ნახევარფინალში „არმიასთან" დრამატულ მატჩში წააგეთ.**

- მთელი შეხვედრის განმავლობაში, წინ ვიყავით, მაგრამ ბოლოს ანატოლი ბოისამ კარგად ითამაშა და დავმარცხდით. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**- თსუ-ში პირველი წრის შემდეგ „არმიადან" გადახვედი. თვლი, რომ სწორი ნაბიჯი გადადგი?**

- თსუ-ში უფრო გამოვჩნდი. თუმცა, ჯერ სათანადო კონდიციებისთვის არ მიმიღწევია. იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებ და თსუ-ს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში დავეხმარები.

**- ნაკრებშიც ადგილი გაქვს დასაბრუნებელი. 2008 წლის მერე ეროვნულში აღარ გითამაშიათ.**

- სადღეისოდ მხოლოდ თსუ-ზე ვფიქრობ. სწორედ ეს გუნდი უნდა დამეხმაროს ნაკრებში მოხვედრაში.

**- მინდა ევრობასკეტის წილისყრაზეც გკითხო.**

- ყველა ამბობს გაგვიმართლაო. მეც არ ვიქნები გამონაკლისი. ესპანეთის, საბერძნეთის ან სერბეთის ჯგუფში მოხვედრა ნამდვილად არ იყო სასურველი. ჩვენი ჯგუფიდან გასვლა შესაძლებელია, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პირველი მატჩის შედეგზე. სადებიუტო შეხვედრაში ბელგიას ვეთამაშებით.

**- საქართველოში დავბრუნდეთ და კარსმომდგარ მატჩზე ვთქვათ. შაბათს ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „სოხუმს" დაუპირისპირდებით.**

- ამ თამაშს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. „სოხუმი" „კუდში მოგვდევს" და ფეხის დაცდენა არ უნდა დავუშვათ. სამწუხაროდ, გვაქვს საკადრო პრობლემები, გვაკლია მიხეილ ფანჩულიძე, გიორგი მარხვაშვილი, შალვა კოხრეიძე. სიცხე აქვთ გიორგი გაფრინდაშვილსა და მიხეილ ჩიტაშვილს. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, მეტოქეს არაფერს დავუთმობთ და საინტერესო მატჩი გამოვა.




## ლეგიონერები

# დამარცხებული ბომბარდირი

## სანიკიძე თასს გამოეთიშა

ბევრი იშრომა **ვიქტორ სანიკიძემ**, მაგრამ „ვირტუსი" იტალიის თასის ნახევარფინალში ვერ გაიყვანა. არადა, შარშანდელი მაგალითის გათვალისწინებით ბოლონიელ გულშემატკივრებს წარმატების იმედი ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს „ვირტუსი" იტალიის თასის ფინალში გავიდა, სადაც „მონტეპასკისთან" დამარცხდა. ამჯერად კი, ბოლონიური გუნდი გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა, „მონტეგრანაროსთან" 73:82 დათმო.

საშუალება გვქონდა გვენახა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი. როგორც ყოველთვის, მწვრთნელი ვიქტორს განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა, რათა გადამწყვეტი მომენტისთვის ქართველს ენერგიაც საკმარისად შერჩენოდა და ჯარიმების ლიმიტიც კრიტიკულ ზღვარს არ მიახლოვებოდა. ვიქტორმა მეორე ფოლი მესამე პერიოდის დასაწყისში მიიღო და მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** მაშინვე სათადარიგოთა სკამზე დასვა. იმ ეპიზოდისთვის „მონტეგრანარო" 18 ქულის სხვაობით იგებდა - 52:34. ეს უპირატესობა მას ბულგარეთის ნაკრების ფორვარდმა **დეიან ივანოვმა** დაუბევა, რომელმაც პირველ ტაიმში 17 ქულა ჩააგდო. მეორეში დეიანი იმდენად ეფექტური ვერ იყო, ვერც „მონტეგრანარო" თამაშობდა უწინდებური სიზუსტით, თუმცა მატჩის სასურველი ანგარიშით დასრულება მაინც მოახერხა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვირტუსი" მეტოქეს მესამე პერიოდის დასაწყისში 20 ქულით ჩამორჩა, ბოლონიელებმა ცხვირი არ ჩამოუშვეს და თამაშის შემოტრიალება სცადეს. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მოედანზე ვიქტორ სანიკიძე დაბრუნდა. დარჩენილ დროში მან ბურთი მეტოქის ფარზე 4-ჯერ მოხსნა, ორი ორქულიანი ჩააგდო (ერთი ჩატენა), ბოლო წამებზე სამქულიანიც გამოიყენა, მაგრამ მისი მონდომება ნახევარფინალს არ ეყო. „ვირტუსმა" სხვაობის მხოლოდ 9 ქულამდე შემცირება მოახერხა.

მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით სანიკიძე საუკეთესო ბოლონიელი იყო - 17. იგი „ვირტუსის" ბომბარდირი გახდა: 18 წუთი, 14 ქულა (5-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი), 8 მოხსნა (6 შეტევაში), 2 დაფარება.

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე, ბულგარელი დეიან ივანოვი საბოლოოდ 24 ქულასა და 9 მოხსნას გამორჩა.

იტალიის თასის ორი მეოთხედფინალი დღეს, 11 თებერვალს გაიმართება. ორივე შეხვედრა ჩვენთვის საინტერესოა: ერთ წყვილში **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" „ბიელას" დაუპირისპირდება, ხოლო **მერაბ ბოქოლიშვილის** „აველინო" - „მილანს".

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ვიქტორ სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ბორჯღალოსნების ბოლოსწინა რეპეტიცია საესპანეთოდ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ბურთით ილო ზედგინიძე

საქართველოს ნაკრები ხვალ ერთა თასის გათამაშების მეორე ტურის მატჩში ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებმა", რომლებიც იქამდე „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ინვრთნებოდნენ, გუშინ ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ღია ვარჯიში გამართეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ესპანელ „ლომებს" საგრძნობლად სახეცვლილი დაუხვდება. პირინეელებთან არ ითამაშებენ შერკინების პირველხაზელები **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი) და **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი). მათ ადგილს შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეები დაიკავებენ, **ვასილ კაკოვინი** (ბრივი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი) და **ბექა შეყლაშვილი** (აჟენი).

უკრაინასთან მატჩში დაშავდა და გუნდს ვერ დაეხმარება მესამეხაზელი **ბესო უდესიანი** (მაკონი). მის ნაცვლად **რიჩი დიქსონმა** რუმინული „ფარულის" მესამეხაზელი **ლაშა თავართქილაძე** იხმო. ნაკრებს დაემატა ასევე მეორეხაზელი **ილია ზედგინიძეც** (სენ რაფაელი), თუმცა მას მხარი აწუხებს და თამაშს ვერ შეძლებს.

ნაკრებმა ვარჯიში ტრადიციულად მოთელვით დაიწყო, რომელსაც **მარკ დიქსონი** ხელმძღვანელობდა. მერე გუნდი მთლიანად დაცვის მწვრთნელ, **ჯონ მაგლტონის** განკარგულებაში გადავიდა. მორაგბეებმა ჯერ ერთი-ერთზე ბოჭვა დახვეწეს. დაახლოებით ათი წუთი შემდეგ მაგლტონმა მოთამაშეები ოთხ-ოთხად დაყო და წინააღმდეგობის პირობებში, „ოფლოუდებში" ავარჯიშა. ბურთიან მორაგბეს მოწინააღმდეგე ბოჭავს, ის კი ცდილობს ფეხზე დარჩეს და ბურთი მიმყოლ თანაგუნდელს გადააწოდოს.

ამის მერე, ავსტრალიელმა სავარაუდო სათადარიგოებს შემტევი ფუნქცია დააკისრა, რომლებიც ცხრა ნომრის მიერ მიმართულების ხშირი ცვლით უტევდნენ. ძირითადის მოთამაშეები კი მწყობრი დაცვით ცდილობდნენ მეტოქის უმალვე შეჩერებას.

მალე უკანახაზის მწვრთნელის, ირლანდიელი **მაიკ ბრედლის** ჯერიც დადგა. მორაგბეებმა როლები გაცვალეს. ძირითადი შემადგენლობა სხვადასხვა სტატიკური მდგომარეობიდან (დერეფანი, შერკინება) უტევდა. ვარჯიშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები,სავარაუდოდ, ასეთი შემადგენლობით ითამაშებს:

**15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. ლექსო გუგავა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. ანტონ ფეიქრიშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გია ლაბაძე, 8. გიორგი ჩხაიძე.**

**16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. ბექა შეყლაშვილი, 18. ზვიად მაისურაძე, 19. ლაშა თავართქილაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ბექა ურჯუკაშვილი.**

მერე, **რიჩი დიქსონმა** გუნდი ორად გაყო, შერკინების მოთამაშეები სტადიონის სათადარიგო მოედანზე გადაიყვანა და სპეციალურ დაზგაზე ავარჯიშა, რის შემდეგაც დერეფანში თამაშის ახალი კომბინაციები დაამუშავებინა. ამასობაში, უკანახაზელებთან მაიკ ბრედლი მუშაობდა. მან ბიჭები მეტოქის მიერ გადმოგდებული ბურთის ამოტანასა და მოწინააღმდეგის უეცარი შეტევის სწრაფად ჩახურვაში ავარჯიშა. ბოლოს, დამრტყმელებმა თავიანთი ფეხჩუბინობა კიდევ ერთხელ შეამოწმეს.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: **ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ვასილ კაკოვინი (ბრივი), ბექა შეყლაშვილი (აჟენი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი/ყოჩები).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), ილია ზედგინიძე (სენ რაფაელი)**

მესამე ხაზი: **გია ლაბაძე (ლა სეინი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ლაშა თავართქილაძე (ფარული), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი).**

**№9: ბიძინა სამხარაძე (სტიაუა), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი).**

**№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი)**

**№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი გიორგაძე (ლავორი).**

**№11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

**№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია).**

**ესპანეთის ნაკრები**

**მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), იგნასიო გუტიერესი, დიეგო ალვარესი (ენტრეპინარესი), სანტიაგო ფერნანდესი (ალკობენდასი), მარტინ ასენა, მეთიუ კუკი, როდრიგო მარტინესი (სამივე -ლა ვილა), მატიას ტუდელა (ორდისია), ფედერიკო ნეგრილო (ბისკაია), უნაი ლასა (ბერა ბერა), გაუტიერ გიბუინი (ბორდო), სერხიო სევილია (კლერმონო), ხესუს რეკუერდა, ხუან კანო (ორივე -ლილი), სივაინ ანტეკუერა, დავით გურგენაძე (ორივე-ორტეზი), ადრიენ აიესტარანი, ანდონი ხორახურია (ორივე-ბიარიცი), მარტინ აუსკუი (დაქსი), ბენატ აუსკუი (ტიროსი), მატიო ამორო (ბეზიე), მატიო როსა (ორიაკი), ხესუს მორენო (ლიდსი), პიერ ბელსუნი (კოლომიე).**

**რუსეთი-პორტუგალია**

**რუსეთის ნაკრები**

შერკინება: **კარლო მაღლაკელიძე, ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ვოიტოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხროკინი, ნიკიტა მედკოვი, ალექსეი პანასენკო, ივან პრიშეპენკო.**

უკანა ხაზი: **ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი მაკოვეცკი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, ვასილი არტემევი, ოლეგ კობზევი, ალექსეი შერბანი.**

**პორტუგალიის ნაკრები**

შერკინება: **ჟუან მურე, ჟოა კორეა, კრისტიან სპაშუკი, ედუარდო აკოსტა, გონსალო უვა, ლორან ბალანგო, ჟულიენ ბარდი, ჟუან სევერინო, ენტონი ალვეში, ტიაგი გირაუ, ლუის სოუზა, ჟოაო ჟუნიორი.**

უკანა ხაზი: **პედრო ლეალი, ჟოზეფ გარდნერი, ჟოზე ლიმა, პედრო სილვა, ფედერიკო ოლივეირა, გონსალო ფორო, ანტონიო აგილარი, ლიონელ კამპერნე, პედრო კაბრალი, ფრანსისკო მირა, ბერნარდო სილვეირა.**

**ერთა თასი**

**II ტური. 12 თებერვალი**

**საქართველო-ესპანეთი, რუსეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუმინეთი**

**III ტური. 26 თებერვალი**

**პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა**

**IV ტური. 12 მარტი**

**საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი**

**V ტური. 19 მარტი**

**რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +59 | 5 |
| 2. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |



მარცხნიდან: გია ლაბაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი ნატრიაშვილი და მერაბ კვირიკაშვილი. უკანა ხედზე: ჯონ მაგლტონი

ექვსი ერი



ჯიმი ჰისლიპი

# სამყურებს ჰისლიპი დაუბრუნდა

ირლანდიის ნაკრები ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურში „ავივა სთედიუმზე" შარშანდელ გამარჯვებულს, საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „სამყურების" შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა, გუნდს დაუბრუნდა დეკემბერში დაშავებული **ჯიმი ჰისლიპი.** მან იტალიასთან მატჩშიც ვერ ითამაშა. სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა **დენის ლამმა.** ირლანდიელთა ბანაკში ეს ერთადერთი ცვლილებაა. კვლავ თადარიგში იქნება **რონან ოგარა,** რომელმაც ირლანდიელებს „სკუადრა აძურასთან" თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გატანილი არეკნით მოაგებინა. გუნდს ისევ **ჯონათან სექსტონი** დაგეზავს.

იტალიელებთან შეხვედრისას ცუდად გამოიყურებოდა ცხრა ნომერი **ტომას ოლირი,** თუმცა ნაკრების თავკაცმა, **დეკლან კიდნიმ** მას კიდევ ერთი შანსი მისცა. „სამყურები" რომში მარცხს სასწაულებრივად გადაურჩნენ და „ლე ბლესთან", რომელმაც შინ შოტლანდიის ეროვნული გუნდი 34:21 დაამარცხა, ყურადღებითა და მეტი მონდომებით უნდა გაისარჯონ.

ირლანდიის ნაკრები: **15. ლუკ ფიცჯერალდი, 14. ფერგიუს მაკფოდენი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. კეიტ ირლზი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. ტომას ოლირი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. პაულ ოკონელი, 6. შონ ობრაიანი, 7. დევიდ ვოლესი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

**16. შონ კრონინი, 17. ტომ კურტი, 18. ლეო კალენი, 19. დენის ლამი, 20. ეოინ რედანი, 21. რონან ოგარა, 22. პედი ვოლესი.**

# ოთხი ცვლილება სკუადრა აძურაში

იტალიის ნაკრები ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურში ინგლისს სტუმრობს. „სკუადრა აძურას" სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** გუნდში ოთხი ცვლილება განახორციელა.

მალეტმა სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი მგეზავ **კრისტოფერ ბარტონს,** მის ნაცვლად კი გუნდში **ლუჩანო ორკუერა** დააბრუნა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 2005 წლის შემდეგ აღარ უთამაშია.

დებიუტი ექნება ნაკრებში მესამეხაზელ **ვალერიო ბერნაბოს,** რომელიც ტრავმირებული **ჯოშოა სოულის** ნაცვლად ითამაშებს. ცხრა ნომერმა **ედუარდო გორიმ** მხარი ამოგდო, მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში **პაბლო კანავოზიო** დაიკავებს.

მეორე ხაზში კი **კარლო ანტონიო დე ფავა** თანაკლუბელ **კვენტინ გელდენჰაუზს** შეუწყვილდება.

შარშან ამ გუნდებს შორის დაპირისპირება რომში შედგა და ინგლისელებმა დიდი გაჭირვებით მოიგეს – 17:12. ორი წლის წინ კი „თვიქენემზე" „პომებმა" 36:11 გაიმარჯვეს.

იტალიის ნაკრები: **15. ლუკ მაკლინი, 14. ანდრეა მასი, 13. გონსალო კანალე, 12. ალბერტო სგარბი, 11. მირკო ბერგამასკო, 10. ლუჩანო ორკუერა, 9. პაბლო კანავოზიო. 1. სალვატორე პერუჯინი, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. ანტონიო დელ ფავა, 5. კვენტინ გელდენჰაუზი, 6. ვალერიო ბერნაბო, 7. ალესანდრო ძანი, 8. სერჯო პარისე.**

**16. ფაბიო ონგარო, 17. ანდრეა ლო ჩიჩერო, 18. სანტიაგო დელაპე, 19. რობერტ ბარბიერი, 20. ფაბიო სემენძატო, 21. კრის ბარტონი, 22. გონსალო გარსია.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

**თქვენთვის, ერუდიტებო!**

1. რამდენჯერ შევიდა რაგბი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?
ა - სამჯერ
ბ - ოთხჯერ
გ - არც ერთხელ

2. რომელი წლიდან იმართება რაგბიში ხუთი ერის (ამჟამად ექვსი ერის) პირველობა?
ა - 1896 ელიდან
ბ - 1807 წლიდან
გ - 1910 წლიდან

3. ტარდებოდა თუ არა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება რაგბიში საკლუბო გუნდებს შორის?
ა - ტარდებოდა XX საუკუნის 60-იან წლებში
ბ - 1968 წელს დაიგეგმა, მაგრამ არ ჩატარდა
გ - საერთოდ არ ჩატარებულა

4. რომელ წელს გაიმართა პირველად რაგბიში ქალთა შეჯიბრება მსოფლიო თასისთვის?
ა - არასდროს გამართულა
ბ - გაიმართა 1991 წელს
გ - დაიწყო, მაგრამ ვერ დამთავრდა 1992 წელს

5. რომელი ქვეყანაა მსოფლიო თასის პირველი მფლობელი რაგბიში?
ა - ავსტრალია
ბ - ინგლისი
გ - ახალი ზელანდია

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

msy.gov.ge

კალათბურთი



ლებრონი ისევ აგრესიულია

# ლებრონი: ზედიზედ მესამედ MVP?

„ინდიანა პეისერსთან“ მატჩის შემდეგ, რომელშიც „მაიამი ჰიტის“ ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** 41 ქულა დააგროვა, ბევრი სპეციალისტი ალაპარაკდა იმაზე, რომ „მეფემ“ ისევ დაუმიზნა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს.

სწორედ ამ აზრამდე მივყავართ „მაიამის“ ფორვარდის ბოლოდროინდელ თამაშს. პირველი იანვრიდან მოყოლებული, ლებრონის სტატისტიკური მაჩვენებლები მკვეთრად ამაღლდა. ჯეიმსი ლიდერობს ლიგას საშუალო შედეგიანობის მხრივ - 30.6 ქულა. ამას ემატება 8.6 მოხსნა და 7.5 შედეგიანი პასი. იანვარში ლებრონმა ფიზიკურადაც მოუმატა და პერიოდულად მძიმე ფორვარდის პოზიციაზე გვევლინება.

MVP-ის პრიზისთვის ბრძოლაზე კალათბურთელი ასეთ კომენტარს აკეთებს: *„მე ჩემს სტილში ვთამაშობ. ეს არის ჩემი კალათბურთი. სეზონის დასაწყისში გამიჭირდა, რადგან ახალ პარტნიორებთან და ახალ სიტუაციასთან შეგუება მჭირდებოდა. გარკვეული დრო იყო საჭირო ადაპტაციისთვის. მაგრამ ახლა ძველებურად ავთამაშდი. ვიპოვნე ის თამაში, რომელსაც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ვაჩვენებდი“.*

*„რაც შეეხება MVP-ის პრიზს, უნდა დაველოდოთ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებას. იქ გამოჩნდება ყველაფერი“*, - დაამატა ლებრონ ჯეიმსმა.

■ ■ ■

უცნაური გაგრძელება აქვს **კარმელო ენტონის** სატრანსფერო ისტორიას. როგორც იცით, „დენვერ ნაგეტსის“ ლიდერი კატეგორიულ უარს ამბობდა თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე, მაგრამ ახლა თავად აცხადებს, რომ ახლოა „ნაგეტსთან“ სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმებასთან. ამ კონტრაქტის ღირებულება 65 მილიონი დოლარი იქნება. გარიგება იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ენტონი მიმდინარე სატრასფერო ბაზრის პერიოდში ტრეიდის მეშვეობით სხვა გუნდში არ აღმოჩნდება.

შეგახსენებთ, რომ ენტონიზე პრეტენზიას აცხადებს „ნიუ იორკ ნიქსი“, თუმცა ორი დღის წინ ამერიკულმა პრესამ დაწერა, რომ კარმელოთი „ლოს ანჯელეს ლეიკერსიც“ დაინტერესდა.

*„ლეიკერსიდან“ არავინ შემხმიანებია*, - ამბობს ენტონი ESPN-თან კომენტარისას. - *ეს უბრალოდ მორიგი ჭორია. არ მითქვამს, რომ „დენვერის“ დატოვება მინდა. დღეისთვის თითქმის დასრულებულია კლუბთან მიმდინარე კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებები“.*

# თურქი ისევ თამაშგარეშია

კვლავ გამოეთიშა რეგულარულ ჩემპიონატს „იუტა ჯაზის“ ცენტრი **მეჰმეთ ოქური**. თურქ კალათბურთელს სამკვირიანი სამკურნალო და სარეაბილიტაციო კურსი დაუნიშნეს.

ორი დღის წინ ოქურმა ზურგის არეში ქრონიკული ტკივილით ექიმს მიაკითხა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ოქური დაამშვიდეს - ოპერაცია საჭირო არ არის და ტრავმის მკურნალობას სპეციალური კურსიც უშველისო. ლაპარაკია სამკვირიან ინტენსიურ თერაპიაზე, რომლის დროსაც კალათბურთელი ზურგის კუნთების გამყარებაზე იმუშავებს. გუნდთან ერთად ვარჯიში მეჰმეთს აკრძალული აქვს.

შეგახსენებთ, რომ „იუტას“ ცენტრმა გამოტოვა წლევადელი სეზონის სტარტი - მაშინ ამის მიზეზი აქილევსის მყესთან დაკავშირებული პრობლემები იყო. რეგულარულში 13 შეხვედრის ჩატარების შემდეგ, ოქური ისევ თამაშგარეშია - ამჯერად ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

გუნდის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მკურნალობა შედეგს მოიტანს და ოქური პლეი ოფამდე ჩადგება მწყობრში.



მეჰმეთ ოქური

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კლივლენდი ჩრდილოამერიკულ რეკორდებს დაერია

პირველ რიგში, „კლივლენდ კავალიერზის“ საცოდაობაზე უნდა ვთქვათ. „დეტროიტ პისტონზთან“ მარცხის შემდეგ „კავალერების“ წაგებათა სერია 26 (!) მატჩამდე ავიდა. სხვათა შორის, ეს არის ამერიკული ფეხბურთის გუნდის - „ტამპა ბეი ბიუკანირსის“ ანტირეკორდის გამეორება. გამოდის, რომ „კლიპერსთან“ მომდევნო მატჩის წაგების შემთხვევაში **ბაირონ სკოტის** გუნდი სამუდამოდ შევა ისტორიაში - მთელ ჩრდილოამერიკულ სპორტში ყველაზე გრძელი წარუმატებელი სერია ექნება... კომენტარი ზედმეტია.

ახლა კი ნორმალურ გუნდებზე გადავიდეთ. გუშინ ყველაზე საინტერესო შეხვედრა სოლტ-ლეიკ-სიტიში გაიმართა, რადგან აქ **კარლოს ბუზერი** და მისი „ჩიკაგო“ ჩავიდნენ სათამაშოდ. ბუზერი „იუტას“ ექსმოთამაშეა და პირველად მოუწია ერთ დროს „მშობლიურ“ ქალაქში თავისი ყოფილი პარტნიორების წინააღმდეგ თამაშმა. ბუნებრივია, კარლოსს სოლტ-ლეიკ-სიტში ბევრი უსტვინეს, რაც მის თამაშსა და სტატისტიკურ მონაგარს დაეტყო, მაგრამ თავად „ჩიკაგოს“ ამით არაფერი დაკლებია.



ყოფილი თანაგუნდელები კარლოს ბუზერი და დერონ უილიამსი

როგორც ყოველთვის, „ხარების“ შეტევა **დერეკ როუზის** თამაშზე იყო დამოკიდებული. ამ გამთამაშებლის დუელი **დერონ უილიამსთან** ამ მატჩის მშვენება გახდა. საბოლოოდ გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე როუზმა ორი საჯარიმო გამოიყენა და ანგარიში 86:89 გახადა. **ჯერი სლოუნმა** ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ მისმა ჩაფიქრებულმა კომბინაციამ არ იმუშავა, რადგან უილიამსის პასი ჩაჭრა კიდევ ერთმა ყოფილმა იუტელმა **რონი ბრიუერმა.**

მორიგი სენსაცია შემოგვთავაზა „კლიპერსმა“. ამჯერად კალიფორნიელებმა „ნიუ იორკს“ მოუგეს „მედისონ სკვერ გარდენში“. მოულოდნელად პირველ მეოთხედში გაიბრწყინა რუსმა **ტიმოფეი მოზგოვმა**, რომელმაც 12 ქულა დააგროვა და „ნიქსს“ მინიმალური უპირატესობა მოუტანა. მაგრამ მასპინძლებმა ეს სხვაობა ვერ შეინარჩუნეს, რადგან დიდ შესვენებამდე „კლიპერსმა“ უბრალოდ „გადაუარა“ მეტოქეს.

სტუმრების რიგებში ყველას წაუვიდა სროლა, ყველაზე შედეგიანები კი **ბლეიკ გრიფინი** და **რენდი ფოიე** იყვნენ, რომლებმაც 20-ქულიან ზღვარს გადააბიჯეს. „კლიპერსის“ თამაშიდან ტყორცნების სიზუსტე 55 პროცენტს უდრიდა. მატჩის ბოლოს **მაიკ დ'ანტონის** შეგირდებმა სცადეს თამაშის გადარჩენა, მაგრამ დაცვაში საშინელმა მოქმედებამ ვერ მოიტანა „ნიქსისთვის“ გარდატეხა.

ძალიან გაუჭირდა გუშინ „დალასს“. პირველ რიგში, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მიზანმა უმტყუნა „კოვბოების“ ლიდერსა და მთავარ სნაიპერ **დირკ ნოვიცკის**, რომელმაც 14-ჯერ ისროლა „საკრამენტოს“ ფარის მიმართულებით და მხოლოდ ოთხი ჩააგდო. მაგრამ გერმანელის სუსტ თამაშს ხელს არ შეუშლია „მავერიქსისთვის“ ზედიზედ მეათე მოგებაში. მთავარ როლში რეზერვისტები - **ჯეისონ ტერი** და **ხუან ხოსე ბარეა** მოგვევლინენ. პირველმა 22 ქულა დააგროვა, მეორე კი მატჩის გმირი გახდა. ბარეამ თავისი 20 ქულიდან 15 მეოთხე მეოთხედში მიითვალა. გადამწყვეტ მომენტებში „კოვბოები“ მაქსიმალურად მობილიზებულნი იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვით მასპინძლებზე. 98:100-ზე „მეფეების“ რიგებში მეორე ტექნიკური ჯარიმის გამო მოედნიდან დაითხოვეს **დემარკუს კაზინსი, ტაირიკ ევანსმა** (ერთი შედეგიანი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე) კი ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში მოუმზადებლად ესროლა და ტექსასელებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

მხიარული თამაში იხილა „ნიუ ჯერსის“ გულშემატკივარმა. „ნიუ ორლეანთან“ დაპირისპირებაში განსაკუთრებით შთამბეჭდავი მატჩის დასკვნითი ნაწილი გამოვიდა. მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ლუიზიანელი სტუმრები 5 ქულით იყვნენ წინ. მაგრამ **ჯორდან ფარმარის** სამქულიანმა და **ვუიაჩიჩისა** და **ჰემფრიზის** მიერ გათამაშებულმა ლამაზმა კომბინაციამ თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში თანაბარი თამაში ერთ-ერთი მეტოქის პირველ შეცდომამდე გაგრძელდა. ყველასთვის გასაკვირად, პირველად **კრის პოლს** უმტყუნა ნერვებმა, რომელმაც თავისი გუნდის ორქულიანი ჩამორჩენისას ბურთი აუტში გადაუშვა. თუმცა მასპინძლებმაც იგივე საჩუქარი გაუკეთეს „ჰორნეტსს“. ასე რომ, 103:101-ზე გადამწყვეტი შეტევის უფლება სტუმრებმა მიიღეს. პოლმა სამქულიანის სროლისთვის კარგი პოზიცია შეიქმნა, მაგრამ კალათში თითქმის ჩავარდნილი ბურთი უკან გადმოვარდა.

**კლივლენდი–დეტროიტი 94:103**

16:25, 27:30, 27:26, 24:22

**კ:** ჯეიმისონი (22+7 მოხსნა), სეშენსი (20+12 პასი+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჰიქსონი (18+15 მოხსნა), გიბსონი (12).

**დ:** სტაკი (22), ბინუმი (17+7 პასი), ვილანუევა (13), პრინსი (10+5 მოხსნა).

**ინდიანა–შარლოტი 104:103**

29:28, 29:20, 23:22, 23:33

**ი:** ჰიბერტი (29+10 მოხსნა), გრეინჯერი (25), კოლისონი (15+5 პასი), მაკრობერტსი (12+9 მოხსნა+7 პასი).

**შ:** ჯექსონი (27), უოლასი (22+9 მოხსნა+6 პასი), ოგუსტინი (14).

**ნიუ ჯერსი–ნიუ ორლეანი 103:101 (ო)**

23:27, 23:15, 23:29, 22:20, 12:10

**ნ-ჯ:** ვუიაჩიჩი (25), ლოპესი (20+7 მოხსნა), მოროუ (15), ჰემფრიზი (14+15 მოხსნა), აუთლო (11).

**ნ-ო:** უესტი (32+15 მოხსნა+5 პასი), გრინი (19), ბელინელი (17), ჯეკი (12+5 პასი), გრეი (10+11 მოხსნა).

**ფილადელფია–ორლანდო 95:99**

27:18, 20:31, 22:25, 26:25

**ფ:** უილიამსი (23), იგუოდალა (21+8 პასი), მიქსი (17+8 მოხსნა), ბრენდი (12+5 მოხსნა).

**ო:** ჰოვარდი (30+17 მოხსნა), რედიკი (13), ნელსონი (12+8 პასი), ანდერსონი (12+5 მოხსნა), რიჩარდსონი (12).

**ვაშინგტონი–მილუოკი 100:85**

22:19, 25:18, 30:23, 23:25

**ვ:** იანგი (26), მაკგი (16+17 მოხსნა), უოლი (15+7 მოხსნა+6 პასი), მარტინი (15), ბლეტჩი (12+8 პასი), ჰიანრიხი (10).

**მ:** ჯენინგსი (20+5 მოხსნა), სალმონსი (14), ბოგუტი (12+11 მოხსნა), ილიასოვა (10+9 მოხსნა), მაგეტი (10+6 მოხსნა).

**ტორონტო–სან ანტონიო 100:111**

29:31, 27:29, 28:21, 16:30

**ტ:** ბარნიანი (29), დეროზანი (25), ბარბოზა (20), ჯონსონი (20+13 მოხსნა), კალდერონი (6+11 პასი+7 მოხსნა).

**ს-ა:** ბლეირი (28+11 მოხსნა), ჰილი (18+6 პასი+5 მოხსნა), პარკერი (16+8 პასი), დანკანი (16+7 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), ჯინობილი (12+9 პასი).

**ნიუ იორკი–კლიპერსი 108:116**

29:28, 18:30, 31:30, 30:28

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (23+5 მოხსნა), გალინარი (21+5 მოხსნა), მოზგოვი (18+6 მოხსნა), ფელტონი (17+12 მოხსნა), დუგლასი (12), ჩენდლერი (11).

**კ:** ფოიე (24), გრიფინი (21+6 მოხსნა), გომესი (18), ჯორდანი (17+8 მოხსნა), დევისი (16+16 პასი), ბლედსოუ (16+8 მოხსნა).

**იუტა–ჩიკაგო 86:91**

23:21, 18:23, 19:22, 26:25

**ი:** ჯეფერსონი (26+8 მოხსნა), მილსეპი (20+14 მოხსნა), კირილენკო (13+10 მოხსნა), უილიამსი (11+12 პასი), ბელი (11+5 მოხსნა).

**ჩ:** როუზი (29+7 პასი), ბუზერი (14+6 მოხსნა).

**საკრამენტო–დალასი 100:102**

28:20, 19:36, 26:18, 27:28

**ს:** დალემბერი (20+7 მოხსნა), კაზინსი (19+15 მოხსნა), ჰედი (12).

**დ:** ტერი (22), ბარეა (20), კიდი (14+8 მოხსნა+5 პასი), ჩენდლერი (13), ნოვიცკი (10+6 მოხსნა).

**გ. სტეიტი–დენვერი 116:114**

34:35, 36:33, 30:24, 16:22

**გ-ს:** ელისი (37+5 პასი), რაიტი (23+11 მოხსნა+8 პასი), უილიამსი (18+6 პასი), ლი (16+12 მოხსნა+6 პასი), კარი (13), ბიედრინში (6+12 მოხსნა).

**დ:** ენტონი (29), ჰარინგტონი (18+8 მოხსნა), ნენე (17+6 მოხსნა), სმიტი (16+7 მოხსნა+6 პასი), აფლალო (12+6 მოხსნა).

კრივი

# დიდი ბრძოლის მოლოდინში

12 მარტს ლას ვეგასში საინტერესო ბრძოლაა დანიშნული: ნიკარაგუელი ვეტერანი **რიკარდო მაიორგა** პუერტორიკოელ **მიგელ ანხელ კოტოს** შეხვდება. ამ ჩხუბთან დაკავშირებით გუშინ პირველი ოფიციალური პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც მაიორგამ იხუმრა - ბრძოლის შემდეგ ჩემს მეტოქეს ვიშვილებ და მას მიგელ მაიორგას დავარქმევო.

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ნიკარაგუელი ძალიან აქტიური იყო. მისი თქმით, ის აუცილებლად ნოკაუტში გაგზავნის კოტოს.

*„როცა ჩემი მოწინააღმდეგე რინგზე დაეცემა, მსაჯი არ დაიწყებს ათამდე დათვლას. ის მაშინვე 911-ზე დარეკავს კოტოს საავადმყოფოში წასაყვანად“*, - ამბობს მაიორგა. თავდაპირველად რიკარდომ განაცხადა, რომ პუერტორიკოელს მეოთხე რაუნდში გაუშვებდა ნოკაუტში, მაგრამ შემდეგ გეგმა შეცვალა - უმჯობესია ეს პირველ ან მეორე რაუნდში გავაკეთოო.

მაიორგასთან ბრძოლაში კოტო 69.9-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBA-ის „სუპერჩემპიონის“ ტიტულს დაიცავს.

37 წლის მაიორგა ადრე მსოფლიოს ჩემპიონი იყო 66.7 და 69.9 კილოგრამში. სხვადასხვა დროს მას მეტოქეებად ჰყავდა ცნობილი მოკრივეები: **ვერნონ ფორესტი, კორი სპინქსი, ფელიქს ტრინიდადი, ოსკარ დე ლა ჰოია, ფერნანდო ვარგასი** და **შეინ მოზლი.**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# 14 შაიბა, 178 საჯარიმო წუთი და მეკარეების ჩხუბი

ფანტასტიკური მატჩი იხილეს გუშინ ჰოკეის მოყვარულებმა. თანადივიზიონელების - „ბოსტონისა“ და „მონრეალის“ შეხვედრაში 14 შაიბა გავიდა, 178 წუთი საჯარიმო დრო დაფიქსირდა, დესერტად კი გულშემატკირებმა მეკარეების ჩხუბიც „დააგემოვნეს“.


პრაისმა ტომასი გალახა

ეს მეორე პერიოდში მოხდა, როცა „ბოსტონის“ კარის დარაჯმა **ტიმ ტომასმა** ბრძოლაში გამოიწვია „მონრეალის“ მეკარე **კორი პრაისი**. ამ დროს მოედნის კუთხეში პარალელურად წინა ხაზის მოთამაშეების ბრძოლა მიდიოდა. მეკარეების ჩხუბი მაინც და მაინც უხეში არ ყოფილა. პრაისის დარტყმის შემდეგ ტომასი ყინულზე დაეცა, მაგრამ უცებ წამოდგა, რის შემდეგაც არბიტრმა ჩხუბი შეაჩერა.

მესამე პერიოდში მოედანზე კიდევ ორი ხელჩართული ჩხუბი გაიმართა რამდენიმე მოთამაშის მონაწილეობით. ამის გამო, თითქმის ორი პერიოდი გუნდები რიცხვნაკლულნი იმყოფებოდნენ მოედანზე.

შეხვედრა „ბოსტონმა“ 8:6 მოიგო. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ამ გუნდის ფორვარდი **ნათან ჰორტონი** გახდა, რომელმაც გოლი და ოთხი შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში. „მონრეალის“ რიგებში სამი ქულა (1+2) დააგროვა მცველმა **იანიკ უებერმა**.

დღის დანარჩენ მატჩებში ძირითადად დასავლეთის გუნდები მონაწილეობდნენ. მაგალითად, „კოლამბუსმა“ კინაღამ გააგრძელა თავისი მოგებათა სერია ბრწყინვალე ფორმაში მყოფ „სან ხოსესთან“. საწყის პერიოდში „ბლუ ჯეკეტსმა“ ორჯერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და 2:0 დაწინაურდა, მაგრამ „ზვიგენებმა“ მეორე 20-წუთეულში გაათანაბრეს ანგარიში, მატჩის ბოლოს კი **პატრიკ მარლომ** გამარჯვების შაიბა გაიტანა.

არასასიამოვნოდ გააკვირვა თავისი გულშემატკივარი „დეტროიტმა“. ამ გუნდმა ცოტა ხნის წინ ზედიზედ ორი მატჩი წააგო ერთნაირი ანგარიშით - 0:3, შემდეგ „რეინჯერსი“ დაამარცხა - 3:2, ახლა საკუთარ მოედანზე დანებდა „ნეშვილს“ - 1:4. თანაც სტუმრები 4:0-ს იგებდნენ. „ნეშვილი“ დივიზიონში სწორედ „დეტროიტის“ უკან დგას, მაგრამ „რედ უინგზს“ ჯერ სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ამ ორი გუნდს შორის სხვაობა სოლიდურია.

„დალასმა“ კი კინაღამ დაკარგა ლიდერობა დივიზიონში. „სან ხოსემ“ „კოლამბუსის“ ძლევით დროებით გაასწრო „ვარსკვლავებს“. ტეხასელები „ფინიქსს“ 2:1-ს უგებდნენ, მაგრამ მესამე პერიოდში სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს, იქ კი რიცხობრივი უპირატესობით გამოყენებით გამარჯვებაც მოიპოვეს. წაგების მიუხედავად, „დალასმა“ ერთი ქულა აიღო და ისევ გაუსწრო „სან ხოსეს“. მაგრამ „სტარზს“ ძალიან გაუჭირდება ლიდერობის შენარჩუნება, რადგან ძალიან ახლოს არიან იგივე „შარქსი“, „ფინიქსი“ და „ანაჰაიმი“.

ამ უკანასკნელმა გუშინ მთავარი მოულოდნელობა შემოგვთავაზა - სტუმრად მოუგო რეგულარულის ლიდერ „ვანკუვერს“, რომელსაც მანამდე ზედიზედ ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული. მართალია, „ანაჰაიმი“ მეშვიდე ადგილზეა კონფერენციაში, მაგრამ „დალასს“ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. უფრო მეტიც - წყნარი ოკეანის დივიზიონში პირველსა და მეხუთე გუნდს შორის სხვაობა მხოლოდ ხუთი ქულაა.

მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიეს „კალგარიმ“ და „ჩიკაგომ“, რომლებმაც აუტსაიდერები - „ოტავა“ და „ედმონტონი“ დაამარცხეს. „ფლეიზმმა“ საკუთარი მოედანზე მოუგო „სენატორებს“ - 5:2 და შეინარჩუნა ადგილი პლეი ოფის ზონაში. ამავე ზონაში დაბრუნებას ცდილობს სტენლის თასის მფლობელი „ჩიკაგო“ - მან „ედმონტონს“ სტუმრად 4:1 მოუგო. „ბლეკჰოქსს“ სამი ქულა აშორებს მერვე ადგილამდე. სულ ახლოს არის „მინესოტა“, რომელმაც „კოლორადოს“ ზედიზედ მეხუთე მარცხი აგემა.

**ბოსტონი-მონრეალი 8:6**

2:0, 4:4, 2:2

**გოლები:** 1:0 მარჩანდი-15 (პ. ბერჟერონი-26, რეკი-27), 2:0 საიდენბერგი-5 (ჰორტონი-18), 2:1 ჯონტა-20 (პლეკანეცი-26, ვიშნიევსკი-30), 2:2 სუბანი-7 (ჯონტა-10, პლეკანეცი-27), 3:2 მაკუეიდი-1 (ჰორტონი-19, ლუჩიჩი-14), 3:3 ი. უებერი-1 (დერჩი-12), 4:3 რაიდერი-15 (უელერი-14, ჰემილი-1), 5:3 ლუჩიჩი-22 (ჰორტონი-20, კრეისი-29), 5:4 დეშარნე-4 (სუბანი-18, ი. უებერი-8), 6:4 ლუჩიჩი-23 (კრეისი-30, ჰორტონი-21), 6:5 პასიორეტი-7 (ვიშნიევსკი-31), 7:5 რაიდერი-16 (საიდენბერგი-19, კამპფერი-5), 8:5 ჰორტონი-14 (კრეისი-31), 8:6 პასიორეტი-8 (დეშარნე-3, ი. უებერი-9).

**ედმონტონი-ჩიკაგო 1:4**

0:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 შარპი-27 (ტეუვზი-28), 0:2 ბიკელი-13, 0:3 პ. კეინი-16 (კოპეცკი-22, ტეუვზი-29), 1:3 ებერლე-11 (ტ. ჰოლი-17, ვანდერმეერი-7), 1:4 პ. კეინი-17.

**კოლამბუსი-სან ხოსე 2:3**

2:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ჰუსელიუსი-12 (სტრალმანი-11, უმბერგერი-22), 2:0 კლიტსომი-3 (ტიუტინი-16, ბრასარი-25), 2:1 ჰასკინსი-1 (პაველსკი-25, მარლო-20), 2:2 უელვუდი-2 (ქლოუ-30, კუტური-12), 2:3 მარლო-20 (პაველსკი-26).

**დეტროიტი-ნეშვილი 1:4**

0:2, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ერატი-8 (გოკი-15, ს. კოსტიცინი-17), 0:2 ლეგვანდი-8 (რ. სატერი-24), 0:3 კ. უილსონი-13 (სმიტსონი-5, ჯ. უორდი-13), 0:4 ს. კოსტიცინი-15 (ჰორნკვისტი-13, შ. უებერი-24), 1:4 სალეი-1 (ზეტერბერგი-41, კლირი-12).

**მინესოტა-კოლორადო 3:2**

2:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მიეტინენი-10 (კულენი-22, ბერნსი-18), 1:1 დ. ჯონსი-17 (დუშენი-26), 2:1 ჰავლატი-15 (ბროძიაკი-11, კლატერბეკი-10), 3:1 მადენი-8 (კულენი-23, სპარჯონი-2), 3:2 დ. ჯონსი-18 (ჰეიდუკი-28).

**დალასი-ფინიქსი 2:3 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ოტი-10 (ბ. რიჩარდსი-39, ლ. ერიქსონი-35), 1:1 როჟსივალი-4 (პიატი-10, სტეპნიაკი-16), 2:1 ბ. რიჩარდსი-22 (გროსმანი-8, მოროუ-14), 2:2 ბოდკერი-1 (რეი უიტნი-30), 2:3 ვრბატა-14 (იენდლი-37, რეი უიტნი-31).

**კალგარი-ოტავა 5:2**

1:2, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ჯეკმენი-8 (ჰაგმანი-15, რეგერი-9), 1:1 კელი-12 (ი. რუუტუ-8, კუბა-5), 1:2 კამპოლი-3, 2:2 ო. იოკინენი-10 (გლენკროსი-9, ბაბჩუკი-17), 3:2 გლენკროსი-15 (ო. იოკინენი-25, ბაბჩუკი-18), 4:2 ბაბჩუკი-7 (რეგერი-10), 5:2 ჯეკმენი-9 (იგინლა-29, ბ. მორიისონი-24).

**ვანკუვერი-ანაჰაიმი 3:4**

0:1, 1:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ჯ. ბლეიკი-11 (სელიანე-32, ლიდმანი-18), 0:2 მაკმილანი-6 (სექსტონი-5, ლილია-5), 0:3 რაიანი-24 (გეტცლაფი-25, პერი-29), 1:3 დ. სედინი-29 (სამუელსონი-24, კესლერი-22), 2:3 ბაროუზი-15 (ჰ. სედინი-55, დ. სედინი-42), 2:4 რაიანი-25 (სელიანე-33, ვიშნოვსკი-36), 3:4 კესლერი-32 (დ. სედინი-43, ბიეკსა-12).

# დიდი ტრავმიანობა


დანიელ ალფრედსონი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთბაშად ხუთმა კლუბმა დაკარგა ტრავმის გამო წამყვანი მოთამაშეები. თანაც ზოგიერთი მათგანი დიდი ხნით გამოეთიშა რეგულარულ ჩემპიონატს. გაირკვა, რომ „პიტსბურგის“ რუსი ლეგიონერი **ევგენი მალკინი** მუხლზე ოპერაციას გაიკეთებს და ექვსი თვე უსაქმოდ იქნება.

პლეი ოფის საგზურისთვის მებრძოლმა „კალგარიმ“ დაკარგა **ალექს ტანგეი**, რომელსაც კისრის ტრავმა აღმოუჩინეს. ჯერჯერობით გაურკვეველია დაზიანების ხარისხი და ფორვარდის დაბრუნების ვადა. კიდევ უფრო უარესად აქვს საქმე „აილენდერსს“ - ამ გუნდმა ზედიზედ მესამე მეკარე დაკარგა. **კევინს** ცუდად მოხვდა მუხლში შაიბა და ამით მიმდინარე სეზონში თამაშის საშუალება დაკარგა. „კუნძულელთა“ წინა ორი მეკარის - **ლოუსონისა** და **დიპიეტროს** ტრავმების გათვალისწინებით, ამას უკვე ნამდვილი ეპიდემია ჰქვია.

უჭირს მეორე ნიუიორკულ კლუბს. „რეინჯერსის“ კაპიტანი **კრის დრური** ექვს კვირას გამოტოვებს მუხლის ტრავმის გამო. თუმცა ამას უკვე ტენდენცია ჰქვია, რადგან კრისმა წელს ორჯერ მოიტეხა ერთი და იგივე თითი, რის გამოც 29 მატჩი გამოტოვა.

დაბოლოს, გუშინდელი მატჩი ვერ დაასრულა „ოტავას“ კაპიტანმა **დანიელ ალფრედსონმა** - 38 წლის შვედი ზურგის არეში ტკივილების გამო ლაზარეთში ორ კვირას გაატარებს.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-სლოვანი | 1:3 |
| ტატრანი-პრშიბრამი | 4:3 |
| ტრნავა-ზაგლებე | 4:2 |
| ბელხატოვი-ლიბერეცი | 1:2 |
| ფინი-ფრედერისია | 1:2 |
| რანდერსი-ჰობრო | 1:0 |
| სტიაუა-ცრვენა ზვეზდა | 0:0 |
| ბოდო გლიმტი-რუსენბორგი | 3:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-პერტი | 4:0 |

**კალათბურთი**

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ვალენსია | 60:83 |
| რეალი-გრან კანარია | 78:72 |

**ისრაელის თასი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ნეთანია | 106:70 |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-სკავოლინი | 81:68 |
| მონტეგრანარო-ვირტუსი | 82:73 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ოლინი | 62:55 |
| ფენერბაჰჩე-ბანვითი | 69:68 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| როანი-გრაველენი | 64:82 |
| შოლე-პო ორტეზი | 76:78 |

**ჰოკეი**

**[illegible]**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ფინეთი | 5:3 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 6:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. კოშტა დე საუპი**

| | |
|---|---|
| მელო-ანდუხარი | 6:1, 6:0 |
| დოლგოპოლოვი-სტარაჩე | 6:3, 6:4 |

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-ტურსუნოვი | 6:4, 4:6, 7:5 |
| ლუბიჩიჩი-პერი | 6:0, 6:4 |
| ბაღდატისი-ფ. ლოპესი | 7:6, 6:3 |
| იუჟნი-დე ბაკერი | 6:4, 6:4 |

**ATP. სან ხოსე**

| | |
|---|---|
| ისტომინი-რასელი | 7:6, 7:6 |
| ნიშიკორი-შმიჩეკი | 4:6, 6:3, 1:6 |

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| კვიტოვა-ბ. ზახვალოვა | 6:4, 6:7, 7:6 |
| ვიკმაიერი-ზაკოპალოვა | 6:1, 6:3 |
| კოენ ალორო-მატეკი | 5:7, 3:6 |
| პეტროვა-დოკიჩი | 4:6, 6:7 |
| პეტკოვიჩი-კუკოვა | 6:4, 6:2 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| ზვონარევა-ვანასუკი | 6:1, 7:5 |
| ერანი-მორიტა | 2:6, 7:5, 6:2 |
| ჰანტუხოვა-დატე | 7:6, 6:3 |
| შეპერსი-ამანმურადოვა | 2:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**11 თებერვალი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. აუგსბურგი-დუისბურგი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**05:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ნიუ ორლეანი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**15:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**16:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სუპერკომბინაცია (სლალომი). გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**20:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ფორტ კენტი. აშშ (LIVE).
**21:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. კვალიფიკაცია. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**23:00** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**16:00** ველოსპორტი. კატარის ტური. V ეტაპი (LIVE).
**17:00** ავტოსპორტი. GP2. აზიის სერია. I რბოლა. აბუ დაბი. საემიროები (LIVE).
**20:30** ბალახის ჰოკეი. მსოფლიოს თასი. კაცები. კანადა-გერმანია. პოლონეთი (LIVE).
**21:45** ბალახის ჰოკეი. მსოფლიოს თასი. ქალები. პოლონეთი-გერმანია. პოლონეთი (LIVE).
**22:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

## სამთო-სათხილამურო სპორტი



ივიცა კოსტელიჩი

# კოსტელიჩი ჩემპიონატისგან დაისვენებს

მამაკაცებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო ორი სტარტი მსოფლიოს თასის ლიდერის **ივიცა კოსტელიჩის** გარეშე ჩაივლის. როგორც იცით, ამ მოთხილამურემ ორი დღის წინ სენსაციურად მოიგო ბრინჯაოს მედალი სუპერგიგანტში, მაგრამ ახლა უარი თქვა სუპერკომბინაციასა და სწრაფდაშვებაში გამოსვლაზე.

*„გადავწყვიტეთ გამოვტოვოთ ეს ორი სტარტი, რათა ივიცას დამსახურებული დასვენებისა და სლალომისთვის უკეთ მომზადების საშუალება მივცეთ,* - განაცხადა ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა **ვალტერ ჰუბმანმა**. - *სუპერგიგანტი ივიცასთვის მე-17 სტარტი იყო ახალი წლის შემდეგ. უბრალოდ ძალიან სჭირდებოდა დასვენება ინტენსიური დატვირთვებისგან. სუპერგიგანტის შემდეგ ძალა აღარ ჰქონდა“.*

კოსტელიჩი მსოფლიოს ჩემპიონატს მომავალი კვირის ბოლოს დაუბრუნდება და გიგანტურ სლალომსა და სპეციალურ სლალომში იბრძოლებს პირველობისთვის.

■ ■ ■

პრობლემები შეექმნა ქალებს შორის მსოფლიოს თასის ლიდერ **მარია რიშსაც**. გუშინ მან გრიპის გამო ვარჯიში გამოტოვა. გერმანელმა კოსტელიჩის მსგავსად სუპერგიგანტში ბრინჯაოს მედალი მოიგო, მაგრამ ხორვატისგან განსხვავებით, ვირუსის მიუხედავად აპირებს დღეს სუპერკომბინაციაში გამოსვლას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ლოტუს რენო ახალი წარწერით

# რაიკონენი ლოტუსში მიდის?

პოლონელი **რობერტ კუბიცას** ავარიის შემდეგ 2011 წლის სეზონისთვის პელოტონში ერთი ვაკანტური ადგილი გაჩნდა, თანაც ისეთ ძლიერ და ამბიციურ გუნდში, როგორიც „ლოტუს რენოა". ამიტომაც დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა იმის შესახებ, რომ შეიძლება რალიდან „დიდ ცირკში" დაბრუნდეს მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი**.

ამის შესახებ კომენტარი გააკეთა „სიტროენის" შეფმა **ოლივიე კესნელმა**. მისი თქმით, თუ კიმი ფორმულა 1-ში დაბრუნებას მოინდომებს, ფრანგული გუნდის ხელმძღვანელობა ამ პროცესს ვერ შეეწინააღმდეგება და ფინელი შეუფერხებლად დატოვებს რალიში თავის ამჟამინდელ გუნდს.

*„თუ წასვლას მოინდომებს, ვერ შევძლებთ მის შეჩერებას, რადგან ჩვენთან კონტრაქტი არ აქვს. ის მხოლოდ იჯარით იღებს ავტომობილს და თავად პოულობს სპონსორებს. დღეს მასზე დიდ ზეწოლას ახდენენ ბერნი ექლსტოუნი, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია და გულშემატკივრები. ეს არც არის გასაკვირი - კიმი ბოლო წლებში ავტოსპორტის ერთ-ერთი სიმბოლოა",* - ამბობს კესნელი.

მართალია, პრესამ აქტიურად დაიწყო ჭორების გავრცელება რაიკონენის სავარაუდო დაბრუნების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, „ლოტუს რენოს" შეფობას ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა გეგმები აქვს - ხერესის ტესტებზე, რომელიც გუშინ დაიწყო, გამოცდილი **ნიკ ჰაიდფელდი** და **ბრუნო სენა** მიიწვია. რაც შეეხება რაიკონენის კანდიდატურას, ამაზე „ლოტუს რენოს" ხელმძღვანელმა **ერიკ ბუიემ** პირდაპირ განაცხადა: *„მისი კანდიდატურა საერთოდ არ განხილულა".*

■ ■ ■

ამასობაში, ნაავარიები **რობერტ კუბიცა** ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს. აქ ის ერთი ღამე დარჩება, რის შემდეგაც კიდევ ერთ ოპერაციას გაუკეთებენ ფეხსა და ზურგზე.

ექიმების თქმით, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, კუბიცას მომავალი კვირის ოთხშაბათს გაწერენ „სანტა კორონას" საავადმყოფოდან.

„ლოტუს რენომ" საკუთარ ბოლიდებზე სპეციალური წარწერა განათავსა, რითაც პოლონელ ავტომრბოლს სწრაფად გამოჯანმრთელებას უსურვებს.

# ფერარი ყველაზე სწრაფია

გუშინ ესპანეთში, ხერესის ტრასაზე მეორე წინასასეზონო ტესტების სერია დაიწყო. მასში HRT-ის გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. პირველ სატესტო დღეს ტემპერატურა მაღალი იყო, რითაც პილოტებს სიცხის პირობებში „პირელის" საბურავების შემოწმების საშუალება მიეცათ.

წრეზე საუკეთესო დროის ავტორი გახდა „ფერარის" პილოტი **ფელიპე მასა**. საინტერესოა, რომ ბრაზილიელმა ეს შედეგი წრეების გრძელი სერიის შუაში აჩვენა. სხვები კი თავიანთ საუკეთესო დროებს ბოქსებიდან გამოსვლისთანავე აფიქსირებდნენ, შემდეგ კი მათი დრო 5-7 წამით ეცემოდა.

გუშინ სამმა გუნდმა გამოცადა ახალი ტექნიკა - „მაკლარენმა", „ფორს ინდიამ" და „ვირჯინმა". მათი მანქანები საიმედოობით გამოირჩეოდა და პილოტებს ხანგრძლივი მუშაობის საშუალება მიეცათ. სამაგიეროდ, ტექნიკური პრობლემები შეექმნა **პასტორ მალდონადოს** „უილიამსს": უკანა ანტიფრითის დაზიანების გამო GP2-ის ჩემპიონს დიდ დროის ბოქსებში გატარება მოუხდა.

ტექნიკურ პრობლემებს ვერ გადაურჩნენ „ზაუბერი" და „მერსედესი" - მათ გამო ტესტები ორჯერ შეაჩერეს წითელი დროშებით. „ლოტუს რენოს" პილოტმა **ვიტალი პეტროვმა** პირველ მოსახვევში შეცდომა დაუშვა, რამაც ასევე პაუზა გამოიწვია.

ყველაზე მეტი წრე (101) ფელიპე მასამ გაიარა. როგორც ჩანს, „ფერარი" გაერკვია „პირელის" საბურავების მახასიათებლებში. „რედ ბულის" ახალი მანქანის უკანა ნაწილი მოდერნიზებული გახლდათ ვალენსიის ტესტებთან შედარებით. **ნიკო როსბერგის** მეცხრე ადგილი იმაზე მეტყველებს, რომ „მერსედეს გრან-პრის" ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს თავისი MGP W02-ის დასახვეწად.

**პირველი დღის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. მასა (ფერარი) | 1:20.709 (101) |
| 2. პერესი (ზაუბერი) | +0.774 (94) |
| 3. უებერი (რედ ბული) | +0.813 (94) |
| 4. რიკარდო (ტორო როსო) | +1.046 (36) |
| 5. ჰემილტონი (მაკლარენი) | +1.205 (58) |
| 6. ალგერსუარი (ტორო როსო) | +1.980 (42) |
| 7. სუტილი (ფორს ინდია) | +2.763 (28) |
| 8. პეტროვი (რენო) | +2.795 (57) |
| 9. როსბერგი (მერსედესი) | +3.254 (67) |
| 10. ტრული (ლოტუსი) | +3.749 (54) |
| 11. გლოკი (ვირჯინი) | +4.377 (42) |
| 12. მალდონადო (უილიამსი) | +14.259 (12) |



მასამ ყველას აჯობა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# მიურეი როტერდამში დაამცირეს

მორიგი სათამაშო დღის მიმოხილვას პარიზის ქალთა ტურნირით დავიწყებთ. აქ მეორე წრიდან აილო სტარტი ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა**, რომელსაც მეტოქედ გერმანელი **კრისტინ ბაროისი** ჰყავდა. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა თამაში ძალიან ცუდად დაიწყო - წააგო სასტარტო ოთხი გეიმი და შემდეგ პირველი სეტი. მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - მომდევნო ორ სეტში კიმმა მეტოქისთვის მხოლოდ ორი გეიმი გაიმეტა. ბელგიელმა მატჩი ზედიზედ ცხრა გეიმის აღებით დაასრულა, ბოლო 19 გათამაშებიდან კი 17 მოიგო.

ასე გავიდა კლაისტერსი მეოთხედფინალში და ახლა ერთი მოგება სჭირდება იმისთვის, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მსოფლიოს კლასიფიკაციაში ლიდერობა დაიბრუნოს.

ტაილანდში ტურნირს გამოეთიშა ერთ-ერთი ფავორიტი - რუსი **მარია კირილენკო**, რომელმაც სამ პარტიაში წააგო ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ **გალინა ვოსკობოევასთან**.

ყაზახი ჩოგბურთელი შარშანდელი როლან გაროსის შემდეგ პირველ ტურნირს თამაშობს და მისგან ასეთ შედეგს არავინ ელოდა. სხვათა შორის, დღეისთვის ვოსკობოევა 560-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში.

ყაზახი სასწაულებრივ გადაურჩა წაგებას. პირველი სეტი 1:6 წააგო, მეორეში 2:5-ს აგებდა, 5:4-ზე კი კირილენკოს სამი მატჩბოლი ჰქონდა. და კიდევ, მესამე პარტიაშიც რუსი წინ იყო - 3:1.

■ ■ ■

სენსაციის გარეშე არც მამაკაცთა ტურნირებს ჩაუვლია. როტერდამში კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმა** საშინელი დღე აყარა ბრიტანელ **ენდი მიურეის**. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს როტერდამში ამ წლის დასაწყისში დაკარგული მეოთხე პოზიციის დაბრუნება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ბაღდატისმა საათსა და ერთ წუთში მოუსპო ეს ოცნება. მატჩის შედეგი მით უფრო საკვირველია იმის გათვალისწინებით, რომ პირველი სეტის პირველი სამი გეიმი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა მოიგო. მაგრამ ამის შემდეგ გათამაშებული 14 გეიმიდან 12 კვიპროსელ ჩოგბურთელს დარჩა.

ბაღდატისი შესანიშნავად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე - ცხრა ეისი შეასრულა და ერთი ორმაგი შეცდომაც არ ჰქონია. მიურეიმ კი თამაშის ამ კომპონენტში ძალიან ცუდად წარმოაჩინა თავი. სხვათა შორის, ბაღდატისი ენდისთვის ყოველთვის უხერხულ მეტოქედ მიიჩნეოდა. ჩოგბურთელები მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს და მესამედ გამარჯვება მარკოსმა იზეიმა.


მარკოს ბაღდატისი

ამავე დღეს გაიმართა მერვედფინალური ეტაპის სამი მატჩი. ფრანგულ დერბიში **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** და **მიკაელ ლორდამ** ერთად 30 ეისი შეასრულეს. თითქმის თანაბარ თამაშში იღბალი რეიტინგში უფრო მაღლა მყოფი ცონგას მხარეს იყო.

ATP-ის ტურში საიუბილეო, 150-ე მატჩი მოიგო ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა**. მან **იურგენ მელცერთან** მატჩში სამი ბრეიკ-პოინტი მიიღო და სამივე გამოიყენა.

**ATP**

**ABN AMRO World Tennis**

როტერდამი (ჰოლ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 150 000 ევრო

**I წრე**

**ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 6)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:2, 7:6; **მარკო ბაღდატისი (კვიპ)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 2) 6:4, 6:1; **ბენუა პერი (საფ)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:2, 2:6, 6:3.

**1/8 ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორ)**-იურგენ მერცერი (ავსტრია, 5) 6:2, 6:4; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 4:6, 6:4, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:6(4), 7:5.

**SAP Open**

სან ხოსე (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 531 000 დოლარი

**I წრე**

**ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 1)**-რაჯივ რამი (აშშ) 6:3, 6:2; **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 7:5, 3:6, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 6:4, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 2)**-ბრედლი კლანი (აშშ) 6:3, 6:2.

**1/8 ფინალი**

**მილოშ რაონიჩი (კან)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:2, 7:6(4); **რიკარდას ბერანკისი (ლიტ)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:4, 5:7, 7:5.

**Brasil Open**

კოშტა დო სოიპე (ბრაზილია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 442 500 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 4)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 7:5, 6:4; **რიკარდო მელო (ბრა)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:3, 6:3; **რუი მაშადო (პორ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:1; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 7)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:4, 7:6; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 5)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 3:6, 7:5, 6:3; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-ტომი რობრედო (ესპ, 6) 6:4, 5:7, 6:2; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 3)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 1)**-ჟოაო სოუზა (ბრა) 6:2, 6:2.

**1/4 ფინალი**

ალმაგრო (1)-რუი მაშადო; ბელუჩი (3)-ჩელა (5); დოლგოპოლოვი (4)-სტარაჩე (7); მელო-ანდუხარი.

**WTA**

**Open GDF Suez**

პარიზი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 618 000 დოლარი

**I წრე**

**იანინა ვიკმაიერი (ბელ, 7)**-ელენა ვესნინა (რუს) 7:6, 6:2; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-ალიზ კორნე (საფ) 6:2, 7:6; **ნადეჟდა პეტროვა (რუს, 5)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:1, 6:3; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 6)**-ანგელიკ კერბერი (გერ) 7:5, 3:6, 6:2.

**1/8 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 1)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 4:6, 6:2, 6:0; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 8)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:4, 7:6.

**PTT Pattaya Open**

პატაია (ტაილანდი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**გალინა ვოსკობოევა (ყაზ)**-მარია კირილენკო (რუს, 3) 1:6, 7:5, 6:4; **შუაი პენგი (ჩინ, 6)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 2:6, 6:1, 6:4; **რობერტა ვინჩი (რუს)**-შუაი ჟანი (ჩინ) 7:5, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერ, 2)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 4:6, 6:1, 7:5.

# მარია პარიზიდან მოიხსნა

გუშინ პარიზის ტურნირში უნდა აელო სტარტი რუს **მარია შარაპოვას**, მაგრამ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ვირუსული ინფექციის გამო განაცხადი გამოიტანა. მარია ტურნირზე მეორე ნომრად იყო განთესილი.

შარაპოვას ვირუსი მოსკოვში, ფედერაციის თასის მატჩისას შეეყარა და დღემდე ვერ გამოჯანმრთელდა. რუსს გუშინ მერვედფინალში ამერიკელი **ბეტანი მატეკის** წინააღმდეგ უნდა ეთამაშა.

*„მთელი უქმეების განმავლობაში ავად ვიყავი. დილით ექიმს ვესტუმრე და მისი რჩევის თანახმად უარი ვთქვი ტურნირში გამოსვლაზე, - განაცხადა შარაპოვამ. - ძალიან ვწუხვარ, ასე რომ მოხდა. ძალიან მინდოდა პარიზში თამაში, ამისთვის სპეციალურად უაილდქარდი მოვითხოვე. ყველაფერი გავაკეთე კორტზე გასასვლელად, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მინდა ბოდიში მოვუხადო გულშემატკივრებსა და ორგანიზატორებს, რომლებმაც ჩემ მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინეს".*

ძირითად ბადეში შარაპოვას ადგილი ფრანგმა **სტეფანი კოენ-ალორომ** დაიკავა.


მარია შარაპოვა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**